


# დრო მშვიდობისა



#1, 2001

# დრო მშვიდობისა №1, 2001



კონფლიქტოლოგიის ცენტრის ახალი წამოწყების შესახებ  
ომი და მშვიდობა ჯონ ბარტონის ხედვით  
კონფლიქტების მოგვარება როგორც პოლიტიკური ფილოსოფია (ჯონ ბარტონი)  
მოთხოვნები და ურთიერთგაგების სიძნელებები (დალი ბერეკაშვილი)  
სტრუქტურის თვალსაზრისი (ნანიკო ბარამიძე)  
ინტერვიუები ბარტონის თემაზე  
“მე მთის მწვერვალზე ვიყავი” (ია მერკვილაძე)  
ქალის და მამაკაცის სხეული XX საუკუნის პერსპექტივიდან (ნანა ბერეკაშვილი)  
თვალსაზრისები  
გამონათქვამები მშვიდობისა და სამართლის შესახებ  
დემოკრატია თუ კონსტიტუციური ლიბერალიზმი (რუსუდან მშვიდობაძე)  
ქართული საზოგადოება დღეს: ადაპტაციური კრიზისი (გაგა ნიჟარაძე)  
რა არის მედიაცია (თამუნა ციხისთავი)  
შემოქმედება, თანაგრძნობა, არაძალადობა - მხატვრული რუბრიკა  
“ქალის სუბიექტივიზმი მოლოდინების დისკურსში” (ნინო ციხისთავი)  
“პირველი რუსი” (ლაშა ბუღაძე)  
თავისუფალი ზონა (ტუსია ბერიძე)  
“სიყვარულის დოქტრინა” (ირაკლი კაკაბაძე)

---

კონფლიქტოლოგიის ცენტრის ახალი წამოწყების შესახებ



*გიორგი ხუციშვილი*

„კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრს“ ქართული საზოგადოება უფრო მეტად შემოკლებული სახელწოდებით იცნობს - როგორც „კონფლიქტოლოგიის ცენტრს“. ცენტრი დაფუძნდა 1994 წლის 8 აგვისტოს და მას შემდეგ აქტიურად მოღვაწეობს კონფლიქტების კვლევის, ადრეული გამოვლენისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის დარგში. ეს მოღვაწეობა ფართო სპექტრით გაიშალა, ზედმიწევნით კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოებიდან (მაგ., აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში თემის მობილიზატორთა მომზადება და რეგიონებში დევნილთა ჯგუფებისათვის ტრენინგების ჩატარება) თეორიულ გამოკვლევებამდე (კავკასიის რეგიონული უსაფრთხოებისა და ინტეგრაციის პერსპექტივები და სხვ.). ცენტრის აქტივშია კონფლიქტის ზონებთან ჩატარებული ინიციატივები, მათ შორის სამოქალაქო დიპლომატიის ხაზით პირველი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონტაქტები, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა, რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციების მოწვობა. ცენტრში პირველად შეიქმნა სამეცნიერო მოდელი, რომლის საფუძველზე ყველაზე რთულ რეგიონებში წარმატებით აპრობირებულ იქნა სოციალური კონფლიქტების ადრეული გამოვლენისა და მონიტორინგის ქსელი. ცენტრი კარგადაა ცნობილი საერთაშორისო პროფესიულ წრეებში, აკეთებს საექსპერტო შეფასებებს. ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და გამოცემული პუბლიკაციების სია შორს წაგვიყვანდა.

ცენტრის მთელს მუშაობას წითელ ზოლად გასდევს საქართველოში დემოკრატიული რეფორმებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მხარდაჭერა, საზოგადოებაში სამოქალაქო ღირებულებათა სისტემის, მშვიდობის კულტურის აღზრდის ხელშეწყობა. ამ ამოცანათა მხარდასაჭერად, 2000 წლის მიწურულს, საქართველოში აშშ-ს საელჩოსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს მხარდაჭერით, ცენტრთან შეიქმნა სამოქალაქო დიალოგის კლუბი „აკორდი“. ამ ამოცანებს ემსახურება აგრეთვე ცენტრის ახალი ფართომასშტაბიანი პროგრამა „განათლება მშვიდობის მშენებლობის დარგში და კონფლიქტების მოგვარების ტრენინგი“, რომელიც ჰოლანდიური არასამთავრობო ჰუმანიტარული ფონდის „კორდედის“ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ამ პროგრამის ფარგლებში დაიწყო ახალი პერიოდული გამოცემის, ჟურნალ „დრო მშვიდობისა“-ს გამოშვება, რომლის პირველი ნომერი თქვენ დაგვდეთ პატივი და გადაშალეთ. ცენტრისა და ჟურნალის პროფილის გათვალისწინებით, გამოქვეყნებული მასალები მიეძღვნება ჩვენი საზოგადოების ყველაზე აქტუალური და მტკივნეული პრობლემების გაშუქებას, მკითხველის ინფორმირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიახლეების შესახებ. დაიბეჭდება როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულების მასალები. რა თქმა უნდა, გაშუქდება პროგრამის მსვლელობა, ცენტრისა და კლუბის მუშაობის სხვა მიმართულებები. ამავე დროს, ვეცდებით, ჟურნალი არ იყოს გადატვირთული და დამძიმებული, მასალები მკითხველს მივაწოდოთ შეძლებისდაგვარად სახალისო და საინტერესო ფორმით, რათა ჟურნალს თავისი მკითხველი ჰყავდეს.

ცხადია, რომ ახალი ჟურნალი აღმოჩნდება თავისი მოწოდების სიმაღლეზე მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაითვალისწინებს მკითხველის მოლოდინებს, ინტერესებს და თუ მისი სარედაქციო ჯგუფი გამოიჩინებს სწრაფად ცვალებადი გარემოს შესაფერის დინამიურობას, მოქნილობას და შეძლებს წინ გაუსწროს მოვლენებს. ამის საწინდარი უნდა გახდეს რედაქციისა და მკითხველთა მუდმივი უკუკავშირი და თანამშრომლობა. ჩვენთვის უდიდესი მიღწევა და ბედნიერება იქნება, თუ ჟურნალს მალე მკითხველთა სტაბილური, აქტიური და მაღლიერი წრე ჩამოუყალიბდება.

კეთილი მგზავრობა ვუსურვოთ ახალ ჟურნალს, რათა მალე დაგვიდგეს „დრო მშვიდობისა“.

გიორგი ხუციშვილი

### ომი და მშვიდობა ჯონ ბარტონის ხედვით



ცნობილი ავსტრალიელი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტოლოგი, კონფლიქტების მოგვარების დარგის ერთ-ერთი პიონერი, ჯონ ბარტონი განსწავლავდა ახალი სოციალური მოზღვრების ძირეულ ადამიანურ მოთხოვნილებათა (საჭიროებათა) თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დოქტორი ბარტონი იყო ავსტრალიის ყველაზე ახალგაზრდა საგარეო საქმეთა მინისტრი 1947-იდან 1951 წლამდე. მას პირადად აქვს მიღებული მონაწილეობა გაერთიანებული ერების ჩამოყალიბებასა და დეკოლონიზაციის პროცესში.

1963 წლიდან ჯონ ბარტონი იწყებს აქტიურ აკადემიურ-პრაქტიკულ მოღვაწეობას დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ წლების განმავლობაში ის აყალიბებს ძირეულ ადამიანურ ღირებულებათა თეორიას და უსადაგებს მას კონფლიქტების მოგვარების საკითხს. ბარტონს ყოველთვის აინტერესებდა ძალადობის ალტერნატივის პოვნის საკითხი ნებისმიერ სოციალურ წრეში და გარემოში. ის მსოფლიოს ისტორიაში შედის როგორც გამორჩეული ოპტიმისტი, ჰუმანისტი მოღვაწე, რომელმაც პრაქტიკული და თეორიული შრომა დიდი წარმატებით შეათავსა ერთმანეთთან. იგი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ პრაქტიკოსად საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების პრაქტიკაში. ჰერბ კელმანთან ერთად ბარტონს შემოღებული აქვს პრობლემების გადაჭრის თანამშრომლობითი მეთოდის პრაქტიკა, სადაც მესამე მხარე ძალად პოზიციას ამჯობინებს ფასილიტაციის და უფრო თანასწორუფლებიან ხელშეწყობის ფორმას. ასეთი მეთოდებით მას მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ჩაუტარებია თანამშრომლობითი სემინარები, სადაც ის წარმოადგენდა მთავარ დასაყრდენ ძალას დაპირისპირებულ მხარეთათვის საკუთარი კონფლიქტის მოგვარების საქმეში. მისი ქარიზმატიული ფიგურა და მდიდარი პოლიტიკური კონტაქტები, რაღა თქმა უნდა ხელს უწყობდა მის პრაქტიკულ წარმატებას. მაგრამ მთავარი ელემენტი მის წარმატებაში ყოველთვის იყო ის განსხვავებული ხედვა, რომელიც ბარტონს ყოველთვის

აქცევდა ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ ფიგურად თანამედროვეებს შორის. ის შორს იდგა ნებისმიერი იდეოლოგიური და პოლიტიკური დოგმებისაგან და საკუთარ ფილოსოფიას პრაქტიკაზე აგებდა.

ძირეულ ადამიანურ ღირებულებათა თეორიის საფუძვლად ბარტონმა აიღო სოციალურ ფსიქოლოგთა, პროგრესულ პოლიტოლოგთა და ბიჰევიორისტთა ერთი ნაწილის პრინციპი: თუკი ძირეული ადამიანური მოთხოვნილებანი არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ საზოგადოება ყოველ-თვის დგას ძალადობრივი კონფლიქტის საშიშროების წინაშე. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიაზე დაყრდნობით ბარტონმა შეიმუშავა ეგრეთწოდებული ონტოლოგიურ მოთხოვნილებათა თეორია, რომლის საკითხთა დიაპაზონი სცილდება ჩვეულ ფსიქო-სოციალურ მოთხოვნილებებს. ასეთ მოთხოვნილებებს შორის ბარტონი ასახელებს უსაფრთხოებას (ფიზიკურს, ფსიქო-ლოგიურს, სოციალურს თუ ეკონომიკურს), იდენტურობას (თვითგამორკვევას), პატივისცემას, ჯგუფთან კუთვნილებას და ასე შემდეგ. ბარტონის ღრმა რწმენით საზოგადოება მუდმივი განვითარების გზაზეა და ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე შესაძლებელია ამ მოთხოვნილებათაგან მეტის ან ნაკლების დაკმაყოფილება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად.

დღევანდელი საქართველოს ასპექტში ძალიან საინტერესოა არსებული პრობლემების და მწვავე კონფლიქტების შეფასება ბარტონი-სეული პრიზმით. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის მატერიალური, ფსიქო-სოციალური და აგრეთვე ონტო-ლოგიური მოთხოვნილებანი. ხდება თუ არა გარკვეული სამთავრობო თუ კორპორატიული ჯგუფების მიერ იმის გააზრება რომ ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს სოციალურ კატასტროფამდე (თუკი უკვე მისულნი არა ვართ) და მასიური ძალადობის ახალი ციკლის დაწყებამდე. ბარტონი ხაზს უსვამს ძალადობის პრევენციის (წინასწარ თავიდან აცილების) დიდ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის აღსანიშნავად მან ახალი ტერმინიც კი შემოიღო, რომელსაც “პროვენ-ცია” უწოდა. მისი მრწამსის თანახმად საზოგადოებრივი მექანიზმი ყოველთვის უნდა იყოს პროაქტიური, რადგანაც რეაქცია უკვე მომხდარ უბედურებაზე ხშირად ასეთივე ნეგატიურია. ძალიან ხშირ შემთხვევაში ხომ ამ პრევენციული, კონფლიქტის წინასწარ თავიდან აცილების სამუშაოს არარსებობას მივყავართ იმ დონემდე, რომ მერე მხოლოდ ძალადობის ფაქტის დაფიქსირება გვიხდება.

ლოგიკური კითხვა, რომელიც საქართველოსთან და საერთოდ სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში ისმება ბარტონული გადმოსახედიდან არის, რამდენად მიმდინარეობს ეს პრევენციული სამუშაო დღევანდელ საზოგადოებაში? ჯორჯ ბერნარდ შოუს “პიგმალიონი” კარგ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ამ სოციალური მიმართულებების ანალიზისას. სოციალური მდგომა-რეობისა და სტატუსის გაუმჯობესება ადამიანს ნაკლებად აგრესიულს და შესაბამისად საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიშს ხდის. რამდენად მიმდინარეობს დღეს საქართველოში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე მუშაობა? არის თუ არა მეტი სამუშაო ჩასატარებელი კონფლიქტების წინასწარ თავიდან აცილებისათვის პროაქტიურად დღევანდელ საქართველოში და ძირითადად რა სფეროებში უნდა მიმდინარეობდეს ეს სამუშაო?

რამდენად არის დაკმაყოფილებული ძირეული ადამიანური მოთხოვნილება უსაფრთხოებისა? ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქო-სოციალურ, ეკონომიკურ უსაფრთხოების განზომილებებზეც.

რამდენად დაკმაყოფილებულია იდენტურობის (თვითგამორკვევის) მოთხოვნილება? ამ შემთხვევაში ლაპარაკია როგორც ინდივიდის, ასევე ჯგუფური იდენტურობის კატეგორიებზე. ეთნიკური საკითხი ბოლო წლებში ძალიან მწვავედ წარმოჩინდა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ



არც ისე ხშირად ვლაპარაკობთ კლასობრივ, სქესობრივ, რელიგიურ თუ სხვა იდენტურობაზე. თვითგამორკვევის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობაც ხომ უეჭველად იწვევს სოციალურ კონფლიქტებს.

და ბოლოს რამდენად პატივისცემით ეპყრობიან ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეებს? არსებობს თუ არა საქართველოში დღეს მეორეხარისხოვანი, მესამეხარისხოვანი და საერთოდ არასრულფასოვანი მოქალაქის ფაქტორი? და რა მიზეზი აქვს კულტურულად თუ სტრუქტურულად ამ ძირეული მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას ვთქვათ რეგიონების მაგალითზე. რამდენად აუცილებელი და გარდუვალია სოფლელი-ქალაქელი, ქალი-კაცი, ქართველი-არაქართველი, “კაიტიპი-გომი”, “დევნილი-ადგილობრივი” და ასე შემდეგ დიალექტიკის არსებობა და რამდენად სოციალურად სახიფათო დონეზეა ნებისმიერი ეს დაპირისპირება.

ჩვენ რა თქმა უნდა ჩვენი საკუთარი პასუხები უნდა ვეძებოთ ამ კითხვებზე, მაგრამ ჯონ ბარტონისეული ანალიტიკური ჩარჩოები შესაძლოა გამოსადეგი აღმოჩნდეს ზოგიერთი სწორი სოციალური დიაგნოზის დასმისათვის. ამავე დროს საინტერესოა ბარტონის ხედვის ქართული კრიტიკის მოსმენაც, რადგანაც ყველა უნივერსალურ თეორიას მოეძებნება კრიტიკა ნებისმიერ კულტურაში.

## კონფლიქტების მოგვარება როგორც პოლიტიკური ფილოსოფია

ჯონ ბარტონი, ავსტრალია



კონფლიქტების მოგვარება შედარებით ახალი ცნებაა, რომელიც ჯერჯერობით არ არის რომელიმე საყოველთაოდ აღიარებული მსოფლ-ხედველობის ნაწილი. მართლაც რომ, ტერმინები უთანხმოება და კონფლიქტი, ისევე როგორც მოგვარება და გადაწყვეტა ურთიერთმონაცვლეობით იხმარება. ახალ ლიტერატურაში კონფლიქტების მოგვარებაზე ამ ტერმინებს განსხვავებული შინაარსი აქვთ. “უთანხმოება” მოიცავს მოლაპარაკებად ინტერესებს, მაშინ როდესაც “კონ-ფლიქტი” ეხება ისეთ საკითხებს, რომლებზეც მოლაპარაკება არ ხერხდება, საკითხებს რომლებიც ადამიანის ონტოლოგიურ მოთხოვნილებებს ეხება და რომლებიც არ ექვემდებარებიან კომპრომისს. შესაბამისად “დარეგულირება” იხმარება უთანხმოების მოლაპარაკებადი შედეგების შემთხვევაში, მაშინ როდესაც “მოგვარება” ეხება კონფლიქტური სიტუაციის შედეგებს, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ყველას თანდაყოლილი მოთხოვნილებები. ამრიგად არსებობს უთანხმოების დარეგულირება და კონფლიქტის მოგვარება.

ამ ტერმინების ზუსტ გამოყენებაზე კონცენტრირება აუცილებელია, რადგანაც ეს უკავშირდება იმ საკითხს, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ – უთანხმოებების და კონფლიქტების განცალკევებულ, მაგრამ საერთო ბუნებას. რომ არ არსებობდეს უთანხმოებებსა და კონფ-ლიქტებს შორის განსხვავება, ანუ შესაძლებელი რომ იყოს ნებისმიერი ურთიერთობის დარე-გულირება და კონტროლი ავტორიტეტული მესამე ძალის ჩარევით, მაშინ ამისათვის საჭირო სასამართლოებითა და დარეგულირების ალტერ-ნატიული საშუალებებით, ასევე მათი ძალისმიერი გატარების ხერხებით, ჩვენ გვექნებოდა ჰარმო-ნიული ურთიერთობები სახელმწიფოს შიგნით და საერთაშორისო არენაზე. თუმცა როგორც ისტორია მიუთითებს ეს ასე არ ხდება: არსებობს სიტუაციები – შიდა-სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო – რომლებიც არ ექვემდებარება ძალისმიერ ან იძულებით დარეგულირებას.

მაგალითად არსებობს ეთნიკური და გაუცხოების კონფლიქტები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ყველაზე განვითარებული საზოგადოებებისათვისაც კი, მათ შორის შეერთებული შტატებისათვისაც. ამით მტკიცდება, რომ ინდი-ვიდები ან ჯგუფები, რომელთა ძირითადი ადამიან-ური მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, ვერ იქცევიან სოციალური გარემოს ბუნებრივ ნაწილად და არ ექცევიან კანონით ნაკარნახები ქცევის წესების გავლენის სფეროში. მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ძლიერმა ძალა-უფლებამ სამოციან წლებში ვერ შესძლო დაექვემდებარებინა პოსტ-კოლონიალური აზიის სახელმწიფო, რომელიც ავტონომიისათვის იღწვოდა. ამ ტიპის კონფლიქტები არსებობს ყველა სოციალურ დონეზე, იგულისხმება სიტუაციები, როდესაც იდენტურობისა და აღიარების ონტოლოგიური მოთხოვნები და მათთან დაკავშირებული ადამიანის განვითარების მოთხოვნები ფრუსტრაციას განიცდიან. ამგვარი კონფლიქტების გაკონტროლება, დათრ-გუნვა ან შეკავება შეუძლებელია, უნდა მოხდეს მათი მოგვარება ან პრევენცია მოთხოვნების დაკმაყოფილებით.

გაურკვევლობა ტერმინების გამოყენებისას და მასში შეძვეალი კონცეპტუალური გაურ-კვევლობა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ტრადიციულად საერთაშორისო და საშინაო შეუთანხმებლობა და კონფლიქტები ცალკეულ ფენომენებად განიხილებოდა. მაშინ როდესაც ითვლებოდა რომ არ არსებობს განსხვავება კონფლიქტსა და შეუთანხმებლობას შორის გამართლებულად ითვლებოდა საერთაშორისო სიტუაციის განხილვა, რომელიც ხშირად უფრო დამანგრეველი იყო ვიდრე საშინაო კონფლიქტური სიტუაციები. ამ შემთხვევაში საერთაშო-რისო სიტუაციებს განვიხილავთ როგორც უფრო სერიოზულს და ვიყენებთ ტერმინს კონფლიქტი. მაგრამ ეს ორი ფენომენი საერთო წარმომავლო-ბისაა: არსებობს როგორც, საშინაო ისე, საერთა-შორისო კონფლიქტები და შეუთანხმებლობები.

წანამძღვარი, რომელიც იფარება ტერ-მინების არასწორი გამოყენების უკან, ხშირ შემთხვევაში განაპირობებს სერიოზულ შეცდომებს პოლიტიკაში. ამ წანამძღვარს ლაიტმოტივად გასდევს, რომ ყველა საშინაო კონფლიქტი შეიძლება მოგვარებულ იქნას ცენტრალური ხელისუფლების მიერ (რომელსაც უნდა გააჩნდეს ძალაუფლების მონოპოლია, რომლითაც მშვი-დობიან ურთიერთობებს ძალოვანი მეთოდებით დაამკვიდრებს). ამის უკან იმალება დაფარული ტენდენცია, რომ საშინაო კონფლიქტები არ არსებობს ისე, როგორც ჩვენ ეს ტერმინი განვ-საზღვრეთ: რომ არ არსებობს სიტუაცია შიგნით სახელმწიფოში, რომელიც არ ექვემდებარებოდეს ამგვარ იძულებით კონტროლს. ასეთმა აზროვნებამ მართებულად განაპირობა იმის მცდელო-ბები, რომ საერთაშორისო სისტემაში წარმოდგე-ნილიყო ცენტრალური ძალაუფლების რაიმე ფორმა, რომელიც დაეფუძნებოდა ამ საშინაო მოდელს. გაერთიანებული ერების წესდებამ ასახა ამგვარი აზროვნება. ამის მიხედვით უნდა შექმნი-ლიყო მდგრადი საერთაშორისო ძალა, რომელიც დაექვემდებარებოდა უსაფრთხოების საბჭოს და ძალისმიერად განახორციელებდა მის გადაწყვეტი-ლებებს. საბედნიეროდ, წევრებმა

არ მიიღეს მონაწილეობა საკმარის დონეზე, მაგრამ ამავე დროს დიდმა ქვეყნებმა სცადეს წარემართათ გაერო ამ გზაზე და ამის შედეგად გვქონდა კორეის ომის მაგალითი.

მაგრამ დღეისათვის ჩვენ იმ რეალობის წინაშე ვდგევართ, რომ საშინაო მოდელი იყო ფიქცია, მემკვიდრეობით შექმნილი მცდარი წანამძღვრებისა და უხეშ ძალაზე დაყრდნობილი ცენტრალური ძალაუფლებების ისტორიიდან. დღემდე, თუ კი ხდებოდა კონფლიქტის თავიდან აცილება, ეს ხდებოდა მისი დათრგუნვით დროის შეზღუდულ მონაკვეთში. მსოფლიოში კონფლიქტების უმრავლესობა შიდა ხასიათისაა, მაგრამ ხშირად ეს კონფლიქტები გადმოდიან საერთა-შორისო ურთიერთობებში. ამგვარად ჩვენ იძულებულნი ვართ მივიღეთ დასკვნამდე, რომ კონფლიქტი არის საერთო ფენომენი, რომელსაც არ გააჩნია სისტემური საზღვრები. არ აქვს მნიშვნელობა რა ტიპის კონფლიქტს ვეხებით - ინტერპერსონალურს, სათემოს, ეთნიკურს თუ საერთაშორისოს, ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი და იგივე ონტოლოგიურ მოთხოვნი-ლებებთან, რომლებიც მოითხოვენ კონფლიქტის გადაწყვეტის ანალიტიკურ პროცესს. მართლაც რომ, საერთაშორისო მოდელი ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზმებისა, რომლებიც თანამშრომლობენ ფუნქციონალურ საფუძველზე, შესაძლოა გახდეს მოდელი მრავალი ისეთი სახელმწიფოსათვის, სადაც არსებობს ცალკეული ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მიისწრაფვიან ავტონომიისაკენ, ურთიერთობების უფრო ფართე სისტემაში.

განსხვავება კონფლიქტებსა და უთანხმო-ებებს შორის გვამარაგებს ორი კონცეპტუალური ჩარჩოთი: ერთის მხრივ, სიტუაციები რომლებიც მოლაპარაკებადია, და მეორეს მხრივ, სიტუაციები სადაც კომპრომისი შეუძლებელია. ეს განსხვავებული კონცეფციები გულისხმობენ უთან-ხმოებების და კონფლიქტების მოგვარების სრულიად განსხვავებულ მიდგომებს. პირველი ექვემდებარება იურიდიულ და არბიტრირებად პროცესებს, მაშინ როდესაც მეორე მოითხოვს პრობლემების ანალიტიკურ გადაწყვეტას. ყოველ-დღიურად გამოყენებული მეტყველება და ტერმი-ნოლოგია არ გვაძლევს იმის საშუალებას რომ მოვახდინოთ ეს დიფერენციაცია. იმის გამო რომ არ გამოგვიკვეთია ეს განსხვავება, ვერ შევძლებთ პრობლემების მართებულად გადაჭრას და იმ პოლიტიკის გატარებას, რომელიც გათვლილია პოტენციური კონფლიქტების წინასწარ თავიდან ასაცილებლად.

### **ძალაზე დამყარებული პოლიტიკური რეალიზმი ქცევითი რეალიზმის წინააღმდეგ**

სასარგებლო იქნებოდა რამდენიმე ათწლეუ-ლით უკან გაგვეხედა და გვენახა თუ სად აღმოცენდა ეს კონცეპტუალური ჩარჩოები. ერთ-ერთი ყველაზე ცხადი იყო მაიკლ ბანკსის მიერ დაწერილი სტატია - “საერთაშორისო ურთიერ-ობების დისციპლინა: კონფლიქტების მოგვარე-ბის მომგებიანობა თუ წამგებიანობა”. იგი აკვირ-დება ქმედებისა და აზროვნების განვითარებას ფეოდალიზმიდან აწმყომდე. იგი აღნიშნავს, რომ რასაც ეწოდებოდა “პოლიტიკური რეალიზმი” ბევრად უფრო დაშორებულია რეალობისაგან, ხოლო რასაც ერქვა “იდეალიზმი” აღმოჩნდა, რომ პრაქტიკაში ნაკლებად თვითდამანგრეველია და უფრო რეალისტურია, ვიდრე ტრადიციული ძალოვანი მიდგომა.

რეტროსპექციისას ცხადია რომ რასაც ერქვა “პოლიტიკური რეალიზმი” რეალისტური იყო მხოლოდ იმდენად რამდენადაც ასახავდა იმდროინდელ ქმედებას. ადრეული ფეოდა-ლიზმიდან დღემდე პრაქტიკაში იყო მმართველობა იძულების მეშვეობით. არ არსებობდა თეორია რომელიც გაამართლებდა ამ პოლიტიკურ რეალიზმს. ასეთი სისტემის იმგვარ ჩავარდნებს, როგორიც არის რევოლუციები და ომები, არ ჰქონდა ახსნა, გარდა იმისა რომ გარკვეული მოსაზრების მიხედვით ძალაუფლება არასაკმარისად იქნა გამოყენებული. თეორიის უქონლობის გამო არ არსებობდა კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების მიკვლევა, ამგვარად



არ არსებობდა მომავალი კონფლიქტების წინასწარმეტყველების საფუძველი. დღეისათვის უკვე ცხადია, რომ პოლი-ტიკური რეალიზმი როგორც საქმიანობის ფორმა ქცევით თეორიაში არარეალისტური აღმოჩნდა პრაქტიკაში კი, თვით-დამანგრეველი.

ტრადიციულ იდეალისტებს ასევე აკლ-დათ თეორია. არსებობდა რწმენათა სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა თანამშრომლობითი ურთიერთობების სურვილს, მაგრამ არ არსებობდა თეორია რომელიც ახსნიდა კონფლიქტს, ან გაამართლებდა ალტერნატიულ პოლიტიკას. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა საგან-გაშო სიცარიელე: ძალოვანმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა საშინაო და საერთაშორისო საქმიანობაში, მაგრამ არ მოხდა არანაირი ალტერნატი-ული პოლიტიკის შემოთავაზება ან გამოყენება. ამგვარია ცივილიზაციის გაბან-კროტებული მდგომარეობა მეოცე საუკუნის ბოლოს.

### სუბიექტურობიდან თეორიაზე დაფუძნებულ ობიექტურობამდე

ნებისმიერი თეორიის არარსებობა ცხადი ხდება, როდესაც გამოწმებთ ტერმინების გამოყენებას. ადამიანის ქცევის თეორიის ან ახსნის გარეშე იდეალისტების ისეთ კონცეფციებს როგორცაა “სამართლიანობა”, “ადამიანის უფლებები”, ან “სოციალური კეთილდღეობა” სუბიექტური დატვირთვა თუ მიეცემა. უფრო მეტიც, ამ სუბიექტური მიზნების მიღწევის ინსტიტუციონალური ხერხები, ასახავენ სამართ-ლის, სოციალური კეთილდღეობის და ადამიანის უფლებების ბუნების სრულ უცოდინრობას. მაგალითად “დემოკრატის” ჰქონდა “უმრავლე-სობის მთავრობის” მნიშვნელობა, მაგრამ როდესაც ლაპარაკი იყო კლასობრივ ან ეთნიკურ უმცირესობებზე ამგვარი მთავრობა აღიქმებოდა როგორც უსამართლო, სოციალურად უსარგებლო, ადამიანის უფლებების უარყოფელი და უფრო მეტიც, როგორც კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზი. მხოლოდ ქცევის ადექვატურ თეორიას შეუძლია აღმოფხვრას ეს სუბიექტივიზმი მნიშვნე-ლოვანი კონცეფციების გამოყენებისას.

ოცდაათიან წლებში ჩვენ გავყვევით მორგენ-თაუს (1948) და შვარცენბერგის (1964) ძალო-ვანი პოლიტიკის ხაზს, მიმართულებას რომელსაც დღესაც ემხრობა პოლიტიკური მეცნიერებისა და სტრატეგიების უმრავლესობა. ამჯერად ჩვენ უნდა ვიპოვნოთ ქცევის ისეთი თეორია რომელიც ხსნის კონფლიქტს და ამ თეორიიდან გამოვიტა-ნოთ კონფლიქტთან გამკლავების ეფექტური საშუალებები.

ამ მიმართულებით საწყისი სამუშაო ჩატარდა ბერლინში, 1979 წელს, როდესაც საერთაშორისო სპეციალისტებისაგან შემდგარმა ჯგუფმა განიხილა პიროვნების ბუნება, რომელიც ანალიზის საგანი გახდებოდა, რომ არ არსებობდეს ისეთი ცალკეული კონსტრუქტები როგორცაა ეკონომიკური ადამიანი, სამართლებრივი ადამიანი, სოციოლოგიური ადამიანი, ფსიქოლოგიური ადამიანი. მათ წიგნს სახელად ეწოდა “მოთხოვ-ნილებათა თეორია”. აქ აღწერილი იყო მთავა-რი ატრიბუტები ამ რთული ნამდვილი პიროვნე-ბისა, რომლის ონტოლოგიური მოთხოვნილებებიც არიდებენ მას სოციალიზაციას და იძულებით ქცევას, რომელიც მოსახერხებელია პოლიტიკური ლიდერებისათვის ან მეცნიერებისათვის.

ამ კვლევამ ასახა მზარდი ფორიაქი ქცევით მეცნიერებაში. სამოციან წლებში მკვლე-ვარები უნდობლობას უცხადებდნენ საკუთარი დისციპლინების წანამძღვრებს და ეძიებდნენ რეალურ პიროვნებას. ინდუსტრიულ ურთიერთ-ობებში ბლევკმა, შეპარდმა და მუტონმა (1964) უნდობლობა გამოუცხადეს უფროსი-თანამშრომ-ლის ურთიერთობების უკან მყოფ ძირითად დაშ-ვებებს. სოციოლოგიაში სტივენ ბოქსმა კითხვის ქვეშ დააყენა წანამძღვრები, რომლებიც დომინი-რებდნენ განსხვავებული ქცევის ახსნისას. რამდენიმე წლის შემდეგ პოლ საიტსმა (1971) ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ როდესაც ინდივიდის ძირითადი ადამიანური

მოთხოვნი-ლებები დაუკმაყოფილებელი იყო, იგი იძულებული ხდებოდა აერჩია მოქცევის ისეთი წესი, რომელსაც სხვა სიტუაციაში არ აირჩევდა.

ამის შედეგად აღმოცენება დაიწყო ახალმა კონცეპტუალურმა ორიენტაციებმა, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღიქმებოდა ნათლად და არ წარმოადგენდა საყოველთაო სიბრძნის ნაწილს. გაცნობიერდა ის ფაქტი, რომ საჭიროა ადამიანის ონტოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება. იმის გამო რომ ეს ონტოლოგიური მოთხოვნილებებია, შეუძლებელია ისინი დაექვემდებარონ ავტორიტარულ კონტროლს. არა აქვს მნიშვნელობა ვისთან გვაქვს საქმე – ბავშვებთან, ქუჩის ბანდებთან, ეთნიკურ თემებთან თუ მთელს ეროვნებებთან, ყველა შემთხვევაში გადასაჭრელია ადამიანური პრობლემები და ვერანაირი იძულება ან რეპრესია დიდი ხნით ვერ შეაკავებს ადამიანების განვითარებად მისწრაფებებს. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო საქმეთა ინსტიტუტი განიხილავს “მეორე საფეხურის დიპლომატიას”, როგორც ანალიტიკურს და პრობლემის-გადაწყვეტაზე ორიენტირებულს. (მაკდონალდი და ბენდამანი). ეს არის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მეორე და ყველაზე არსებითი ნაბიჯია, რომ ფოკუსირება მოხდეს მეორე საფეხურის (სახალხო) დიპლომატიაზე, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანზე.

ბოლოს და ბოლოს სულ ახლანახანს დაიწყო ძალისმიერი პოლიტიკის ალტერნატივაზე საუბარი და გააზრება მეცნიერთა იმ ჯერ კიდევ შეზღუდული წრის მიერ, რომელიც დაინტერესებულია კონფლიქტების გადაჭრით – აქცენტი კეთდება ადამიანურ მოთხოვნილებებზე, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია კონფლიქტის მოგვარებისათვის. იქმნება შესაბამისი ბიბლიოთეკა (ბარტონი, 1990 ა, ბ; ბარტონი და დუკსი, 1990 ა, ბ), იკითხება კურსები (მაგისტრატურა და დოქტორნატურა კონფლიქტების მოგვარებისა და ანალიზის ინსტიტუტში ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში). იწყება პრაქტიკული სამუშაო და ხორციელდება შესაბამისი პროცედურები.

ქცევის ეს თეორია უზრუნველყოფს ობიექტური საფუძვლით, რომელზეც შეიძლება კონცეფციების განსაზღვრა. “სამართლიანობა”, “სოციალური კეთილდღეობა” და “დემოკრატია” უკავშირდება ისეთ პირობებს, რომლებიც აკმაყოფილებენ იდენტურობის, აღიარების და ავტო-ნომიის ადამიანურ მოთხოვნილებებს, და ყველა მათგანი გულისხმობს თანასწორუფლებიანობას.

თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე პარადიგმატული გარდატეხის დროს, არსებობს დაპირისპირება თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის. ეს გასაგებიც არის, განსაკუთრებით ამ შემთხვევაში. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფუნდამენტურ პარადიგმატულ ცვლილებასთან, რომელიც პირდაპირ კავშირშია პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძვლებთან. ეს ახალი პარადიგმა უპირისპირდება ტრადიციულ ცნებას, რომ შესაძლებელია ინდივიდის სოციალიზაცია ინსტიტუტების მოთხოვნებიდან გამომდინარე და აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ინსტიტუტები უნდა შეეწყონ თანდაყოლილ და უნივერსალურ ადამიანურ მოთხოვნილებებს.

### **პოლიტიკური გამოცდილება**

უკანასკნელმა მოვლენებმა აღმოსავლეთ ევროპაში განაპირობა ჩვენი ყურადღების მიპყრობა ამგვარ რეალობაზე. თუმცა ჯერჯერობით ჩვენ არ ვართ მზად მივუსადაგოთ ეს გაკვეთილი ჩვენს საზოგადოებებს. ჯერ ვერ მოხერხდა იმის გაცნობიერება, რომ ის რაც მოხდა აღმოსავლეთ ევროპაში ისტორიული პროცესების ნაწილია, გამოწვეული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ონტოლოგიური ბრძოლით, რომელიც უნდა მოხდეს ყველა იმ საზოგადოებაში, სადაც ავტორიტარული კონტროლი და არათანასწორ-უფლებიანი ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ადამიანის უფლებებზე დაყრდნობილი პოლიტიკის რაციონალიზება, რომელიც მოხერხებულად მორ-გებულია იმაზე, რომ მოხდეს არსებული კულ-ტურებისა და ინსტიტუტების შენარჩუნება, ვერ შეძლებს ადამიანური მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობის თავიდან აცილებას.

ჩვენ გამოვლილი გვაქვს კოლონიალიზ-მისა და იმპერიალიზმის სხვადასხვა ტიპები, მაგრამ საზოგადოებები ჯერ არ არიან მზად იმისათვის, რომ გამოიყენონ ძალაუფლების ჩავარდნის ეს გაკვეთილები საკუთარი საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად. ნარკო-ძალადობა და ძველბიჭურ ბანდებს შორის ომები სოციალ-ური დეპრივაციის სიმპტომებს წარმოადგენენ; მათთან გამკლავება შესაძლებელია მხოლოდ დეპრივაციის პრობლემის მოგვარებით. ეთნიკური კონფლიქტები აღიარებისა და ავტონომიის ნაკლებობის სიმპტომებს წარმოადგენენ და მათი თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ კონსტიტუ-ციური ან, შესაძლოა, საზღვრების ცვლილებებით. კიდევ უფრო დიდ პრობლემებს ვაწყდებით იმ ლიდერების პერსონალიზებთან მუშაობისას, რო-მელთა კორუმპირებული და ძალადობრივი ქცევა ასახავს ისეთ კომპლექსებს, რომელთაგანაც მოსახლეობას კონსტიტუციური დაცვის მექანიზ-მები სჭირდება. ისეთი მექანიზმები, რომლებიც შეზღუდავენ ძალაუფლების მქონე ელიტების მიერ გადაწყვეტილების მიღების ამპლიტუდას.

### **კონფლიქტის მოგვარება პრობლემის გადაჭრის გზით**

დღეს აკადემიური სამყარო სერიოზული წინაღობის წინაშეა. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ბაზისურ დაშვებებს და გადავამოწმოთ ისინი. კერძოდ, როგორც ანალიზის ერთეულზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ინდივიდზე და არა სოციალურ ინსტიტუტზე, და პოლიტიკური თეო-რიაც ამის საფუძველზე ავაგოთ. ამგვარი პოლი-ტიკური თეორიიდან, უნდა გამოვყოთ პოლიტიკა და შემდეგ გადავინაცვლოთ მის გამოყენებადო-ბაზე. ამ საფეხურზე, თუ შეგვექმნება პრობლემები, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ახალი მასალა რომელიც უნდა დაემატოს უკვე არსებულ ჰიპოტეტიკურ წინადადებას.

ამგვარია პრობლემის გადაწყვეტის გზით კონფლიქტის მოგვარების გეზი. ამის შედეგად ჩვენ ვიწყებთ თეორიისა და პოლიტიკის ჩამოყა-ლიბებას და პრაქტიკის შემოწმებას.

პროცედურები უკვე მზადაა. უპირველეს ყოვლისა უნდა გაკეთდეს მხარეებისა და საკით-ხების ზედმიწევნითი ანალიზი. შემდგომ აუცი-ლებელია ერთად მოეყაროს თავი იმ ორ მხარეს, რომელთა ურთიერთობებიც გაფუჭებულია, ფასი-ლიტაციის პროცესისას ისეთ ინტერაქტიულ სიტუაციაში, სადაც მათი პრობლემები სიღრმი-სეულად იქნება გაანალიზირებული. დამატებითი მხარეებსა და საკითხებსაც შესაბამისად გამოეყოფათ დროის მონაკვეთი განსაზღვრული პროცედურის მიხედვით. ამ ეტაპზე არ ხდება წინადადებების შემოთავაზება ან რაიმე ვაჭრობა ან მოლაპარაკება. როდესაც, მხარეების მიერ მოხდება შეთანხმება პრობლემის განსაზღვრებაზე და აგრეთვე სრული აღრიცხვა იმ პოლიტიკის დანაკარგებისა, რაც შედეგად მოჰყვა ადამიანური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას, უკვე შეიძლება დაიწყოს პოზიტიური ალტერნატივების წამოყენება. ეს ნაბიჯები დეტალურად არის აღწერილი სპეციალურად ამ საკითხზე შექმნილ სამაგიდო წიგნში (ბარტონი, 1987).

### **კონფლიქტის პრევენცია - თავიდან არიდება**

აუცილებელია აღინიშნოს რომ ერთი კონფლიქტის მოგვარება არ ახდენს ავტომა-ტურად მომდევნოს თავიდან არიდებას. უთანხმო-ების დარეგულირებისაგან განსხვავებით კონფლიქ-ტის მოგვარების მთავარი მიზანი კონკრეტული შემთხვევით არ მოიწურება. კონფლიქტის

მოგვა-რების პროცესები ანალიტიკურია და პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული, და ეს მიდგომა ჯდება თეორეტიკულ ჩარჩოებში. ამგვარად ამ მიდგომის მთავარი აქცენტი მხოლოდ კონფლიქტის პრევენციაში (წინასწარ თავიდან აცილებაში) არ მდგომარეობს - ანუ კონფლიქტის წყაროების იზოლირებასა და მოშორებაში - იგი ასევე კონ-ცენტრირ-დება კონფლიქტის “პროვენციაზე”: ისეთი პირობების განვითარებაზე, რომლებიც ქმნი-ან თანამშრომლობით ურთიერთობებს. (ბარტონი, 1990 ა, ბ: ბარტონი და ლუკსი, 1990 ა, ბ).

ამ მხრივ კონფლიქტის მოგვარება რადიკალურად განსხვავდება ნებისმიერი დარეგულირების პროცესების პრაქტიკისაგან: ეს მიდგომა დაინტერესებულია პოლიტიკურ ფილოსოფიაზე დაფუძნებული წინასწარმეტყველებითა და პოლი-ტიკის ფორმაციით, რომელიც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უნივერსალური ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებების ძირითად მიზანს.

ავილთ მაგალითი სამხრეთ აფრიკის, ფიჯის, შრი-ლანკის, კვიპროსის, ჩრდილოეთ ირლანდიის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის სიტუაციებიდან. სამხრეთ აფრიკაში არსებობს თეთრკანიანთა უმცირესობა, რომელიც დაინტერესებულია საკუთარი ავტონომიის შენარჩუნე-ბით, ასევე სხვა ადგილებშიც უმცირესობები ცდილობენ მიაღწიონ საკუთარ განცალკევებულ იდენტურობას. სამხრეთ აფრიკაში საარჩევნო ფორმულა - ერთი ხმა ერთ კაცზე - ჩააყენებდა უმცირესობებს იგივე მდგომარეობაში, როგორშიც იმყოფებიან დანარჩენი უმცირესობები, რომლებიც ცდილობენ გამოყოფას. მაშინ რატომ დავუჭირით მხარი ერთ-ხმა-ერთ-კაცზე საარჩევნო ფორმულას სამხრეთ აფრიკაში შეცვლილი კონსტიტუციური ფორმის ნაცვლად, რომელიც უმცირესობათა მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებდა?

იგივე ტიპის დასკვნები შეიძლება მიუყენოთ ყველა საზოგადოებრივ დონეს. “ძველბი-ჭურ-ქურთი” ჯგუფების წევრების გამოკვლევა აჩვენებს რომ ამ ჯგუფების წევრები არიან ადამიანები, რომლებიც მოკლებულნი არიან ურთიერ-თობებს და ისინი გამწარებულნი ეძებენ ამ ურთიერთობებს სადაც შეუძლიათ. ისეთი სოცი-ოლოგების შრომა, როგორებიც არიან ბოქსი (1971) და საიტსი (1971), გვაჩვენებს, რომ კანონსაწინააღმდეგო და დაუფარავად ანტი-სოციალური საქციელი, ხშირად თუ არა ყოველ-თვის აშკარა ხდება ალტერნატივების არარსებობის პირობებში.

### **საწარმოო უთანხმოების ალტერნატიული მოგვარება - ADR**

ამ მომენტისათვის კარგი იქნებოდა თუ კომენტარს გავუკეთებდით “საწარმოო უთანხმოების ალტერნატიულ მოგვარებას” (ADR) და განვაცალკევებდით მას პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებულ კონფლიქტის მოგვარებიდან.

ამ კონტექსტში “ალტერნატიული” იგულისხმება როგორც სასამართლოების ალტერნატივა. მართლაც რომ ინსტიტუციონალურად (ADR) წარმოადგენს სასამართლოს დანამატს და ხშირ შემთხვევაში სასამართლო მოითხოვს ამ პრაქტიკის განხორციელებას, სანამ საქმეები მივა სასამართლომდე. დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ თუ ვერ ხერხდება უთანხმოების მედიაცია ან არბიტრირება, მაშინ უნდა მოხდეს მისი განსჯა. ამას უკავშირდება მეორე ფარული დაშვება - ნებისმიერი სიტუაცია, უთანხმოება იქნება ეს თუ კონფლიქტი, მოგვარებადია სამართ-ლებრივ ნორმებზე ან რაიმე ტიპის მოლაპარაკებაზე დაყრდნობით.

მართალია, რომ ძირითადად ADR-ი შეზღუდულია იმ უთანხმოებებით, რომლებიც ფულად კომპენსაციას ან რაიმე მოლაპარაკებად საკითხებს ეხება. მაგრამ ხშირად საქმე გვაქვს ფარულ ელემენტებთან რომელიც მოულაპარაკებად ადამიანურ მოთხოვნილებებს უკავ-შირდება. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ავსტრა-ლიაში იყო საჭაერო პილოტების გაფიცვა. ითვლებოდა რომ ეს გაფიცვა შრომის ანაზღაურებას ეხებოდა. სასამართლოებს,

პოლიტიკოსებს და გაერთიანებებს არ შეეძლოთ ამ ამბის დასრულება. სინამდვილეში ეს სიტუაცია სტატუსს ეხებოდა - პილოტების შეცვლილ სტატუსს. ისინი აღარ წარმოადგენდნენ გამორჩეულ და პატივცემულ კაპიტნებს, როგორც წარსულში. ამ სიტუაციაში ჩართული იყო მოულაპარაკებადი საკითხები, რომლებიც ზედმიწევნით ანალიზსა და მეტად ფრთხილ მიდგომას მოითხოვდნენ. ასე ხდება ხშირად, თუ არა უმეტესწილად, როდესაც დ-ის მეშვეობით ხდება ინდუსტრიული და სხვა საკითხების მოგვარება. ამიტომაც საჭიროა არა დამატება, არამედ ნამდვილი ალტერნატივა რაც უზრუნველყოფდა ანალიტიკურ პრობლემის გა-დაწყვეტაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომლის შემოთავაზებაც სასამართლოებს არ შეუძლიათ.

არსებობს იმის საფრთხე, რომ ADR-ს ხელში ჩაიგდებენ ისეთი ძალები, რომელთა გავლენა სამართლებრივი სისტემის შექმნაში შემცირდა, და რომლებსაც გაუჩნდებათ ახალი ალტერნატივით მანიპულაციის სურვილი.

ამ დაკვირვების შემდეგ კიდევ უფრო წინ უნდა წავიწიოთ. თუ მოხდება პრობლემის გადაწყვეტის პროცესების ინსტიტუციონალიზაცია მათ უნდა შეუტიონ იურიდიულ პროცესებს. თუ პრეცედენტებზე დაფუძნებულ სამართლებრივ ნორმებს არ შეუძლიათ კონფლიქტის გადაჭრა, მაშინ სამართლებრივ ნორმებში ცვლილებები უნდა განხორციელდეს. სასამართლოებმა ასევე უნდა გადადგან ნაბიჯი და შეიგნონ ადამიანური მოთხოვნილებების არსებობა. სამართლებრივი პროცესები კარგად არის ჩამოყალიბებული და შეუძლებელია საშინაო თუ საერთაშორისო პრობ-ლემების მოგვარება მხოლოდ მათი გვერდის ავლით ან ალტერნატივების ძიებით. თვითონ იურისტების საძმომაც უნდა შეიტანოს საკუთარი წვლილი პარადიგმატულ ცვლილებაში, რომელიც აუცილებელია იმისათვის რომ ცივილიზაციები გაუმკლავდნენ მზარდ კონფლიქტებს და ძალა-დობას. საერთაშორისო საზოგადოებრიობის წევრე-ბი, თუნდაც მისი ყველაზე მდიდარი ნაწილისა, ცდილობენ ინსტიტუტებში და პოლიტიკაში ცვლილების შეტანის აუცილებლობის დამტკიცე-ბას პროტესტების, დემონსტრაციების, მათი წევრების ნორმიდან გადახრილი ქცევების, უმცირესობების და არაპრივილეგირებულების დეპრივაციების გამომჟღავნებით. და ეს ცვლილე-ბები უნდა ემყარებოდეს ადამიანთა მისწრაფე-ბებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

თუ სამართლებრივი პროცესები, ADR-ი და სხვები იძულებითი და შემაკავებელი სტრატეგიების ნაცვლად ორიენტაციას აიღებდნენ პრობლემების გადაჭრაზე, მაშინ გარკვეული დროის შემდეგ გაჩნდებოდა ცოდნა იმის შესახებ თუ რა ცვლილებებია აუცილებელი. მაგრამ ამგვარი გადანაცვლება ორიენტაციაში მოითხოვს ბევრ დარგში სერიოზულ ცვლილებებს პროფე-სიულ გაწრთვანაში და პრაქტიკაში, ისევე როგორც გრძელვადიანი ინტერესების აღქმაში.

### კაპიტალიზმისა და კომუნიზმის კრიზისი

მე მივედი ჩემს საბოლოო დასკვნამდე. ცივილიზაციები კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ალბათ დღევანდელი სიტუაცია უფრო კრიტიკულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა წარსულში. წარსული, ფეოდალიზმით დაწყებული ინდუსტ-რიული საზოგადოებით დამთავრებული შედგე-ბოდა ძალოვანი პოლიტიკიდან. შეერთებულ შტატებშიც კი ჯერ არ ყოფილა მოძრაობა რომე-ლიც აუცილებელია მონობის არსის გასაუქმებ-ლად. ეს მონობა მხოლოდ შეუმჩნეველად იცვლი-და ფორმებს. მწარმოებლებისთვის აღარ არის აუცილებელი, რომ ფლობდნენ მონებს და ჩაკეტონ ისინი. ათასობით ასეთი მონა არსებობს გეტოებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ისეთ დაბალ ანაზღაუ-რებაზე, რომელიც ელემენტარული კვების დაკმა-ყოფილების საშუალებასაც არ იძლევა. მათ არ შეუძლიათ გაქცევა, რადგანაც არსადაა

წასას-ვლელი. ის ვინც ცდილობს გეტოდან თავის დაღწევას ქურდობით, ან მწარმოებლების მსგავსად ნარკოტიკებით ვაჭრობით, ციხეში ხვდება. მნიშვნელოვანია რომ აწმყო პირობები დაინახოთ ადამიანური განზომილებიდან: ბატონყმობა, თავის ერთ-ერთ გამოვლინებაში ჯერ კიდევ არსებობს ჩვენში. სანამ ჩვენ ამ ბატონყმობას არ მოვიცილებთ თავიდან, ძალადობა და კონფლიქტი მუდმივად იარსებებს.

ამ მხრივ კაპიტალიზმმა ჩვენ დაგვაღალატა. იგი კონსტრუქციულად უზრუნველყოფდა სტი-მულებს პიროვნული მოგებისათვის, და ამან განა-პირობა რესურსების სერიოზული მოხმარება და განვითარება როგორც გამოთვლილია ეროვნული პროდუქციის აღრიცხვის და რესურსების გამოყენების პერიოდში. მაგრამ შეუზღუდავმა კაპიტა-ლიზმმა მიიყვანა მეწარმეები იქამდე, რომ მათ სათანადოთ ვერ შეაფასეს სოციალური კეთილ-დღეობა: შემოსავლების სერიოზულმა უთანასწო-რობამ გამოიწვია სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. მათ ასევე ვერ შეაფასეს ეკოლო-გიური გარემოს გრძელვადიანი სიჯანსაღე: რესურსების ექსპლუატაცია მომავალი თაობების ხარჯზე ხდება. ამ ტენდენციების შეზღუდვის მცდელობა ე.წ. “მემარცხენე” მთავრობების მიერ წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგანაც მათი ნებისმიერი წარმატება გაანადგურებდა სისტემას. თა-ვისუფალი მეწარმეობის სისტემაში მთავრობის ჩარევის ტიპი და ხარისხი დღესაც დაძაბულობის გამომწვევ საკითხად ითვლება. თუ გავიხედებით მომავლისაკენ, არანაირი ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს ცხოვრების ხარისხის საკითხებს თუ განვიხილავთ - ეს ეხება ყველაზე განვითარებულ, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებებს-საც. იმ საზოგადოებების მომავალი, რომლებიც ჯერ არ არიან ეკონომიკურად განვითარებული, ისეთივე უსახურია, როგორც პრივილეგირებული საზოგადოებების დაჩაგრული წევრებისა.

ცხადზე ცხადია რომ არც კომუნიზმმა გაამართლა. იდეალისტური მოლოდინი იმისა, რომ მომხდარიყო ადამიანთა მოტივირება არა ჯილდოთი, არამედ სოციალური კეთილდღეობით, შეზღუდული აღმოჩნდა. თუმცა არის მოთხოვნა სამომხმარებლო ნაწარმზე, არსებობს, წინააღმდეგობა შრომის ანაზღაურების თაობაზე, იმ ადამიანთა მხრიდან, რომელთაც მოეთხოვებათ ამ ნაწარმის შექმნა.

ორივე სისტემა ავტორიტარული იყო, ისინი კონტროლირდებოდნენ პრივილეგირებული კლასების მიერ. მათ თანდაყოლილ პრობლემებს თუ გავიაზრებთ, ისინი გარდაუვალია. კაპიტა-ლისტურ საზოგადოებებში უნდა მოხდეს შეწინა-აღმდეგება დაუმსახურებელი სოციალური და ეკონომიკური პრივილეგიების მოთხოვნაზე. ბევრ სახელმწიფოში პრობლემებმა თავისუფალ-საწარმოო სისტემაში გამოიწვია აჯანყებები, რაც ხშირად სრულდებოდა სამხედრო დიქტატურით. კომუნიტურ საზოგადოებებში აუცილებელი გახდა რეპრესირება იმ მოთხოვნებისა რომლებიც მიმართული იყო მომხმარებელთა ნაწარმზე და მომსახურებებზე, და საქმიანობის არჩევის თავი-სუფლებაზე.

ორივე სისტემაში ერთიდაიგივე ამოსა-ვალი იგულისხმება: რომ ინდივიდი მთლიანად მანიპულირებადია და შეიძლება მისი სოცია-ლიზაცია ან ქცევითი მოთხოვნების ძალისმიერად მოხვევა. სასამართლოების, პოლიციის ან ალტერ-ნატიული მოგვარების პროცესების რაოდენობრივი ზრდა ვერ მოახდენს ამ სისტემების თანდა-ყოლილი დეფექტების კომპენსაციას.

არცერთ სისტემას არ გააჩნია პრობლე-მებთან გამკლავების საშუალებები ან იმ კონფლიქ-ტების მოგვარების ხერხები, რომლებსაც ქმნიან ქვეყნებს შორის ან ქვეყნებს შიგნით. ეს წარმო-ადგენს ორივე სისტემის საერთო ჩავარდნას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სისტემისა, რომლის განხორციელების მცდელობაც არსებობ-და - მაგალითად ფაშიზმის. ეს იმით არის განპი-რობებული, რომ პოლიტიკურ სისტემებს აქამდე არ ჰქონიათ იმის



გამოცდილება, რომ სისტემაში ცვლილებები გამოეწვიათ, გარდა ძალისმიერი მეთოდებით სისტემის დამზობისა. კონფლიქტი წარმოადგენს სისტემის შეცვლის აუცილებლობის სიმპტომს. კონფლიქტის გადაჭრის და კოფლიქტის პრევენციის პროცესები შეიძლება გახდეს მშვიდობიანი ცვლილებების განხორციელების საშუალება.

### **კონფლიქტის მოგვარება, როგორც პოლიტიკური სისტემა**

შეკითხვა რომლის დასმაც მე მინდა ახლა, არის ის თუ რა ხარისხში შეუძლიათ ანალიტიკურ პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებულ პროცესებს შეუწყონ ხელი განუწყვეტელ ცვლილებასა და ალტერნატიული პოლიტიკური სისტემის შექმნას. კონფლიქტების მოგვარების კონტექსტში ეს შეკითხვა შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ჩვენ უნდა შევხედოთ კონფლიქტისა და მისი მოგვარების პრობლემის ბუნებას.

უთანხმოებანი მოლაპარაკებად ინტერესებზე ყოველთვის იარსებებენ, ისევე როგორც მენეჯმენტის პრობლემები იმ ადამიანებში, რომელთაც საერთო მიზნები აქვთ. მაგრამ ორთავეს დარეგულირება შეიძლება კონსენსუ-სის ნორმებისა და მენეჯმენტის ტექნიკის გამოყენებით. აქ რა თქმა უნდა დ-ს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. საკმაოდ მარტივ წვრთნას შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს მენეჯმენტის ტექნიკა და მედიაციის შესაბამის ინსტიტუციონალურ ფორმებს შეუძლია დაარეგულიროს ინტერესთა უთანხმოებანი თუ ჩვენ საქმე არა გვაქვს სხვა ძირეულ საკითხებთან. მაგრამ, როდესაც ჩვენ კონფლიქტებთან გვაქვს საქმე, მაშინ სულაც არ არის საკმარისი კონკრეტულ შემთხვევებთან მუშაობა და მათი გადაწყვეტის გზების ინსტიტუციონალიზაცია. აქ საჭიროა პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის თავიდან აცილებას და რომელიც დაგვეხმარება თანამშრომლობითი ურთიერთობების დამკვიდრებაში. “პროვენცია” ხდება ჩვენი მთავარი მიზანი. კონფლიქტების მოგვარება კი, აქედან გამომდინარე, არის პოლიტიკური ფილოსოფიის დარგის ნაწილი. ის მნიშვნელოვანია ყველა სახის სისტემა-სათვის, კაპიტალისტურის, კომუნისტურის და ნებისმიერი სხვისათვის. პრობლემების გადაჭრის პროცესები და კონფლიქტების პროვენციის პოლიტიკა არის ის ელემენტი, რომელიც აკლია ჩვენს მიერ ნახსენებ არაადეკვატურ და კრიზისში მყოფ, ჩავარდნილ სისტემებს.

ასეთი პრობლემების გადაჭრა ყველა იდეოლოგიურ კონცეფციაზე ზემოთ დგას. ის არც “მემარჯვენეა” და არც “მემარცხენე”. ის მიესადაგება ნებისმიერ სისტემას, და ეს არის პროცესი და ფილოსოფია, რომელიც ყველა სისტემას აერთიანებს.

### **შეჯამება**

ნება მიბოძეთ შეჯამება გავაკეთო. მენეჯ-მენტის პრობლემები და უთანხმოებები მოლაპარაკებად ინტერესებზე მთავარ პრობლემას არ წარმოადგენენ. მათთან მიმართებაში ძალიან ცოტა რამ გაკეთდა წარსულში რადგანაც სისტემები ზედმეტად ელიტისტური და ავტორიტარულნი იყვნენ, მაგრამ ამასთან ერთად ამ წლებში უთანხმოებათა დარეგულირების ტექნიკაში დიდი წინსვლა შეიმჩნევა. ამ ტენდენციის თანახმად სასამართლოებმა და იურიდიულმა პროცესებმა მოსალოდნელია რომ შეცვალონ ნორმები და პროცედურები, იმისათვის რომ ბევრად მეტი მხარე ჩართონ უთანხმოებაში.

კონფლიქტების მოგვარება მეორეს მხრივ უგულვებეყოფილი თემაა. ამ საკითხის გადაჭრა დიდი ამოცანაა ყველა არსებული კაპიტალისტური, კომუნისტური, ან სხვა სისტემებისათვის. ამ პროცესს შეუძლია მოაწესრიგოს მეტად რთული სიტუაციები - როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო. მისი შემადგენელი ინტერაქტიული პრობლემების გადაჭრის პროცესები უკვე გამოცდილია და იძლევა ძალიან დიდ იმედს. მაგრამ

კონკრეტული კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ დასაწყისია. მიუხედავად იმისა რომ ასეთი მუშაობა გვეხმარება კონფლიქტის ბუნების სიღრმეებში ჩაწვდომაში და გამოძვევი მიზეზების დადგენაში, თავისთავად კონფლიქტების საკითხს არ ამოწურავს. კონფლიქტების პროვენცია არის მიზანი. ორივე მათგანი ნაწილია სისტემური ცვლილებისა, და მათი თეორიული ჩარჩოები მიუთითებს პოლიტიკურ სისტემებს საჭირო-როტო მიმართულებით.


## მოთხოვნილებები და ურთიერთგაგების სიძნელები

### დალი ბერეკაშვილი

ამ მცირე წერილს ბიძგი მისცა ჯონ ბარტონის მნიშვნელოვანმა იდეამ იმის შესახებ, რომ თუკი ადამიანთა ძირითადი მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ამ საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებას ტრადიციული მეთოდებით დიდი პრობლემები ექმნება და საუკეთესო გამოსავალია კონფლიქტის პრევენცია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზით.

დგება კითხვა: რას წარმოადგენენ ეს ძირითადი მოთხოვნილებები?

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ საკითხში ბარტონი ეყრდნობა მასლოუს, ცნობილ ამერიკელ ფსიქოლოგს, რომელმაც შეიმუშავა მოთხოვნილებათა იერარქიული სისტემა, ე.წ. “მოთხოვნილებათა პირამიდა”.



მოთხოვნილებათა იერარქიული სისტემა მასლოუს მიხედვით:

პირამიდის საფუძველშია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები – შიმშილი, წყურვილი, ჰაერის მოთხოვნილება, ორგანიზმისთვის არასაზიანო ტემპერატურა და სხვა; შემდეგ მოდის უსაფრთხოების მოთხოვნილება, რაც გულისხმობს უფრო ხანგრძლივადიანი გადარჩენის მოთხოვნილებას; უფრო ზემოთ მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება – ეს არის ადამიანის მოთხოვნილება ვინმეს უყვარდეს და თვით უყვარდეს ვინმე, აგრეთვე ადამიანთა რაიმე – დიდ, ან მცირე – ჯგუფს მიეკუთვნებოდეს; შემდეგ, საკუთარი თავის პატივისცემის მოთხოვნილება; ბოლოს – თვითაქტუალიზაციის – საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზაციის მოთხოვნილება.

მასლოუს სქემის საფუძველად დევს დაშვება, რომ წამყვანი მოთხოვნილებები, რომლებიც უფრო დაბალ დონეს მიეკუთვნებიან მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებულნი უნდა იყვნენ, რათა

ადამიანმა იგრძნოს და მოტივი-რებული იყოს მოთხოვნილებებით, რომლებიც უფრო მაღალ დონეზე არიან. მაშასადამე, ერთი ტიპის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული უნდა იყოს, რათა ზედა დონის მოთხოვნილება გამოძვლავნდეს და ამოქმედდეს. ეს ნიშნავს, რომ თუკი, მაგალითად, ადამიანს შია, იგი მხოლოდ საკვების ძიებითა და მისი მოპოვების მცდელობით იქნება დაკავებული, მას სხვა რამით ვერ დააინტერესებ (თუ ამას სხვა, ასეთივე ძირეული, მოთხოვნილება არ დაუპირისპირდა – წყურვილი, სასიკვდილო საფრთხე, უჭაერობა და სხვა).

მოთხოვნილებათა იერარქიის მეორე საფეხური, მასლოუს მიხედვით, არის უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნილება. ამაზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. როცა პირველადი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები – შიმშილი, წყურვილი, ორგანიზმისთვის არასაზიანო ტემპერატურა და ა.შ. დაკმაყოფილებულია, მნიშვნელობას იძენს ხანგრძლივადიანი გადარჩენის მოთხოვნილება. იგი შეიცავს სტაბილური, ორგანიზებული გარემოს, წესრიგისა და კანონის მოთხოვნილებას, მოვლენათა წინასწარმეტყველებადობას და თავისუფლებას ისეთი საშიში ძალებისაგან, როგორებიცაა ავადმყოფობა, შიში და ქაოსი.

უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნ-ნილება ახდენს გავლენას ადამიანებზე, როცა ისინი, მაგალითად, უპირატესობას ანიჭებენ სანდო, სტაბილურ სამსახურს. შემნახველი ანგარიშების შექმნა, დაზღვევა აგრეთვე მოტივირებულია ამ მოთხოვნილებით.

ზოგი ადამიანი, რომელიც ნევროტულ ტიპს განეკუთვნება, ძირითადად მოტივირებულია უსაფრთხოების ძიებით. ის იქცევა ისე, თითქოს მოსალოდნელია დიდი კატასტროფა და მთელი ძალების დაძაბვით ცდილობს საკუთარი სამყაროს ორგანიზებას სანდო, სტაბილური სტრუქტურის სახით, სადაც ადგილი არ ექნება მოულოდ-ნელობას. ასეთი ადამიანის მოთხოვნილება, მასლოუს თქმით, “ხშირად სპეციფიკურად ვლინდება დამცველის: უფრო ძლიერი ადამიანის ან სისტემის ძიებაში, რომელზეც ის იქნება დამოკიდებული”.

უფრო გლობალურად თუ მივუდგებით, შეიძლება ითქვას, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა არ არის, ან, ნაკლებად არის, მოსახლეობის დიდ ნაწილს არასაკმარისად აქვს დაკმაყო-ფილებული უსაფრთხოების, ანუ, ხანგრძლივ-ვადიანი გადარჩენის მოთხოვნილება. სტაბილური ქვეყნის მკვიდრის თვალსაზრისით ასეთი ქვეყნის მოსახლეობა მთლიანად ნევროტული ტიპის იქნება. თუმცა, რადგანაც ასეთი ნევროტიზმი ობიექტურად გამართლებულია, იგი სიტუაციის შესაფერისია, ანუ, ნორმაა. მეორეს, მხრივ, ასეთი ნორმა ქმნის ტოტალიტარიზმის საშიშროებას, რადგან უსაფრთხოების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას მოყვება ისეთი ადამიანისა თუ სისტემის ძიება, რომელზედაც ადამიანები იქნებიან დამოკიდებული და რომელიც ამით მათ სტაბილურობის, სანდოობის, ურყევი მდგომარეობის განცდას მიანიჭებს.

ერთ-ერთი ძირეული მოთხოვნილების არასაკმარისი დაკმაყოფილება, გარდა ხსენებული (ტოტალიტარიზმის) საშიშროებისა, აბრკოლებს უფრო მაღალი მოთხოვნილებების გაჩენას. შეიძლება ბევრ რამეში შეეკამათო მასლოუს, მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ზემონათქვამში ჭეშმარიტების დიდი წილია. ეს ჭეშმარიტება ასახულია ანდაზებშიც, რომლებიც, ასე ვთქვათ, “აშუქებენ” მოთხოვნილებათა იერარქიის სხვადასხვა დონეზე მდგართა ურთიერთგაგების სიძნელეებს. ქართული ანდაზა: “მაძლარი კაცი მშიერს პურს წვრილად უფშენდა, თან აყვედრიდა, რა ღორულად ჭამო”, აფიქ-სირებს იმას, თუ რა ძნელია ბაზისური მოთხოვნილება-დაკმაყოფილებული ადამიანისთვის ამავე მოთხოვნილების ტყვეობაში მყოფის გაგება. იგივეა რუსული ანდაზა: “нóòé àíëíáííá íá ðàçóíáâó”, რომელიც ამ აზრს მარტივად და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გვამცნობს. ასეა, სანამ საკუთარ ტყავზე არ გამოსცდი, თუ რა არის ძირეული, სასიცოცხლო მოთხოვნ-ნილების დაუკმაყოფილებლობა, – რა არის შიმშილი, წყურვილი, უსაზღვრო დაღლილობა,

სასიკვდილო შიში, უსახლკარობა და სხვა, ამაზე რეალურ წარმოდგენას ვერ შეიქმნი.

მეორე ანდაზა: “*æuðó ááñèòñý*” ასახავს, საპირისპიროდ, “პროლეტარულ” თვალსაზრისს იერარქიის ზემო საფეხურის მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების შესახებ. მართლაც, ძნელია, თუ საერთოდ შესაძლებელი, გააგებინო მშვიერ, გაყინულ, ან სასიკვდილო საშიშროებაში მყოფ კაცს, მოცარტის მუსიკის მოსმენის, ან ეკოლოგიურად შეგნებული ქცევის, მაგალითად, ტყის დაცვის აუცილებლობა. თუმცა, ასევე ძნელია გააგებინო ეს ყველაფერი ადამიანს, რომელიც, მართალია, ამ წუთას მშვიერი არ არის და არც უშუალო ფიზიკური საშიშროება ემუქრება, მაგრამ სამაგიეროდ, ამის თაობაზე ხვალინდელი დღის იმედი არა აქვს. სწორედ ამიტომ, როდესაც ბაზისური მოთხოვნილებები მასობრივად ნაკლებად კმაყოფილდება, ხდება საზოგადოების “გასადავება”, კულტურული დეგრადაცია.

ბაზისური მოთხოვნილება-დაუკმაყოფილებელი ადამიანი ძნელად იჯერებს, რომ იმათ, ვისაც ამგვარი მოთხოვნილებები სავსებით დაკმაყოფილებული აქვთ, შეიძლება რაიმე სერიოზული პრობლემა ჰქონდეთ – “ნეტაი, თქვენ, რა გადარდებთ!” – გამოხატავს მის დამოკიდებულებას. ამიტომ მაგალითად, აქაური გაჭირვებული კაცი ვერ იჯერებს, რომ მდიდარი ქვეყნის მცხოვრების სიძნელებები, რომელსაც “თავზე გადასდის” ყველაფერი, “ყურით მოთ-რეული”, და “ძალად შექმნილი” არ არის, რომ ის ამით უბრალოდ “თავს არ ირთობს”.

არადა, ეს “ძალად მოგონილი” პრობლემა ისეთივე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მისთვის, ვისაც აწუხებს, როგორც ჩვენთვისაა ჩვენი.

თუ კონფლიქტების თემას გავიხსენებთ, მაშინ ზემოთქმულიდან მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა შეიძლება: კერძოდ, თუ მოთხოვნილებათა იერარქიის ძალად დონეზე მყოფი ერევა დაბალი დონის მოთხოვნილებათა კონფლიქტში, იგი ვერ, ან, ძნელად გაუგებს მოკონფლიქტე მხარეებს; მეორეს მხრივ, მოთხოვნილებათა იერარქიის დაბალი დონის (საბაზისო) მოთხოვნილება-დაუკმაყოფილებელი მხარე უნდობლად მოეკიდება ნებისმიერ რჩევას, რომელსაც მას “მაძლარი” მხარე მისცემს.

ეს ყველაფერი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საბაზისო და მათი მომდევნო მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება ავტომატურად იწვევს ძალად მოთხოვნილებების გააქტიურებას. ეს რომ ასე იყოს, კეთილდღეობა თავისთავად გამოიწვევდა “კეთილშობილებას”, ანუ, მატე-რიალური სისავსე ზნეობრივ სისრულეში გადავიდოდა, ან სიმდიდრე თავისთავად ბედნიერებას მიანიჭებდა თავის მფლობელს. როგორც ცნობილია, ეს სულაც არ არის ასე (მაგალითად, გამოკვლეულია, რომ ბედნიერი ადამიანების წილი – პროცენტული შემადგენ-ლობა – ერთნაირია ყველა ფენებში, მდიდრებში და ღარიბებში, ჯანმრთელებში და ინვალიდებში); მასლოუ ამას არც ამბობს. მისი აზრით უმაღლესი – თვითაქტუალიზაციის – მოთხოვნილება ყველა ადამიანშია, მაგრამ მოსახლეობის მხოლოდ, დაახლოებით, ერთი პროცენტი ახდენს მის რეალიზაციას. “თვითაქტუალიზაცია” მასლოუს გაგებით ნიშნავს საკუთარი თავის სრულ გამოვლენას, სრულ ფუნქციობას; ნიშნავს გაბედო ნამდვილად იყო ის, ვინც ხარ და საკუთარ ცხოვრებას შემოქმედებითად მიუდგე. ეს არ გულისხმობს მაინცდამაინც სურათების ხატვასა და მუსიკის წერას. შეიძლება იყო, მაგალითად, თვითაქტუალიზებული მხარეული. როგორც მასლოუ ამბობს, კარგ სუპში გაცილებით მეტია ხელოვნება, ვიდრე საშუალო ლექსში. თვითაქტუალიზებული პიროვნების ჩამოყალიბებას შესაფერისი პირობები უნდა და ამის მიხედვით არსებობს მეტ-ნაკლებად ხელშემწყობი საზოგადოება. თავისუფლება და დემოკრატია ამ აზრით ხელშემწყობია.

მოთხოვნილებათა იერარქიის ზემო საფეხურებზე მყოფი ადამიანისათვის თვითაქტუალიზაცია, – მაგალითად, შემოქმედებითი სისავსე – იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეიძლება სიკვდილ-სიცოცხლის საქმედ იქცეს. და – აქ უკვე იერარქიული სქემის უკუპროცესი მიდის – ასეთ

დონეზე ასული ინდივიდისთვის მცირდება ბაზისური მოთხოვნები მნიშვნელობა და წილი: შემოქმედებითი წვის დროს ხელოვანი ვერ გრძნობს შიმშილსა და უძილობას; თავისუფლების იდეისთვის ითრგუნება სიცოცხლის გადარჩენის უძლიერესი ინსტიქტი; შექმნების მოთხოვნებით გატაცებული მეცნიერი შეიძლება უგულვებელყოფდეს ფიზიკურ კომფორტსა და “ოჯახურ სიბოძს”; და – მაქსიმალური გამოვლინება, – ღმერთთან სიხლოვეს მონღომებული მარტვილი შეგნებულად და სიხარულით ამბობდეს უარს ყოველგვარ “ხორციელ” მოთხოვნილებაზე.

არ ვიცი, რას იტყოდა თვით მასლოუ ასეთ ხატოვან წარმოდგენაზე, მაგრამ სრული შთაბეჭდილებაა, რომ ამ შემთხვევებში პირამიდა ბრუნდება - წვერზე ღებება, ძირით კი “ცას ებჯინება”.

ეს შესაძლებელია, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ მდგომარეობაში წონასწორობის შენარჩუნება ძალიან ძნელია.

ამიტომ, ადამიანთა უმრავლესობა მაინც მოთხოვნილებათა იერარქიის პირამიდის კანონზომიერებას ემორჩილება, მაშასადამე, სტაბილურ, აყვავებულ საზოგადოებაში ბაზისური მოთხოვნები მასობრივად უნდა კმაყოფილდებოდნენ სწორედ ამ სტაბილობის შენარჩუნებისა და საზოგადოების აყვავების მიზნით. გარდა ამისა, ასეთ საზოგადოებებში, კარგი პირობები იქმნება ბევრი თვითაქტუალიზებული ადამიანის ჩამოსაყალიბებლად, ხოლო ეს უკანასკნელი, დიდწილად, ხელს უწყობენ თვით საზოგადოების განვითარებას.

## სტუდენტის თვალსაზრისი

### ნანიკო ბარამიძე

#### *საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასპირანტი*

კონფლიქტი - ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელიც ჩნდება ყველგან - ნებისმიერ კულტურაში, ნებისმიერ საზოგადოებაში, ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფში. კონფლიქტები განიხილება სამ სხვადასხვა დონეზე - პიროვნებებს შორის, ჯგუფებს შორის და საზოგადოებებს შორის.

როგორც წესი, მხარეების მიერ ინტერესები განიხილება როგორც მათი პოზიციების ფუნქციონალური და პრაქტიკული შედეგი. ინტერესები, თავისი მხრიდან მოტივირებულია მოთხოვნილებებით, რასაც სოციალური და ფსიქოლოგიური მოთხოვნების “ღრმა ფესვები” გააჩნია. ეს მოთხოვნები:

1. უსაფრთხოება (ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური);
2. იდენტურობა;
3. ემოციური და ფიზიკური კეთილდღეობა;
4. ღირსება;
5. თვითგამორკვევის უფლება;
6. პატივისცემა;
7. სამართლიანობა.

ამ მოთხოვნებთა დაუკმაყოფილებლობამ მართლაც შეიძლება მიგვიყვანოს სხვადასხვა სახის კონფლიქტებამდე - ეთნიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და ა.შ. როდესაც კონფლიქტები წარმოიშვება, მაშინ საჭიროა მათი რეგულირება, მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს მთავრობა, საზოგადოება იმისთვის, რომ არ დაუშვას კონფლიქტი? რამ უნდა შეუწყოს ხელი კონფლიქტის თავიდან აცილებას? რა სახის პრევენციული საშუალებები არის

ჩასატარებელი იმისადვის, რომ ავარიდოთ კონფლიქტს თავი, აღარ განმეორდეს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტრაგედიები. ასეთივე ეთნიკური კონფლიქტები მოსალოდნელია ისეთ რეგიონებში, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები. ასეთი სახის კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად გასათვალისწინებელია, და ეს პირველ რიგში ხელისუფლებას ეხება, ეთნიკური კონფლიქტების პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. როგორც ვიცით, ეთნიკური კონფლიქტის გაჩენის აუცილებელი პირობაა ერთ ცალკეულ ქვეყანაში ორი ან მეტი სხვადასხვა კულტურული ჯგუფის არსებობა. ამ ჯგუფებს შორის განსხვავებები შეიძლება განპირობებული იყოს რელიგიით, ენით, რასით, ნაციონალური ხასიათით ან ამ ფაქტორების კომბინაციით.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად მიმდინარეობს დღეს საქართველოში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე მუშაობა, იმის თქმა, რომ საერთოდ არ მიმდინარეობს, არ იქნებოდა ზუსტი. არსებობს ორგანიზაციები და ადამიანები, რომლებიც თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ამას აკეთებენ. იმართება შეხვედრები, ტარდება ტრენინგები, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ხდება ზოგჯერ მთავრობის მიერ დახმარების გაცემაც. საინფორმაციო საშუალებებიც წერენ და საუბრობენ ამ თემაზე. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება საქველმოქმედო შემოწირ-ვებიც, არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ შეძლებისდაგვარად თავისი წვლილის შეტანას, მაგრამ ისეთ ქვეყანაში, როგორც დღევანდელი საქართველოა, სადაც ამდენი ლტოლვილია, ამდენი უმუშევარი, სადაც მოსახლეობის უმეტე-სობა სიღარიბის ზღვარს ვერ ასცილებია, სადაც ყოველდღე გესმის როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები, როგორ იკლავენ თავს სასოწარკვეთამდე მისული ადამიანები, ეს არის წვეთი ზღვაში. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ დროს მოსალოდნელია სოციალური კონფლიქტების წარმოქმნა.

იმ კითხვას რომ ვუპასუხოთ, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებელი ძირეული ადამიანური მოთხოვნილებები უსაფრთხოებისა, ლაპარაკია ფიზიკურ, ფსიქო-სოციალურ, ეკონომიკური უსაფრთხოების განზომილებებზე, - ძალიან ცუდად რომ არ ვთქათ, საერთოდ არ არის დაკმაყოფილებული. პენსიონერებს უყინავენ პენსიას, სამსახურში არ არიგებენ ხელფასს. ახალგაზრდები უმაღლესი სასწავლებლის დამ-თავრების შემდეგ ვერ შოულობენ სამსახურს. ავადმყოფი ადამიანი ვერ მიდის ექიმთან. მარტოხელა მოხუცები შიმშილობენ. ქუჩები გატენილია მათხოვრებით. საინფორმაციო საშუა-ლებების სიუჟეტები დაემსგავსა “საშინელებათა ფილმების” სცენარებს. სასოწარკვეთილი ადამი-ანები მეტროს მატარებლებს ბორბლებში უხტე-ბიან. განრისხებული ადამიანები გზებს კეტავენ. არ არსებობს საშუალო ფენა. არ დაადგა საშველი მრეწველობის ამუშავებას. მოსახლეობის 80% ვაჭრობს - ერთ ადგილას ყიდულობს, მეორე ადგილას ყიდის იმისთვის, რომ შიმშილით არ მოკვდეს. ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანებს პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილებები დაკმაყოფილე-ბული არ აქვთ, იქ სიმშვიდე და ცივილიზებული ცხოვრება არასოდეს არ იქნება. ხელისუფლებამ და მოსახლეობის მდიდარმა ფენამ ე.წ. ელიტა-რულმა, თუ უნდა, რომ თვითონაც საფრთხეს აარიდოს თავი, პირველ რიგში ამ საკითხზე უნდა იზრუნოს. უნდა დაიცვას ადამიანების ძირეული მოთხოვნა უსაფრთხოებისა. შექმნას სამუშაო ადგილები, სადაც ისეთი ანაზღაურება იქნება, რომ ადამიანმა თავისი უსაფრთხოების მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მოხუცებზე და ავადმყოფებზე.

იდენტურობის მოთხოვნილებამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი. ლაპარაკია კლასობრივ, სქესობრივ, რელიგიურ და სხვა იდენტურობაზე. ქალებმა მიხედეს თავიანთ თავს და დააარსეს ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ორგა-ნიზაციები. სამწუხაროდ, ხდება რელიგიურ უმცირესობათა დევნა, მათი უფლებების შელახვა. გასაგებია, რომ მართლმადიდებელი ქვეყანა ვართ და ჩვენი რელიგია და რწმენა არავის არ უნდა



დავაზაგვრინოთ, მაგრამ ეს ცოტა ცივილიზებულად თუ არ გავაკეთებთ, აქაც შეიძლება სოციალურ კონფლიქტს ჰქონდეს ადგილი. (ამის შემთხვევები სამწუხაროდ უკვე რამდენიმე იყო).

ასევე სამწუხაროდ საქართველოში დღეს არსებობს მეორეხარისხოვანი, მესამეხარისხოვანი და რაც ყველაზე სავალალოა, არასრულფასოვანი მოქალაქების ფაქტორი. ამდენი სტრესგადატანილი ადამიანი, რომელიც თავისი თავის რეალიზებას ვერსად ვერ ახერხებს, არარაობად გრძნობს თავს. ძლიერ იმატა ფსიქიურად დაავადებულ და დეპრესიაში მყოფ ადამიანთა რიცხვმა.

სოფლელი-ქალაქელი, ქალი-კაცი, ქართველი-არაქართველი, “კაიტიპი-გოიმი”, მე აქ დავამატებდი თბილისელი-ლტოლვილი. ეს გამოთქმები თავისთავად თითქოს არაფერს განსაკუთრებულს არ ნიშნავს, უბრალოდ ფაქტის კონსტატაციაა, მაგრამ დღეს მათში (უფრო სწორედ ერთ-ერთ ორთაგანში) დამამცირებელი და უარყოფითი ელემენტებია ჩადებული, ამიტომ საკმაოდ მტკივნეულად აღიქმება. მე ვთვლი, რომ ეს გამოთქმებიც ხშირად უაზრო კონფლიქტის მიზეზი ხდება და უკეთესია თავი შევიკავოთ, ისედაც ბევრი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი.

ამრიგად, როგორც ჩანს, კონფლიქტები ჩვენი ცხოვრების ის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოითხოვს პრევენციულ სამუშაოებს, და ასევე საჭიროებს გათვითცნობიერებას საზოგადოების მხრიდან. ბუნებრივია, რომ უპირველეს ყოვლისა ამ თემაზე უნდა იზრუნოს დღესდღეობით ქვეყანაში იერარქიულად არსებულმა ყველაზე ძლიერმა საფეხურმა, ანუ სახელმწიფო სტრუქტურებმა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება არ უნდა იქნას ჩართული კონფლიქტის თავიდან აცილების წინასწარ სამუშაოებში. ანუ სიტუაცია ფაქტურად მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს (სამოქალაქო საზოგადოება) შორის, არამედ კერძო სტრუქტურებსა და დარჩენილ საზოგადოებას შორისაც. ამ წრის ყველა წევრს თავის როლი გააჩნია ქვეყნის მომავალი მშვიდობიანი კეთილდღეობის მოსაპოვებლად.

## ინტერვიუები ბარტონის თემაზე

### დათო ტურაშვილი, მწერალი

კონფლიქტს იწვევს უამრავი აგრესია, რომელიც გროვდება იმ გარემოში სადაც ადამიანს არ გააჩნია ნორმალურად არსებობის პირობები, სადაც არ არის დაცული უფლებები და არ არსებობს უსაფრთხოების გარანტიები. აქედან გამომდინარე ადამიანი კონფლიქტური ხდება. ადამიანები ნაკლებად კონფლიქტურები არიან ისეთ გარემოში, სადაც მათი უფლებები არ ილახება, მითუმეტეს ხელისუფლების მხრიდან. ჩვენთან არსებული კონფლიქტები აღარ არსებობს ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო არ უქმნის ადამიანებს ამის გამოწვევს პირობებს. კონფლიქტების მოგვარება ორმხრივი პროცესია – მარტო ქვემოდან რაიმეს შეცვლა შეუძლებელია, ზემოდანაც უნდა განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები. მოქალაქეებმა როგორც არ უნდა მოინდომონ რომ არ იყვნენ კონფლიქტურები, ამის ცალმხრივად გადაჭრა მაინც ძნელია. ხელისუფლებისა და გარკვეული ელიტის გარდა ფაქტურად ყველა კონფლიქტოგენურ სიტუაციაში იმყოფება.

რაც შეეხება ახალ პოლიტიკურ ფილოსოფიას, რომელიც არც მემარჯვენე იქნება და არც მემარცხენე, შესაძლოა ცოტა მოგვიანებით ადამიანები მივიდნენ იქამდე, რომ განხორციელდეს

ამგვარი ცვლილებები. ამას გამოცდილება განაპირობებს. ორივე ტიპის სისტემას პრობლემები მოაქვს, რადგანაც ორივე რადიკალურად გამიჯნული პირობების შექმნელია, მნიშვნელოვანია რომ მოხდეს გარკვეული სახის სინთეზი. ეს ადრე თუ გვიან მოხდება, და იქნება უფრო მეტი მცდელობა იმისა, რომ შეიქმნას ისეთი სოციალური გარემო, სადაც აღმოიფხვრება ორივე სისტემის სიმანხვეები. ადამიანი აუცილებლად მივა აქამდე, რადგანაც იგი ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაზე მაღლა დგას, მისი მოქცევა გარკვეულ ჩარჩოებში ან დოგმებში და მისი ამგვარი დაკმაყოფილება წარმოუდგენლად მეჩვენება.

### გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი

რაც უფრო განვითარდება ქვეყნის რესურსები, ამოქმედდება ქვეყნის პოტენციალი და რაც უფრო გაჯანსაღდება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მით უფრო მეტი შანსი იქმნება კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის და ამავე დროს ახალი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. კონკრეტული მაგალითი რომ ავიღოთ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საქართველოში ვერ მოწესრიგდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამის განხორციელება დიდი სტიმული იქნებოდა იმისათვის რომ მოლაპარაკებების შედეგად რეალური გამხდარიყო ფედერალიზმის მოდელის მიღება ორივე მხარის მიერ. მაგრამ პროცესების ასეთ განვითარებას შანსი არ მიეცა ნაწილობრივ იმის გამო რომ საქართველოში გაუარესდა მდგომარეობა, განვითარდა კორუფცია, ეს ყველაფერი ხელზე დაიხვიეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის პროპაგანდისტებმა.

სამოქალაქო ომის პერიოდში ცხადი გახდა რომ საქართველოში ეთნო-ნაციონალისტურმა იდეებმა ფეხი მოიკიდეს, ეს ყველა შემთხვევაში დესტრუქციულ მიმართულებას წარმოადგენს და უნდა ვეცადოთ ამ ტენდენციების თავიდან აცილება. გარდა ამისა აუცილებელია მეტი ყურადღების დათმობა ურთიერთობების გაჯანსაღებისათვის ყველა დონეზე. ვინაიდან საზოგადოების კლიმატის სიჯანსაღის ხარისხზე იქნება დამოკიდებული ერის კონსოლიდაცია, ხოლო ერის კონსოლიდაცია აუცილებელია ყველა დიდი საკითხის გადასაწყვეტად.

რაც შეეხება გენდერულ საკითხებს მოსახლეობის შეგნება ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად დაბალია, რაც ძალიან შემაშფოთებელია. მიუხედავად იმისა რომ საქართველო ქალის კულტის ქვეყანად ითვლება, ქალი რეალურად განიხილება როგორც მეორე რიგის არსება მოსახლეობის ფართო ფენებისა და ჯგუფების მიერ, რაც აბსოლუტურად მიუღებელია ოცდამეერთე საუკუნეში ცივილიზებული ერისათვის, რომელიც ცდილობს ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ასპარეზზე. კლასობრივ საკითხებზე თუ ვილაპარაკებთ საქართველოში კლასები შექმნის პროცესშია - შეიქმნა ძალიან ვიწრო, მდიდართა კლასი, შეიქმნა ღარიბთა კლასი რომელიც დღითი დღე უფრო დატაკდება, ამავე დროს არ შეიქმნა ის საშუალო კლასი რომელიც ჩვენი სოციალური და ეკონომიკური განვითარების საყრდენი უნდა იყოს. ამ კლასის განვითარება უნდა მოხდეს მცირე ბიზნესის, შესაბამისი კანონმდებლობის, სამართალ-წესრიგის დამყარების, ცნობიერების შეცვლის მეშვეობით. ამ ყველაფრის უკან დგას ძალიან სერიოზული საკითხი - სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და სამოქალაქო შეგნების და ღირებულებების ჩამოყალიბება ადამიანებში. ყოველივე ეს მოითხოვს განათლების სისტემის რეფორმას, მის თანამედროვე რელსებზე გადაყვანას.

- ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აშინებს, ის რომ კონფლიქტების მოგვარების ფილოსოფია გახდეს ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძველი, რადგან ითვლება რომ უკონფლიქტო განვითარება და უკონფლიქტო მენტალიტეტი არის სისუსტის მაჩვენებელი,

კომპრომისული სულისკვეთება განიხილება როგორც გამოუსადეგარი და ირჩევენ შეტევის სტრატეგიებს. ერთი მეორეს აბსოლუტურად არ გამოირიცხავს. ასერტიული, პრო-აქტიური ქცევა და ამავე დროს კონფლიქტების პრევენცია ანუ უსაფუძვლოდ დაძაბულობის არ შექმნა საზოგადოებაში არის აბსოლუტურად ნორმალური და მისაღები სიტუაცია. შეიძლება ითქვას რომ კონფლიქტების მოგვარება და კონფლიქტების თავიდან აცილება არის გარკვეული პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც შეიძლება გახდეს ქვეყნის ფილოსოფიის საფუძველი.

### გიგა ბოკერია, თავისუფლების ინსტიტუტი:

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეცვლა შეიძლება საკმარისი არ იყოს კონფლიქტების მოგვარებისათვის, მაგრამ ეს უდაოდ აუცილებელია. საქართველო ჯერ-ჯერობით ისეთი ქვეყანაა რომელიც ვერ აკმაყოფილებს საკუთარ მოქალაქეებს, ამრიგად არ არის გასაკვირი, რომ იმ ტერიტორიებზე, სადაც კონფლიქტოგენური სიტუაციაა, ნაკლებად არსებობს პრო-ქართული ტენდენციები. აქედან გამომდინარე აფხაზეთისა და ოსების პოზიცია შესაძლოა გასამართლებელი არ არის, მაგრამ გასაგებია. დღესდღეობით ომი წაგებულია, არსებობს მტრული განწყობები და შურისძიების მოტივაცია, ხშირ შემთხვევაში საფუძვლიანი შურისძიების, ამ სიტუაციაში სრულიად გასაგებია, რომ ნებისმიერი პატრიოტი აფხაზი შეეწინააღმდეგება ამგვარი საქართველოს მის ტერიტორიაზე შესვლას - ისინი განიცდიან საფრთხეს ჩვენი მხრიდან. როგორც კი ჩვენ ძალა გვექნება, მათი შანსები იმისა რომ იარსებონ ძალზე პატარა გახდება. თუ საქართველო გახდება ჭეშმარიტად თავისუფალი სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებებს და ღირსებას პატივს სცემენ, სადაც არსებობს თამაშის გარკვეული წესები, ეს იქნება ყველაზე მოკლე გზა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და კონფლიქტების მოსაგვარებლად.

რაც შეეხება კლასობრივ კონფლიქტებს, საბედნიეროდ და ამავე დროს სამწუხაროდ მე ვერ ვხედავ ამ ტიპის აფეთქების საშიშროებას. აფეთქება შეიძლება მოხდეს იქ, სადაც არსებობს გარკვეული მოლოდინები, მე კი მგონია, რომ საქართველოში ამ ეტაპზე რეალური მოლოდინები არ არსებობს, თუმცა ეს არ ნიშნავს დაპირისპირების არ არსებობას. ჩემი აზრით, არ არის იმის პირობები რომ ეს ორგანიზებულ მოძრაობაში გადაიზარდოს. მოსალოდნელია კიდევ უფრო დიდი დეზინტეგრაცია არა ტერიტორიული თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში, რადგანაც ისიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ვართ თუ არა ქვეყანა. სახელმწიფო არა მარტო ხელისუფლების არსებობას ნიშნავს, არამედ გარკვეული ერთიანობის შეგრძნებასაც, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ გაგვანია. საზოგადოება ფაქტიურად იყოფა ორ ნაწილად. ნომენკლატურა, რომელიც სარგებლობს შექმნილი სიტუაციით და მორალურად და მატერიალურად დამკვიდრებული აქვს თავი, და ბევრად უფრო დიდი მასა, რომელიც ვერ ახორციელებს ვერც უფლებებს და ვერც მოვალეობებს. აქედან გამომდინარე სანამ არსებობს ასეთი დაყოფა და დაპირისპირება ერის ან ქვეყნის მთლიანობაზე ლაპარაკი აბსურდია. გამსახურდიას პერიოდში იყო სწორედ იმის მცდელობა, (არანაკლებ მახინჯი ფორმით) როდესაც ხელისუფლებამ სცადა ხალხის უკმაყოფილების გამოყენება, რომელიც ე. წ. ელიტის წინააღმდეგ. ყოველივე ამან ძალიან მძიმე შედეგები მოგვიტანა მაშინ. მე იმედი მაქვს, რომ ეს პროცესები იმდენად ღრმად არ განვითარდა რომ წარმოშობილიყო კლასობრივი ზიზღი, მაგრამ ეს გამჭრალი რა თქმა უნდა არ არის. თუ გვინდა რომ მშვიდობიანი გზებით მოხდეს სოციალური ცვლილებები, მაშინ საქართველო აღარ უნდა იყოს ის ქვეყანა, რასაც დღეს წარმოადგენს – მმართველმა კასტამ უარი უნდა თქვას იმ პრივილეგიებზე, რაც გააჩნიათ. თავისით ისინი ამას არ გააკეთებენ. ერთადერთი შანსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს სისტემა იხუთება, ის ვერ მუშაობს. შესაძლოა ეს გახდეს წინაპირობა იმისა რომ მმართველმა კლასმა მოახდინოს რაღაცეების გადახედვა. წინააღმდეგ შემთხვევაში საძარცვი აღარ დარჩება არაფერი. ჩემი ხედვა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ძალიან დიდი დრო დავკარგეთ და კიდევ ერთხელ გადაიღო ამ ქვეყნის ნორმალურ ქვეყანად

ჩამოყალიბება. შეიძლება ისტორიის ამ მონაკვეთში ეს ჩვენი უკანასკნელი შანსი იყოს. რადგანაც არსებობს ქვეყნები რომლებიც ათწლეულებს ატარებენ სისხლისღვრაში და არაფერი იქ არ რეგულირდება. ჩემი აზრით დიდი შეცდომაა იმის ფიქრი, რომ სადღაც ვიღაცას ვჭირდებით, რომ ნავთობსადენი გადაგვარჩენს და ა.შ. ეს არის მხოლოდ ქვეყნის განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობა. თუ თვითონ საქართველო და მისი მოქალაქეები ვერ მივლენ იქამდე რომ შეთანხმდნენ თუ როგორი უნდა იყოს ეს ქვეყანა, თუ რა არის ღირებული, სხვაგან ეს საკითხები ვერ და არ გადაწყდება.

მე მგონია რომ ყველაფერი მიდის იმისაკენ, რომ ჩამოყალიბდეს ახალი ტიპის პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც არც მემარჯვენე იქნება, არც მემარცხენე, რადგანაც იმ გაგებით პოლიტიკური კონფლიქტი რომელიც არსებობდა მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის თუნდაც 30 წლის წინ აღარ არის ამდენად აქტუალური. მაგრამ ჩვენს წინაშე ბევრად უფრო მარტივი პრობლემები დგას, ადამიანის ღირსება, მისი უფლებები, თანასწორუფლებიანობა. ეს ისეთი იდეებია რაზეც კამათი აღარ მიმდინარეობს. მხოლოდ ამის მოგვარების შემდეგ არის შესაძლო ფიქრი ისეთ საკითხებზე რაც მწვავედ დგას განვითარებულ ქვეყნებში.

### ნათუნა სანიკიძე, ფსიქოლოგი-კონფლიქტოლოგი:

პირველ რიგში აქცენტი უნდა გაკეთდეს ძირითადი სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი დარჩენილი არის ყოველგვარი სოციალური უზრუნველყოფის გარეშე და ვერ ხერხდება მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერანაირ დონეზე ყოველთვის იარსებებს იმის კერა, რომ რაღაცამ გამოიწვიოს აგრესია და კონფლიქტური სიტუაციები. შესაბამისად მოთხოვნების დაკმაყოფილება და პრობლემების მოგვარება უზრუნველყოფს კონფლიქტის თავიდან აცილებას. პირველ რიგში უნდა არსებობდეს სოციალური უსაფრთხოების განცდა, რადგან საზოგადოება აბსოლუტურად დაუცველია და ყველაფრის ეშინია. ასევე ცვლილებები უნდა განხორციელდეს განათლების სისტემაში - განათლების სისტემა ადაპტირებული უნდა იყოს საზოგადოების მოთხოვნებზე. უნდა არსებობდეს იმის საშუალება, რომ საზოგადოებამ მიიღოს განათლება იმ ფორმით, როგორც თვლის საჭიროდ, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ახალ-გაზრდებზე მაქვს ლაპარაკი.

ხელფასების გაზრდა რა თქმა უნდა აუცილებელია, მაგრამ ამის გარდა საერთოდ დასაქმების პრობლემა არის მოსაგვარებელი, რადგანაც საზოგადოების ყველაზე ჯანსაღი და აქტიური ნაწილი, რომელ-საც გააჩნია ფუნქციონირების მოთხოვნილება თვითრეალიზაციას ვერ ახდენს, შესაბამისად ეს ადამიანები იმუხტებიან უარყოფითი ემოციებით, ვითარდება აგრესია რაც დამატებით პრობლემებს წარმოქმნის.

## მე მთის მწვერვალზე ვიყავი”

### მასალა მოამზადა ია მერკვილაძე

დღევანდელი ტრავმირებული ქართული საზოგადოება პერმანენტული სტრესებითა და გადაუწყვეტელი პრობლემებით „დახუნძლული“ შეეგება ახალ ათასწლეულს. კრიმინალურ-კორუფციული და პოლიტიკურ-სოციალური ბატალიებით გადაღლილს, ბუნებრივია არ ახსენდება, რომ მსოფლიოს ამ ბატალიების მოგვარების ალტერნატიული გამოცდილებაც აქვს. გზა, რომელიც არაძალადობას, ტოლერან-ტობას და ადამიანთა შორის ადამიანური თუ ღვთიური კავშირის არსებობას მოიცავს. ეს არ არის ფანტაზმი. ეს ადამიანის მიერ შექმნილი რეალობაა. თუმცა სასტიკი კანონზომიერებაც არაა ფანტაზმი. ამგვარ არაორდინალურ



ადმიანებს ... კლავენ.

მაჰათმა განდი, მარტინ ლუთერ კინგი... ეს ის პიროვნებებია, რომელთა შინაგანი სამყარო ვერ, თუ ვერ ვერ „მოერგო“ პლანეტის მკვიდრთა გონსა და გულს. რამდენად გრძნობს დღევანდელი ადამიანი ცნების „გვიყვარდეს მტერი შენი“ აუცილებლობას? მარტინ ლუთერ კინგის სულისკვეთებიდან რა შეიძლება გადმოვიტანოთ ქართულ სინამდვილეში? როგორ აღვიქვამთ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენ, ქართველები ლიბერალიზმს, პოლიტიკურ ლიდერობას, ადამიანთა უფლებების უზენა-ესობას? რა არის სამართლებრივი სახელმწიფო? არის თუ არა კრიზისი საქართველოს „ჩვეულებ-რივი“ მდგომარეობა?

ამ და სხვა საკითხებზე საინტერესო დისკუსია გაიმართა „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის“ ბაზაზე შექმნილ კლუბ „აკორდში“.

„აკორდის“ პირველი აკორდი სწორედ მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღეს მიემდგვნა (19 იანვარი). ამ ადამიანს თანამემა-მულენი „პირველ ამერიკელ წმინდანს“, „მსოფლიოს საჩუქარს“, ტერმინ „ძვირფასი საზოგადოების“ დამამკვიდრებელს და იდეურ წინამძღოლს უწოდებენ. სწორედ მისი ცხოვრების და ტრაგიკული აღსასრულის შესახებ გვიამბო სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეულმა სტუმარმა, ამერიკელმა პროფესორმა ბ-ნ ჯონ ჰიკიმ.

მსმენელები და დისკუსიაში მონაწილენი კი გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის წარმომადგენლები. ისინი, ვინც დღეს საზოგადოების სიჯანსაღის პულსს ადევნებენ თვალყურს.

\* \* \*

მარტინ ლუთერ კინგმა საინტერესო ცხოვრება განვლო საეკლესიო მსახურიდან შავკანიანთა ლიდერამდე, ნიცშესა და მარქსის თეორიების კრიტიკიდან ქრისტესა და განდის „ლიტურგიამდე“. იგი იმ პიროვნებათა (ვაშინგ-ტონი და ლინკოლნი) სამეულშია, რომელთა დაბადების დღეს ნაციონალურ დღესასწაულად აღნიშნავენ ა.შ.შ.-ში.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ იგი მღვდელმსახურად მონტგომერიში ჩავიდა. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ნებსით თუ უნებლიედ მოხვდებოდა ისეთ კრიზისულ მდგომარეობაში, სადაც არაძალადობრივი წინააღმდეგობის მეთო-დის გამოყენება მოუხებოდა. იგი მაშინ 26 წლის გახლდათ...

\* \* \*

შავკანიანი ქალის - როზა პარკის უარმა ავტობუსით მგზავრობისას ზანგისთვის „განკუთვნილ“ ადგილას, ტრანსპორტის უკანა ნაწილში გადასულიყო, რათა თეთრკანიანისთვის ადგილი დაეთმო, საპროტესტო აქციების მთელი ტალღა აავორა. რასისტების მიერ იგი დაპატიმრებულ იქნა. ამას კი გაფიცვები და ქალაქის ეკონო-მიკური პარალიზება მოყვა. ხალხმა კინგი „მოიხმო“, რათა ამ მოძრაობას სათავეში ჩადგომოდა...

შეძლო კი მან თავისი ნანატრი „ძვირფასი საზოგადოების“ შექმნა? ერთი კია, რომ სოკრა-ტეს, პლატონის, ჰეგელის, თომას აკვინელის, განდის, წმინდა ავგუსტინეს იდეებით ნასაზრდო-ები ადამიანი მთელი არსით ჩაერთო თავისი ოცნების განხორციელებაში. ოცნება კი გახლდათ ის, რომ შავკანიანებსა და თეთრკანიანებს თანაბარი უფლებები ჰქონოდათ... რომ ადამიანები თავიანთ მახინჯ სტერეოტიპებს შეწინააღმდეგებოდნენ... რომ ღარიბებსა და მდიდრებს შორის თანასწორუფლებიანობა დამკვიდრებულიყო... „დაბრმავებული“ ხალხისთვის

მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის საშუალებით თვალი აეხილა. თავად იგი წერდა: „განდი, ალბათ, ადმიანთა ისტორიაში პირველი იყო, ვინც ქრისტეს მორალური სიყვარული პიროვნებათა შორის ურთიერთქმედებაზე გადაიტანა და ფართომამტაბიან ეფექტურ სამოქმედო ძალად აქცია. განდისთვის სიყვარული ყველაზე ძლიერმოქმედი იარაღი გახლდათ სოციალურ-კოლექტიური ცვლილებების განსახორციელებლად. სწორედ სიყვარულისა და არაძალადობის განდისეულ გააზრებაში მე ვიპოვნე სოციალური გარდაქმნების მეთოდი. ვიპოვე ის, რასაც დიდხანია ვეძებდი“...

ოცდაცხრამეტი წლის ასაკში კინგი მოკლეს. მოკლეს მაშინ, როცა მორიგი სამშვიდობო პროტესტისათვის ემზადებოდა. მან იცოდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ხალხს განუცხადა, რომ ამ „წვრილმანს“ არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. „მე მთის მწვერვალზე ვიყავი და არაფერს ვნანობ... მეც მინდა დიდხანს სიცოცხლე, მაგრამ ახლა ეს ნაკლებად ძაღლეებს. მე უფლის ნების შესრულება მინდა. მან კი მწვერვალზე ასვლის უფლება მომცა. მე მიმოვიხედე და ნანატრი მიწა დავინახე... მე არაფრის მეშინია...“

რამდენიმე საათის შემდეგ იგი მოკლეს...

რობერტ კენედიმ, რომელმაც ორ თვეში კინგის ტრაგიკული ბედი გაიზიარა, ამერიკელებს აუწყა: „კინგის სიკვდილი საბუდამო სისხლიან ლაქად დარჩება ჩვენს მიწაზე. ჩვენ უნდა შევეცადოთ ამ ადამიანს მთელი გულითა და გრძნობით გავუგოთ. იქნებ შევძლოთ ადამიანური სიგიჟის მორჯულება და სრულყოფილ სამყაროში ცხოვრება...“

\* \* \*

„მე ვერასოდეს ვერ შევეგუებოდი ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვას. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი წარმოადგენს მიზანს, რომ იგი - ღვთის ქმნილებაა. ადამიანი კი არ არის შექმნილი სახელმწიფოსთვის, არამედ სახელმწიფოა - ადამიანისათვის. წართვა ადამიანს თავისუფლება - ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საგნად აქციო... ადამიანს არასოდეს არ უნდა მოეპყრო, როგორც სახელმწიფოს მიზნების ასრულების საშუალებას. ადამიანი თავადაა მიზანი.“

„განდის შესწავლისას მე აღმოვაჩინე, რომ ნამდვილი პაციფიზმი არის ბოროტებისადმი არშეწინააღმდეგება კი არა, არამედ ბოროტებისადმი არაძალადობრივი შეწინააღმდეგება. ამ ორ პოზიციას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. განდი ბოროტებას მთელი ენერჯითა და ძალით ებრძოდა, მაგრამ იგი ეწინააღმდეგებოდა არა სიმულვილით, არამედ სიყვარულით. ნამდვილი პაციფიზმი არის სიყვარულის ძალით ბოროტებასთან შეწინააღმდეგება, რომელიც ემყარება იმას, რომ სჯობს ბოროტება აიტანო, ვიდრე თავად იყო ბოროტების წყარო“.

„მოდით, ვიყოთ რეალისტები და ვიკითხოთ: როგორ შევიყვაროთ ჩვენი მტრები?“

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ჩვენში პატიების გრძნობა უნდა განვაკეთოთ. მას, ვისაც პატიება არ შეუძლია, არც სიყვარული შესწევს.

პატიება ეს არ არის იმის იგნორირება, რაც გაკეთდა ან ბოროტების სიკეთედ წარდგენა. უფრო სწორედ ეს იმას ნიშნავს, რომ განხორციელებული ბოროტება ამიერიდან აღარ წარმოადგენს ურთიერთობის დამყარების ბარიერს. პატიება - ეს არის კატალიზატორი, რომელიც ქმნის იმ ატმოსფეროს, რომელიც აუცილებელია ახალი ნაბიჯების გადასადგამად, ახალი ცხოვრების დასაწყებად.“

„რადგანაც არაძალადობის ფილოსოფია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, უპრიანი იქნებოდა



ამ კონცეფციის შინაარსი მოკლედ მიმოვიხილოთ.

პირველი: უნდა აღვნიშნოთ, რომ არაძალადობის პოლიტიკა - ეს არ არის ლაჩარ-თა გზა. ეს არის წინააღმდეგობა. თუ ვინმე ამ მეთოდს იმიტომ იყენებს, რომ ემინია ან არ აქვს საშუალება ძალადობას მიმართოს, ეს კიდევ არ ნიშნავს ჭეშმარიტ არაძალადობას. შემთხვევით არ ამბობს განდი, რომ თუ სილაჩრე ძალადობის ერთადერთი ალტერნატივაა, სჯობს ვიბრძოლოთ. განდის გაცნობიერებული ჰქონდა, რომ არსებობს სხვა ალტერნატივა: არც ერთი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი არ უნდა მოიქცეს უსინდისოდ, სამართლიანი საქმისათვის ძალადობას არ უნდა მიმართოს, რადგანაც არსებობს არაძალადობის გზა.

ეს ძლიერი ადამიანების გზაა. ეს არ არის უმოქმედო პასიურობის გზა. ფრაზას „პასიური წინააღმდეგობა“ ხშირად არასწორად იგებენ და მას „სრულ უმოქმედობად“ აღიქვამენ, როცა ადამიანი ბოროტებას მშვიდად ეგუება. ამავე დროს არაფერი არაა ისე შორს სიმართლი-სგან, როგორც ეს ფრაზა. არაძალადობრივი წინააღმდეგობის მიმდევარი იმ სახითაა პასიური, რომ იგი ფიზიკურ ძალადობას არ მიმართავს თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ, მაგრამ მისი ტვინი და ემოციები აქტიურია. იგი გამუდმებით ეძებს გზას, რათა დაარწმუნოს მოწინააღმდეგე იმაში, რომ იგი არ იქცევა სწორად. თუ ამ მეთოდში არ არის ფიზიკური აქტიურობა, სამაგიეროდ არის უზარმაზარი სულიერი მუხტი.

მეორე: რით ხასიათდება არაძალადობრივი პოლიტიკა? - ეს არის მოწინააღმდეგე ძალის შეურაცხყოფის გამორიცხვა. მიზანი ის კი არ არის, რომ მოწინააღმდეგე გაანადგურო, არამედ ის, რომ მისი სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახურო. ამ პოლიტიკის მომხრეებს თავიანთი პროტესტი შეუძლიათ გამოხატონ ბოიკოტით ან თანამშრომლობაზე უარის თქმით. მაგრამ თავად ეს მოქმედებები არ წარმოადგენენ თვითმი-ზანს. ისინი მოწინააღმდეგის მხარეში სირ-ცხვილის გრძნობის გამოწვევას ცდილობენ. ნამდვილი მიზანი კი ცოდვის გამოსყიდვა და შერიგებაა. არაძალადობის საბოლოო მიზანია - ღირსეული საზოგადოების შექმნა, მაშინ როცა ძალადობა ტრაგედია და სასოწარკვეთილებას შობს.

მესამე: ამ პოლიტიკის თვისებაა ის, რომ მოქმედება ბოროტი ძალების წინააღმდეგაა მიმართული და არა ამ ბოროტების მატარებელი ადამიანების წინააღმდეგ. არაძალადობა ებრძვის ბოროტებას და არა მის მსხვერპლს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ბოროტებას ატარებენ. მე მინდა ვუთხრა მონტგომერის მცხოვრებთ: „თქვენი კონფლიქტის ფესვებია არა სხვადასხვა ფერის კანის მქონე ადამიანების დაპირისპირება, არამედ უსამართლობის და სამართლიანობის, სიბნელის და სინათლის დაპირისპირება“.

მეოთხე: ამ პოლიტიკას ახასიათებს ის, რომ შენ შეგიძლია ტანჯვა ისე მიიღო, რომ დარტყმას დარტყმით არ უპასუხო. არაძალადობითი წინააღმდეგობის მომხრე პირობებით შექმნილ ძალადობას იღებს, მაგრამ არასოდეს არ ბადებს ძალადობას. განდი წერდა: „ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებაში მიიღწევა არა მარტო ჯანსაღი აზრით, არამედ ტანჯვით“. და შემდეგ: „ტანჯვა უფრო ქმედითი საშუალებაა, ვიდრე შეეცადო მოწინააღმდეგე ჯუნგლების კანონით შეცვალო.“

მეხუთე: ამ პოლიტიკის მახასიათებელია ის, რომ იგი გამორიცხავს არა მარტო ძალადობას გარედან, არამედ შინაგან ძალადობა-საც. არაძალადობის მომხრე არა მარტო უარყოფს თავისი მოწინააღმდეგის ფიზიკურ განადგურებას, არამედ მის სიძულვილზეც ამბობს უარს. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი სიყვარულია.

მექვესე: არაძალადობა ამტკიცებს, რომ მსოფლიოს წესრიგი სამართლიანობას ეყრდნობა. აქედან გამომდინარეობს მომავლის რწმენა, მსოფლიოს აღმშენებლობის სული. არა აქვს

მნიშვნელობა, თუ რა სახით არსებობს იგი. მაგრამ ეს აღმშენებლობითი ძალა რეალობის განცალკევებულ ელემენტებს ჰარმონიულ მთლიანობად გარდაქმნის.

\* \* \*

რა შეგვიძლია ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა ჰარმონიულ მთლიანობას შევძი-ნოთ? ჩვენი კულტურა და ცნობიერება საკმაო რესურსს გვაძლევს ამისათვის.

შევძლებთ თუ არა?

ეს თითოეული ჩვენთაგანის გადასაწყვეტია.

## ქალის და მამაკაცის სხეული XX საუკუნის პერსპექტივიდან

ნანა ბერეკაშვილი

საკუთარი სხეულის მიმართ ადამიანი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. ხელოვნებათმცოდნეებს თუ ვერწმუნეთ, მსოფლიო სახვითი ხელოვნების ისტორიაში ადამიანის სხეული საერთო ჯამში ყველაზე ხშირად გამოსახუ-ლი ობიექტია.

ამავე დროს კაცობრიობის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ხელოვნების შემქნელები და მომხმარებლებიც ძირითადად მამაკაცები იყვნენ. რისი გამოსახვა სურდათ, ან არ სურდათ, რისი ემინოდათ?

თუმცა სხეულებრივი განსხვავებები სქესთა შორის სრულიად ობიექტურია და თვალნათლივი. წარმოდგენები ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებებზე ეფუძნება არა მარტო ანატომიას, არამედ სოციალურ და მასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც. სხეული, ასევე სიმბოლოა და რაღაც თვალსაზ-რისით „კონსტრუირებული“, ანუ შექმნილი და მოგონილი ობიექტია. ამ კონსტრუქტს ქმნის ყოველი კონკრეტული საზოგადოება თავისი იდეოლოგიის, რელიგიური წარმოდგენების, მოდის, ცხოვრების წესის, იერარქიის და მსგავსი მახასიათებლების საფუძველზე.

გავიხსენოთ, რამდენჯერ შეიცვალა სხეული თუნდაც XX საუკუნის მანძილზე: დროისა და მოდის მოთხოვნების შესაბამისად იცვლებოდა ადამიანების სიმაღლე, ფორმები, თა-ვის ქალა, სახის ნაკვთები. დღევანდელი ქართ-ველი ახალგაზრდა ცოტათი თუ ჰგავს ოციანი წლების ქართველს. იაპონელი ერი ორმოცი წლის განმავლობაში 30 სანტიმეტრით გაიზარ-და. საზოგადოების მოთხოვნის ანუ “შეკვეთის” მიხედვით იჭრება ახალი სხეული და ეს ცვლი-ლებები ვერ აიხსნება მხოლოდ საკვების, რა-დიაციის თუ გენეტიკის ოინების საშუალებით.

ამავე გზით საზოგადოება აყალიბებს სქეს-თაშორის გენდერულ განსხვავებებსაც. გენდერი სქესის სოციალური ეკვივალენტია. სქესი დღეს მხოლოდ ბიოლოგიურ კატეგორიას აღნიშნავს. იგი თანდაყოლილია, ხოლო გენდერი ანუ თვისება, როლი, სტატუსი და სქესთან ასოცირე-ბული სხვა ნიშანი კონსტრუირდება, და თანაც ყველა საზოგადოებაში - სხვადასხვანაირად.

ხდება ისეც, რომ ის, რაც ერთ კონკრეტულ საზოგადოებაში სქესისთვის დამახასიათებლად

და ნორმად ითვლება, სხვა საზოგადოებაში მეორე სქესისვის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს. მარგარეტ მიდი, გამოჩენილი ანტროპოლოგი, 40-იან წლებში გაკვირვებული დარჩა, როცა აღმოაჩინა ახალ გვინეაზე ტომი, რომელშიც სქესთან დაკავშირებული ნიშნები და ქცევები ჩვენთვის ჩვეულის სრულიად საწინა-აღმდეგო იყო: ქალები იყვნენ საქმიანები, მოქნილები, მოკრძალებულად ეცვათ, ორგანიზებულად და ეფექტურად მუშაობდნენ. მამაკაცები იხატებოდნენ, იპრანჭებოდნენ, როგორც „ჩვენი მაღალი საზოგადოების ქალები“, ჭორაობდნენ, ჭირვეულობდნენ. ისინი საქმისგან თავისუფლები იყვნენ და მათ მთავარ საზრუნავს ქალებისთვის თავის მოწონება წარმოადგენდა.

ასეთი მაგალითები ბევრია და ისინი სწორედ იმ ფაქტის ილუსტრაციაა, რომ გენდერი არ არის მუდმივი კატეგორია და რომ ადამიანთა წარმოდგენებზე უფრო დამოკიდებული, ვიდრე ბიოლოგიაზე. ადამიანის სხეულიც კი, რომელიც თვალსაჩინოა და დაკვირვებადი, მაინც ექცევა გენდერის ანუ კონსტრუირებული შეხედულების გავლენის ქვეშ. მაგალითად, ქალისა და მამაკაცის სხეულების გარშემო, მათი განსხვავებების გარშემო ყოველთვის მრავალი მითი და ცრუ-რწმენა არსებობდა. ისინი აისახებოდა მისტიურ შიშში, აკრძალვებში და სპეციალურ რიტუალებში... დღესაც, ზოგიერთი ტრადიცია და რელიგია კრძალავს სხეულის ცალკეული ნაწილების გამოჩენას. მრავალ კულტურაში გავრცელებულია სხეულის ნაწილების დამახინჯების პრაქტიკა...

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სამყაროში, სადაც მრავალი საუკუნე მამაკაცის თვალსაზრისი ბატონობდა (ამას მეცნიერებაში ანდროცენტრიზმს უწოდებენ, სიტყვიდან „ანდრ“ - მამაკაცი) ქალი და ქალის სხეული აღიქმებოდა როგორც „სხვა“ და არა „მე“, როგორც ობიექტი და არა სუბიექტი, როგორც მამაკაცური ეტალონიდან გადახვევა. თავისი სხეულის კონსტრუირებაში ქალი არ იღებდა მონაწილეობას. ის მხოლოდ პასიური „შემსრულებელი“ იყო. სხვისი თვალთ დანახული ქალი კი, ცხადია, ძნელად შესაცნობია. ხშირად გაიგონებთ გამოთქმას – ქალი საიდუმლოა, მაგრამ ვისთვის არის იგი საიდუმლო? ცხადია, არა თვით ქალისთვის, არამედ იმისთვის, ვინც კაცობრიობის სახელით გამოდიოდა და სინამდვილეში მხოლოდ მისი ერთ-ერთი ნახე-ვარია. ამიტომ ქალის სხეულის გაგებაში ბევრი ბუნდოვანებაა, მითები ერევა ბიოლოგიას და ბიოლოგია ერევა სოციალურ მოთხოვნებს.

ქალის და მამაკაცის სხეულებზე წარმოდგენების ისტორიაში ცნობილია ორი განსხვავებული თვალსაზრისი ანუ მოდელი: ცალსქე-სიანი მოდელი გეთავაზობს იმ აზრს, რომ ორი სხვადასხვა გენდერი – ქალური და მამაკაცური – თავის საფუძველში ერთსა და იმავე სქესს გულისხმობს. ორსქესიანი მოდელი კი იმ აზრიდან ამოდის, რომ ქალი და მამაკაცი იმთავითვე განსხვავებულნი და ურთიერთშემავსებელნი არიან. საინტერესოა, რომ ცალსქესიანი მოდელი უფრო დიდი ხნის განმავლობაში და ფართოდ იყო გავრცელებული.

ძველი ბერძნების წარმოდგენებში ქალი მამაკაცის შემცირებული ასლია. ამასთან ის, რაც მამაკაცს გარედან აქვს, ქალის სხეულის შიგნით არის მოთავსებული. მაგალითად საშვილოსნო - პენისის ეკვივალენტია, მენსტრუაცია - ეაკულაციის. იმას, რაც არ გააჩნდა მამაკაცს და გააჩნდა ქალს, უბრალოდ იგნორირებას უკეთებდნენ. საკვერცხეებს, რომლებიც XIX საუკუნიდან ქალურობის სინონიმად გადაიქცა, ადრე საკუთარი სახელიც კი არ ჰქონდა. XVII საუკუნემდე ევროპაში ანატომებს არ გააჩნდათ საშოს აღმნიშვნელი სიტყვა. ყველაფერი მამაკაცური მოდელის მიხედვით იგებოდა და მოიაზრებოდა. იგი უფრო სრულყოფილად მიიჩნეოდა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც მამაკაცები შეუზღუდავად ბატონობდნენ ცალს-ქესიანი მოდელი იმას უჩვენებდა, რაც ისედაც ცხადი იყო მთლიანი კულტურიდან: ყველაფრის საზომი მამაკაცია, ხოლო ქალი, როგორც ცალკე კატეგორია არ არსებობს. იგი უბრალოდ

უფრო ნაკლები, რაღაცეების არმქონე, სუსტი, უუნარო, მაგრამ იგივე კატეგორიის არსებაა. ადამიანის სხეულის ეტალონი კი მამაკაცის სხეულია.

მე XVIII საუკუნიდან, ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებების ხაზგასმა იდეოლოგიურად მნიშვნელოვანი გახდა. აქა იქ უკვე „საშიშად“ გაიუღერა ქალთა თანასწორობის თემა. ამიტომ გახდა საჭირო ახლი თეორია, რომელიც გაამართლებდა სქესთა შორის არსებულ სოციალურ, უფლებრივი და სტატუსურ განსხვავებებს... და ცალსქესიანი მოდელი ორსქესიანი მოდელით შეიცვალა. ამ მოდელის მიხედვით ყველაფერი ქალური და მამაკაცური აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია ერთიმეორესთან. ეს ყველა სქესობრივ ნიშნებზე ვრცელდება. ახალა-ხანს ამერიკაში გამოსულ წიგნში „ჩონჩხის ისტორია“, ნაჩვენებია თუ როგორ გამოისახებოდა სხვადასხვა დროში და კულტურებში ადამიანის ჩონჩხი. XVIII საუკუნემდე ანატომები მამაკაცის და ქალის ჩონჩხს ერთნაირად ხატავდნენ, ოღონდ ქალის ჩონჩხი ზომით უფრო პატარა იყო (ცალსქესიანი მოდელი). XVIII საუკუნის გამო-სახულებებში ჩონჩხები იმდენად განსხვავებულად გამოიყურება, რომ ვერც კი მიხვდებით ეკუთვნის თუ არა ორივე ადამიანს. მამაკაცის „ათლეტური“ ჩონჩხი გამოისახება ღირსეულ პოზებში, ხოლო ქალის ჩონჩხი, განუვითარებელი ძვლოვანი სისტემით, გამოისახება მოკრძალებულ პოზაში, დაფარული აქვს უხერხული ადგილები და თავზე ლამაზი ქუდიც კი ახურავს.



პ. პიკასო. „სკულპტორი და მიდელი“

მამაკაცურობის მთავარი პრინციპი შემდეგია: მამაკაცი არ უნდა გავდეს ქალს, ის ყოველთვის და ყველგან უნდა რჩებოდეს სუბიექტად და მდგომარეობის ბატონ-პატრონად. მამაკაცის სხეული ძირითადად ორი მეტაფორის სახით გამოისახებოდა: როგორც ძალაუფლების და ძალის სიმბოლო ან როგორც სილამაზის და სიამოვნების სიმბოლო - ყველა შემთხვევაში, მისი სხეული მოძრავი და აქტიური უნდა ყოფილიყო.

ქალი (განსაკუთრებით ევროპულ ხელოვნებაში) პასიურ პოზაშია და თავისი მიმზიდველი სიშიშვლის დემონსტრაციას ახდენს პოტენციური მაყურებლის - მამაკაცის წინაშე.

ამდენად, ქალის სხეულზე „შემკვეთი“ და მისი „მომხმარებელი“ - ყველა დროში მამაკაცი იყო. ხოლო მამაკაცის ერთ-ერთი შეკვეთა კი მდგომარეობდა იმაში, რომ ქალის სხეული არ გამხდარიყო მისი კონკურენტუნარიანი. სხეული, რომელსაც ექნებოდა თავისუფლების, ძალაუფლების და სუბიექტად განდომის ატრიბუტები და შესაბამისად პრეტენზია, მას არ აწყობდა. ქალის სხეული სხვადასხვა მოდიფიკაციებით, მაინც ყოველთვის იჭრებოდა იმ თარგზე, რომ შეექმნა და შეენარჩუნებინა ქალისთვის არასრულ-ფასოვანის, სხვაზე დამოკიდებულის, სუსტის, დაუცველის, მაგრამ ამავე დროს ესთეტიკური და ფიზიკური სიამოვნების მომნიჭებელის სახე. ამიტომ ქალის სხეულის სასურველი ატრიბუტები იყო: წვრილწელიანი, განიერი მენჯით, დამრეცი მხრებით, მამაკაცზე საგრძნობლად დაბალი, დიდი მუცლით (სასურველია ორსული), ფომ-ფლო, თეთრი. ამას ემატებოდა მოძრაობის შემზღუდავი და მოუხერხებელი ტანისამოსი, არა-სტაბილური ფეხსაცმელი, რთული ვარცხნილობა და მძიმე სამკაული. ასე კონსტრუირებული ქალის სხეული ძალიან მომგებიანი იყო მამაკაცისთვის. მას შეეძლო წარმატებით შეესრულებინა რეპროდუქციული და მომსახურებითი ვალდებულებები. ის აკმაყოფილებდა გარკვეულ სექსუალურ „ესთეტიკას“ და სექსუალურად მიმზიდველად მიიჩნეოდა. და, რაც მთავარია, რადიკალურად განსხვავდებოდა მამაკაცისგან. ამგვარად მოაზრებულ სხეულს ბუნებრივია თან ახლდა მითები მის (ქალის) უუნარობაზე მთელ რიგ ფიზიკურ, ინტელექტუალურ და სულიერ საქმიანობებში: მისთვის დახურული იყო საზოგადოებრივი სფეროები, დახურული იყო უნივერსიტეტი-ტები და ხელოვნების სფეროები, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკაზე და რელიგიაზე. სპორტი უკანასკნელ დრომდე ქალებისთვის უწესო და მძიმე საქმიანობად ითვლებოდა (თუმცა სახლში ქალი ყოველგვარ მძიმე სამუშაოს ასრულებდა). წარმოიდგინეთ კრანახის, ტიციანის ან რუბენის ქალები ამგვარი „სერიოზული“ საქმეში: მაგალითად, უნივერსიტეტის კათედრაზე, პოლი-ტიკური დებატების დროს ან თუნდაც უბრალოდ, მარტოდ მოსიარულე! მართლაც დიდი ხანი არაა, რაც ქალმა დამოუკიდებლად გადაადგილების უფლება მოიპოვა. მისი სხეული იმდენად არასრულ-ყოფილად იყო წამოსახული, რომ ყოველ წუთში შეიძლებოდა გული წასვლოდა, ფეხი ეღრძო, წაქცეულიყო და ვერ ამდგარიყო, ვერ მოეხერხებინა სწრაფი რეაგირება, ვერ გარკვეულიყო სიტუაციაში და ხიფათისგან თავი ვერ დაეხსნა. აი ასეთი არასანდო სხეული უბოძა ქალს პატრიარქალურმა სამყარომ.

შეიძლება გვეფიქრა, რომ სამაგიეროდ მამაკაცის სხეული კონსტრუირდებოდა ქალის მიერ. ხომ ბუნებრივია, რომ თუ სხეულისთვის მნიშვნელოვანია სქესობრივი მიმზიდველობა, იგი პირველ რიგში მეორე სქესის ინტერესებს აკმა-ყოფილებდეს. მაგრამ ასე არ ხდებოდა. სინამდვილეში ქალებს მრავალ კულტურაში მამაკაცის ყურებაც კი ეკრძალებოდათ. ყურება, მზერა სტატუსური კატეგორიაა. ყურება და შეხება სოციალური პრივილეგიაა უფროსისა უმცროსის მიმართ. ქალი კი, ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის „უმცროსებში“ გადიოდა. კაცს შეეძლო ეყურებინა, დამტკბარიყო, შეხებოდა, (კიდევ უფრო მეტიც ექნა) და გამოესახა ქალი. პირიქით შეუძლებელი იყო. ქალ მხატვრებს უკანასკნელ დრომდე ეკრძალებოდათ მამაკაცის სხეულის გამოსახვა. XIX საუკუნის საფრანგეთში ქალები არ დაიშვებოდნენ სამხატვრო აკადემიაში. მიზეზად მოჰყავდათ ან მათი უუნარობა ზიარებოდნენ მაღალ ხელოვნებას, ან უწესობა, ან კიდევ უფრო სასაცილო არგუმენტი - მათი რეპრო-დუქციული უნარების დაქვეითება. ყველაზე ხშირად კი გაიგონებდით, რომ წესიერი ქალი არ უნდა უყურებდეს შიშველ მამაკაცს.

სინამდვილეში ზრუნავდნენ არა იმდენად ქალის უმანკობაზე, რამდენადაც მამაკაცი - ნატურის მდგომარეობაზე, რომელიც ქალის მზერის ქვეშ უსუსური ხდებოდა. ასეთივე სიტუაცია იყო ანატომიის გაკვეთილებთან დაკავშირებით.

მამაკაცის სხეულის ეტალონებს ისევ მამაკაცი ქმნიდა. პრინციპი იგივე იყო: მამაკაცი მაქსიმალურად არ უნდა ჰგავდეს ქალს. იმის შიში, რომ არ გამოიყურებოდეს ქალურად

კარგად აისახება მამაკაცის სილამაზის კრიტერიუმებშიც. „ნამდვილი მამაკაცი“ ოდნავ უხეშია, ის არ ზრუნავს იმაზე, რომ თავი მოაწონოს სხვას. ლამაზი მამაკაცის მამაკაცურობა ეჭვს იწვევს. ზოგიერთი ავტორი საერთოდ ერიდებოდა მამაკაცის სილამაზეზე საუბარს.

ინგლისურ ენაში მამაკაცის და ქალის სილამაზე და მიმზიდველობა სხვადასხვა სიტყვით გამოიხატება. თუ მამაკაცის დასახასიათებლად გამოიყენებთ სიტყვა “Beautiful”-ს, ეს ორაზროვნად და შეურაცმყოფელადაც კი გაიჟღერს.

როგორც ვთქვით, მამაკაცის სხეული მამაკაცების მზერითვე ივებოდა, რომელიც თავისი ბუნებით კონკურენტული და არაერთოვლია. ხშირად მამაკაცის სხეული ეტალონები არამიმზიდველი, და შემამაზებელიც კია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ინერგებოდა კუნთებადბერილი მონსტრის იდეალი, კვლევები უჩვენებს, რომ რეალური ქალი ლამაზ, მგრძობიარე, მზრუნველ თავის მსგავსს და თავისთვის გასაგებ მამაკაცს ანიჭებს უპირატესობას.

დავუბრუნდეთ ქალის სხეულს. როგორც ავლნიშნეთ, იგი მამაკაცის მზერისა და სურვილი-სამებრ ყალიბდებოდა. მაგრამ XX საუკუნემ მოიტანა ახალი პერსპექტივა ქალის სხეულის ხედვაში. ქალთა უფლებების გაფართოებამ, ქალის საზოგადოებრივი ფუნქციების შეცვლამ, სხვადასხვა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კოლიზიებმა ქალის სხეული გამოანთავისუფლა მამაკაცთა აზრის ერთპიროვნული დიქტატისგან. მას გაუჩნდა ილუზია, რომ მისი სხეული მასვე ეკუთვნის. ქალმა მიმართა თვით-რეფლექსიას და მრავალ ცრურწმენებს ფარდა ახადა. მან აღმოაჩინა, რომ მისი სხეული საკმაოდ მოხერხებულია და მოძრავი, ის თვისებები, რომლებიც მიეწერებოდა მას და ბუნებრივად მიიჩნეოდა, გენდერული სტერეოტიპები აღმოჩნდა. სამოცი-ანმა წლებმა, რომლებიც თავისუფლებისა და თვითგამოხატვის თვლსაზრისით უპრეცედენტოა, მოიტანა სხეულის ახალი კონცეფცია. გრძელ-ფენა, ვიწრომენჯიანი, მხარგაშლილი, ნავარ-ჯიშები და მზედაკრული ქალის სხეული ისეთივე ნორმა გახდა, როგორც მისი სრულიად საწინა-აღმდეგო რამდენიმე ათწლეულის წინ. ქალის სხეული მართლაც მიუახლოვდა „ოქროს ეტალონს“ - მამაკაცის სხეულს.

აღმოჩნდა, რომ განსხვავება ქალისა და კაცის სხეულებს შორის ხელოვნურად იყო უტრირებული. ეს უტრირება სიმბოლურ ფუნქციას ასრულებდა, ემსახურებოდა მამაკაცთა აზრის ბატონობას და მისი უპირატესობის ჩვენებას. ცვლილებების ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ქალის სხეულმა დაკარგა „ქალურობა“, იგი ისე კარგად ვეღარ შეასრულებს თავის „ძირითად დანიშნულებას“ - რეპროდუქციის ფუნქციას. ესეც ერთ-ერთი გავრცელებული მითია. მიუხედავად ოპონენტების შემოთქმისა, „ახალი ქალი“ ისევე წარმატებულია რეპროდუქციის უნარში და უფრო გამძლეც. უბრალოდ ხდება ის, რომ ქალს სურს თვითონ განავოს თავისი სხეული და შესაბამისად მისი ერთ-ერთი ფუნქცია რეპროდუქცია, საბოლოო პერსპექტივაში ქალი თვლის, რომ მისი სხეულით მრავალსაუკუნოვან მანიპულაციას ბოლო უნდა მოელოს. ჰყავდეს თუ არა ბავშვი და როდის - ეს აღარ შეიძლება იყოს მამაკაცების საჯარო განხილვის საგანი ან რელიგიური თუ ტრადიციული ტაბუების ობიექტი. ასევე არ შეიძლება ქალის სხეული გახდეს ვაჭრობის, სექსუალური ექსპლუატაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ტირაჟის გაზრდის ან ნებისმიერად გაგებული მოხმარების საგანი.

სამწუხაროდ, დღევანდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით რეკლამა და მოდა ქალის სხეულს ახალ კაბა-ლაში აგდებს. ეს ინდუსტრიები ტრადიციულად მამაკაცთა ხელშია. მამაკაცი კვლავ ქმნის ქალის სხეულის ეტალონებს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. დღეს მას სხვა ნიშნები აქვს. დღეს იგი მოქნილია და მზედაკრული, მაღალი და წვრილი, მარგამ კვლავ ობიექტი და კვლავ კონსტრუირებული. ქალის სხეული ვერ ეღირსა თავისთავადობას. ეს ჯერ მხოლოდ მამაკაცებისათვის დასაშვებია ფუფუნებაა.



## თვალსაზრისები

### მოამზადა ნათია ვერულაშვილმა

#### მიგელ დარსი დე ოლივერა

#### “CIVITUS” აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, აშშ.

- რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება?

სამოქალაქო საზოგადოება ხშირად იხსენიება როგორც “მესამე სექტორი”. სახელმწიფოს სამოქალაქო საქმიანობისაგან განსხვავებით, ის ნებაყოფლობითია. დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს კავშირი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის.

მოქალაქეები, რომლებიც სხვადასხვა კულტურული ჯგუფის წევრები არიან, იკრიბებიან, ერთიანდებიან და თანამშრომლობენ იმისათვის, რომ განხორციელდეს და მიღწეული იქნას ბედნიერების ძიებისათვის სამართლიანი და თავისუფალი პირობები.

- რა სახის სტრუქტურებისაგან შედგება სამოქალაქო საზოგადოება?

სამოქალაქო საზოგადოება შედგება ყველა ტიპის ნებაყოფლობითი კავშირებისაგან. ესენია: ეკლესიები, სამეზობლო ორგანიზაციები, კ ოპერატივები, გაერთიანებები, პარტიები, ინტერეს-ჯგუფები, სოციალური მოძრაობები, საქველმოქმედო დაწესებულებები და ოჯახები.

- რა კავშირია სახალხო პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის?

სახალხო პოლიტიკა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე კანონის მორჩილება, არჩევნებში მონაწილეობის მიღება და გადასახადების გადახდა. სამოქალაქო პოლიტიკას ქმნიან აქტიური მოქალაქეები, რომლებიც მოქმედებენ, რათა მოიპოვონ მეტი კონტროლი საკუთარ მომავალზე; ანუ როდესაც მოქალაქეები მუშაობენ ერთად საზოგადოებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საზოგადოება არ არის უზენაესობის ხმა, არამედ იგია რეალური და საჭირო პოლიტიკური ძალა.

ხალხი, რომელიც მონაწილეობს სახალხო პოლიტიკაში, სისტემებს ცვლის. ეს ცვლილება პირადი ინიციატივის გააქტიურებით მიიღწევა და პოლიტიკის შეზღუდვით. მოქალაქეების მიერ პოლიტიკის შეზღუდავა ნიშნავს, რომ ისინი კონტროლს უწევენ მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის ეფექტურობას და აქტიურად ერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში. თუკი ერთ პიროვნებას შეუძლია შეცვალოს სისტემის მუშაობა, ხალხი ვალდებულია იმოქმედოს, რათა არ მოექცეს გავლენის ქვეშ.

\* \* \*

#### ტომას ბრიჯის

#### ფილოსოფიის მეცნიერებათა პროფესორი, მინსტკერისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ.

- რა როლი აქვს ოჯახს სამოქალაქო კულტურაში?

სამოქალაქო კულტურა არის ურთიერთშემავსებელი ცნება; ის შედგება სხვადასხვა კულტურებისაგან. მასში მონაწილეობენ მოქალაქეები რომლებსაც უკვე ჩამოყალიბებული აქვთ მსოფლმხედველობა და მიზნები. საზოგადოების, გარემოს მორალური სტანდარტები, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და რომელშიც ცხოვრობენ. საზოგადოების მორალური იდეალების გავლენა პიროვნებაზე იწყება დაბადებისთანავე, ოჯახურ გარემოში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოჯახი გარკვეული ეთნოსის, კლასის ან რელიგიური ჯგუფის ნაწილია. სწორედ ოჯახურ გარემოში შექმნილი ღირებულებები განსაზღვრავს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, მიზნებსა და მსოფლმხედველობას.

იმისათვის რომ პიროვნება გახდეს სამოქალაქო კულტურის სრულყოფილი წევრი, აუცილებელია ისწავლოს პატივისცემა სხვათა მიმართ. ეს მიშნავს, რომ მოქალაქეები უნდა აღიქვამდნენ ერთმანეთს თავისუფალ და თანასწორ პიროვნებად, ინდივიდებად. მათ შორის არ უნდა არსებობდეს ეროვნული, რელიგიური ან სხვა სახის სტერეოტიპები. სამოქალაქო კულტურაში მონაწილე მოქალაქეები უნდა შეადგენდნენ ერთ მთლიანობას. ამ დაუნაწევრებელ მთლიანობად ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების შექმნის პროცესის გავლის შემდეგ. სამოქალაქო გარდაქმნა არის პიროვნული მისწრაფებებისა და თვითშეგნების გარდაქმნა.

ერთობლივი მუშაობის დროს, ნებისმიერ პიროვნებას უნდა შეეძლოს დროებით გვერდზე გადადოს მისი სტერეოტიპები, ტრადიციები და მსოფლმხედველობა. იგი უნდა მოერგოს იმ ჯგუფურ, საზოგადოებრივ მორალს ვისთანაც მუშაობს და პატივი სცეს თითოეული მინაწილის ეროვნულ თვითშეგნებას და ტრადიციებს, რომელიც ასე განსხვავდება ერთმანეთისგან.

\* \* \*

### **რანდა სლიმ**

### **საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების პრეგრამების დირექტორი, “Kettering Foundation”, აშშ.**

- რა კავშირია სამოქალაქო საზოგადოებასა და დემოკრატიას შორის?

დღეს ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეების გააქტიურება. ეს დემოკრატია არა მარტო გადარჩენის, არამედ მისი ეფექტურობის გარანტიაც იქნება. ხალხი უკვე აცნობიერებს, რომ მარტო დემოკრატიული პოლიტიკური წყობილება საკმარისი არ არის დემოკრატიული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. ასეთი საზოგადოების აშენებისათვის საჭიროა პასუხილმგენელობით სავსე, აქტიური მოქალაქეები. ამის გარეშე, მსოფლიოში უკვე მიღწეული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები დიდი ხანი ვერ იარსებებს.

- რომელ პოლიტიკურ პროცესებში უნდა ჩაერიოს მოქალაქე?

მოქალაქეთა აქტიურობა ახლა უფრო საჭიროა ვიდრე ოდესმე. ხელისუფლება უკვე ვეღარ შეძლებს მოქალაქეებთან ჰქონდეს „პატრონ - ქვეშევრდომული“ დამოკიდებულება. მოქალაქეებმა თავად უნდა იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. ინფორმაციული რევოლუცია და ტექნოლოგიური მიღწევები სწრაფად გადაგვაქცევს გლობალურ სახელმწიფოდ, სადაც მოქალაქეები თავს ვეღარ გაიმართლებენ იმით, რომ ეს კონკრეტული საკითხი მათ არ ეხებათ და ამიტომ არ ერევიან პოლიტიკურ პროცესში. ისინი ვალდებული არიან ყველა საკითხი გაითავისონ და მის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღონ.

- რას ნიშნავს სათათბირო მეთოდი სამოქალაქო საზოგადოებაში?

ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება ამერიკაში. ყოველ წელს ათასობით მოქალაქე იკრიბება ადგილობრივ საზოგადოებებში, სამ ან ოთხ საკითხზე სათათბიროდ, რომელიც ეროვნული მნიშვნელობისაა. მონაწილეები საუბრობენ სახალხო პოლიტიკის საკითხებზე სპეციალისტის დახმარებით. ასეთი „სათათბირო მეთოდის“ შემოღებაში დიდი წვლილი მიუძღვის “ ეტტერინგ ოუნდატიონ”-ს, რომელიც არის ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ინსტიტუტი სამოქალაქო ორგანიზაციების ტრენინგის სფეროში. ინსტიტუტი ხელს უწყობს “სათათბირო მეთოდის” განვითარებას. მათ მიაჩნიათ რომ ეს საშუალებას აძლევს მოქალაქეებს იმოქმედონ, ითანამშრომლონ ერთად, არა როგორც ცალკეულმა პიროვნებებმა, არამედ როგორც ერთიანმა საზოგადოებამ.

\* \* \*

### **სარა მელენდუზ**

**არაკომერციული ორგანიზაციების, ფონდების და კორპორაციების ეროვნული გაერთიანება “INDEPENDENT SECTOR”- ის პრეზიდენტი.**

- რა როლი აქვს არაკომერციულ სექტორს სამოქალაქო საზოგადოებაში?

არაკომერციული სექტორის ცდილობს ხალხს დაეხმაროს სხვადასხვა სფეროში. მათი დახმარება მრავალმხრივია; ეს შეიძლება იყოს როგორც სოციალური უფლებების დაცვა, ასევე ახალგაზრდათა აღზრდის პროცესში მონაწილეობა ან გარემოს დამცავი ღონისძიებების გატარება. არაკომერციული სექტორი ყურადღებას აქცევს ხალხის გაჭირვებას კონკრეტულად იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლებას არ შეუძლია ან უბრალოდ არ ცდილობს ამაში მონაწილეობის მიღებას და მდგომარეობის გამოსწორებას. ეს არის სამოქალაქო საზოგადოებაში მათი საქმიანობის შინაარსი.

როგორ შეიძლება დაიცვას არაკომერციულმა სექტორმა პიროვნება?

ამ სექტორში მოქმედი ორგანიზაციები უსუსურ ადამიანებს საკუთარი ძალების რწმენის სთანერგვა უნდათ, რათა გააღვიძონ მათი პირადი ინიციატივა და ამ გზით აქტიურ მოქალაქეებად გარდაქმნან. შედეგად ეს ხალხი სახალხო პოლიტიკაში აქტიურად ჩართვება და შექმნის გავლენიან ჯგუფს, რომელთა მოღვაწეობაც საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნებს მოემსახურება.

- რა მონაწილეობას იღებს არაკომერციული სექტორი ახალგაზრდობის აღზრდაში?

არაკომერციული სექტორი დაინტერესებულია ახალგაზრდობის ამ სექტორში ჩართვით. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ სფეროში მოქმედი ორგანიზაციების ეფექტურობა სწორედ მილიონობით მოხალისეთა ერთობლივ მუშაობასა და თანამშრომლობაზეა დამოკიდებული. ნებაყოფლობით სამოქალაქო ინიციატივას მოზარდები ოჯახში ეუფლებიან, ხოლო საზოგადოებრივ ღონისძიებებში მშობლების მონაწილეობა მათთვის მაგალითია. ა.შ.შ.-ს ეროვნული გაერთიანების ფონდის “INDEPENDENT SECTOR”-ის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ორი საინტერესო ფაქტი დაადგინა. 1. ის მოზარდები, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე ოჯახის, სკოლის, რელიგიურ ან ახალგაზრდული ჯგუფის საქმიანობებში მონაწილეობენ, სხვებთან შედარებით უფრო სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბდებიან. ისინი ზრდასრულ ასაკშიც გააგრძელებენ საზოგადოებრივ საქმიანობას. 2. ახალგაზრდები,

რომლებმაც ოჯახურ გარემოში, მშობლებთან ურთიერთობის დროს ისწავლეს ქველმოქმედება, რაიმეს აღება და გაცემა, მათი მანაწილეობის სურვილი და აქტიურობა მონაწილეობა მიიღონ მოხალისეთა ჯგუფებში, აუნაზღაურებელ საზოგადოებრივ საქმიანობაში უფრო მაღალია.

უკვე რამოდენიმე წელია, რაც ა.შ.შ.-ს მრავალ სკოლაში მოხალისეთა დახმარების პროგრამა ხორციელდება. პროგრამა გულისხმობს შემდეგს: სტუდენტები ნებაყოფლობით, აუნაზღაურებლად მუშაობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში (ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი, მოხუცთა საერთო საცხოვრებელი და ა.შ.) და შემდეგ განმარტავენ, თუ რა სასარგებლო შეიძინეს მათ ამ პროგრამიდან.

ამ პროგრამის მიზანია წარმატებული და ჰუმანური მოქალაქეების აღზრდა. ისეთი პიროვნებების ჩამოყალიბება, რომლებიც ცხოვრებას არა მარტო ბუნებრივად მინიჭებულ უფლებად არამედ პასუხისმგებლობადაც აღიქვამენ. ამის შედეგი სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განმტკიცება იქნება.

- რა დამოკიდებულებაა არაკომერციულ სექტორსა და ხელისუფლებას შორის?

ხელისუფლება არ ერევა არაკომერციული სექტორის საქმიანობაში და არ ზღუდავს მის თავისუფლებას. ხელისუფლება არ განსაზღვრავს იმ საკითხებსა და პრობლემებს, რომლებზეც ეს ორგანიზაციები დამოქალაქეები მუშაობენ. ის ვერც კონკრეტული საკითხის გადაჭრის ვარიანტებს შეიძუშავებს. ეს ჩაურევლობა და თავისუფლება ორგანიზაციებისათვის აუცილებელია თავისი საქმიანობის ნაყოფიერი განხორციელებისათვის. სხვა პირობებში ვერ მოხერხდება ხალხის სათანადო დაცვა და პრობლემის გადაჭრა. დრო და დრო ეს ხელისუფლების კრიტიკას და გავლენის გავრცელებას, ჩარევის მცდელობას იწვევს. სიტყვისა და გაერთიანებების გარანტირებული თავისუფლება, რომელიც ადამიანის უფლებების ნაწილია, ორგანიზაციებს ამგვარი ჩარევის მცდელობისაგან იცავს და სწორედ ეს უწყობს ხელს არაკომერციული სექტორის მნიშვნელოვან მიღწევებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

## გამონათქვამები მშვიდობისა და სამართლის შესახებ

“ღმერთო, მოჰხედე ტანჯულთა,  
უშველე, შაიწყალეო!  
კარგი კარგია მაინცა, -  
ბეჩავი შაიყვარეო!  
ტანჯულთა ლოცვა-მუდარა  
გულს ვარდად დაიყარეო!  
თუ არ უშველი, საწყლების  
სულები მიიბარეო!..  
გეყო მაგდენი მუქარა,  
ღრუბელი გადიყარეო!”

ვაჟა-ფშაველა, “სტუმარ-მასპინძელი”

“ჩვენი ძირითადი რწმენა ყოველ-თვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდბატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლივ ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად და საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხენა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავი-სთავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვ-დინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია.

ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელმამე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერე-სები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთ ნა წყობა და აგებულება საზოგადოებისა, თუ ერისა დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შემობერვაზედვე დაიფუ-შება. ამისი მაგალითი და საბუთი ისტორიაში ერთი და ორი არ არის. ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათას გვარ განსაც-დელისგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელსამე წოდე-ბის წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევა დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია.”

ილია ჭავჭავაძე, “წოდებათა თანასწორობა”

არაძალადობის ფიცი

“არ არის საკმარისი მხოლოდ ცოცხალი არსების სიცოცხლის წართმევაზე უარის თქმა. ის ვინც არაძალადობას შეჰფიცებს, ვალდებულია რომ არ მოკლას ისინიც კი, ვიზეც იგი ფიქრობს რომ არ არიან სამართლიანნი; იგი არ უნდა იყოს გაბრაზებული მათზე, მას უნდა უყვარდეს ისინი; მაშასადამე, ის ყოველთვის შეეწინა-აღმდეგება მშობლების, მთავრობების ან სხვათა ტირანიას, მაგრამ არასდროს მოკლავს ან მიაყენებს ტკივილს ტირანს. არაძალადობისა და სიმართლის მიმდევარი გამოიყენებს სატიაგრაჰას ტირანიის წინააღმდეგ და ტირანს მოუგებს ბრძო-ლას სიყვარულით; ის არ დაჰყვება ტირანის ნებას და მიიღებს დას-ჯას თუნდაც სიკვდილის სახით ტირანისადმი დაუმორჩილებლობისათვის. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ის არ გაიმარჯვებს ტირანზე”

მაჰათმა განდი, “სატიაგრაჰაშრამას წესები”

“ნამდვილი მშვიდობა - ეს არა უბრა-ლოდ დაძაბულობის არქონაა, ნამდვილი მშვიდობა - ეს მშვიდობაა, სადაც სამართლიანობა და ძმობა მეფობს”.

მართინ ლუთერ კინგ ჯუნიორი

“ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,

მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა.  
მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე,  
ელვარე საღამოვ აღმას საყურეთა!  
ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,  
უთუოდ მახსენებ ოდესმე.. ოდესმე!  
გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო  
შენს ფეხრთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.  
ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი  
ოცნება, ნახაზი საგანთა უარით,  
ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი,  
რომელსაც აზიის ცით გადაუარეთ.  
ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი  
და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის.  
ამაოდ დაგენდე, და ჩვენ ერთმანეთი  
ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!”

გალაკტიონ ტაბიძე

“მშვიდობა არ გულისხმობს ომის არარსებობას, არამედ ის არის სიქველე, ადამიანის არსების ისეთი მდგომარეობა, რომელიც განწყობილია ხელგაშლილობის, დარწმუნებისა და სამართლისაკენ”.

ბარუს სპინოზა

“პრობლემების გადაჭრის პროცესები და კონფლიქტების პროვენციის პოლიტიკა არის ის ელემენტი, რომელიც აკლია ჩვენს მიერ ნახსენებ არაადეკვატურ და კრიზისში მყოფ, ჩავარდნილ სისტემებს.  
ასეთი პრობლემების გადაჭრა ყველა იდეოლოგიურ კონცეფციაზე ზემოთ ღვას. ის არც “მემარჯვენეა” და არც “მემარცხენე”. ის მიესადაგება ნებისმიერ სისტემას, და ეს არის ის პროცესი და ფილოსოფია, რომელიც ყველა სისტემას აერთიანებს”

ჯონ ბარტონი

“ სწორედ სიცოცხლის დაცვისთვისაა, რომ ჩვენს მოქალაქეებს ჯარში ვიწვევთ. ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის დაცვისათვის ჩვენ ვხარჯავთ უდიდეს სახსრებს თვითმფრინავებსა და ტანკებში, და აგრეთვე სხვა ტიპის იარაღებში. და მიუხედავად ამ უდიდესი დანახარჯებისა, ჩვენ მაინც ვერ ვახერხებთ ჩვენი მოქალაქეებისა და ჯარისკაცების სიცოცხლის დაცვას. მთელს მსოფლიოში მოფენილი სამხედრო სასაფლაოები უსიტყვო მტკიცებაა ადამიანის სიცოცხლის დაცვის საქმეში ეროვნულ ლიდერთა სრული უსუსურობისა.  
ადამიანის სი-ცოცხლის განწმენდის მხოლოდ ერთი რადი-კალური გზა არსებობს. ეს რადიკალური გზა არის ნამ-დვილი მშვიდობა.”



## იცხაკ რაბინი

“ძირეული მოთხოვნები გვეხმარება იმაში რომ ვუპასუხოთ იმ კითხვას თუ რატომ არის კონფლიქტები ასეთი რთული და ასე გაგრძელებული, ასეთი ძირეული და ასეთი შეუვალი. პასუხი მეტად მარტივია: რადგანაც ეს მოთხოვნები ბევრად უფრო ძირეულია, ვიდრე ძირი-თადი მიზნები, ღირებულებები და ინტერესები”.

იოჰან გალტუნგი

ვინც ახშობს მშვიდობიან რევოლუციას, გზას უხსნის ძალმომრეობას.

ჯონ ფიცჯერალდ კენედი

“მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდა: მიეცით მშვიდობას შანსი”

ჯონ უინსტონ ლენონი

## დემოკრატია თუ კონსტიტუციური ლიბერალიზმი

### რუსუდან მშვიდობაძე

დასრულდა XX საუკუნე. ადამიანები ცდილობენ გასული ასწლეულის მნიშვნელოვანი მოვლენები შეაფასონ. მოვლენები, რომლებმაც პროგრესული როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ჩამონათვალი, ალბათ, საზოგადოების მიერ განვლილ გზასავით გრძელი იქნება. სხვა მოვლენებს შორის ამ სიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დემოკრატიის აღზევება-საც ეკუთვნის.

დემოკრატიული მმართველობის ფორმებზე დღეს ბევრს კამათობენ. ჩვენ გვინდა წარმოვიდგინოთ ორი თვალსაზრისი, რომლებმაც ამ ბოლო დროს თავი იჩინა და ჩვენი აზრით, დემოკრატიის ახლებურ გააზრებას წარმოადგენს. ეს თვალსაზრისები ეკუთვნის ნობელის პრემიის ლაურეატს ამარტია სენსა და პოლიტოლოგ ფარიდ ზაქარიას.

დემოკრატიის იდეა, რა თქმა უნდა, ძველ საბერძნეთში ჩაისახა, მაგრამ მისი, როგორც მმართველობის სისტემის საბოლოო ჩამოყალიბებაზე, მრავალმა ფაქტორმა იქონია გავლენა: „მაგნა ქარტამ“, საფრანგეთისა და ამერიკის რევოლუციებმა, მე-19 საუკუნეში საარჩევნო უფლებების გაფართოებამ. მაგრამ მხოლოდ XX საუკუნეში მოხდა დემოკრატიის საყოველთაოდ მიღებულ, მმართველობის „ნორმალურ“ ფორმად გადაქცევა.

საყოველთაო არჩევნებიც მხოლოდ XX საუკუნეში გახდა შესაძლებელი. მართლაც, „საყოველთაო“ მონაწილეობა ყველამ მიიღო: ქალმაც და კაცმაც.

სწორედ XX საუკუნეში დაიბადა დემოკრატიის მომავლის უნივერსალური ფასეულობის იდეა, რაც ამარტია სენის აზრით, დემოკრატიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ცნებას წარმოადგენს. რაში მდგომარეობს ეს იდეა?



XIX საუკუნეში ჩვეულებრივი მოვლენა იყო მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად მზად არის ესა თუ ის ქვეყანა დემოკრატიული წყობის გასათავისებლად. XX საუკუნემ თვით საკითხის ასე დასმის სისწორე ეჭვქვეშ დააყენა. ქვეყანას დემოკრატიის მისაღებად მზადყოფნა არ მოეთხოვება. დემოკრატიულ წყობას თავად მოაქვს ქვეყნისათვის დადებითი შედეგები. ამის გაცნობიერება ძალზე მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიის უნივერსალურ ღირებულებად ცნობისთვის. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი წინააღმდეგობა დარჩა გადასალახი.

რას ეყრდნობა ის, ვინც დემოკრატიული სისტემის უნივერსალობის იდეას ეწინააღმდეგება?

პირველ რიგში საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომ არადემოკრატიული სისტემები უფრო ეფექტურია ეკონომიკის განვითარებისათვის. თუმცა, ავტორის აზრით, არც ზოგადი სტატისტიკური სურათი იძლევა ამის საფუძველს და არც არანაირი სისტემური ემპირიული შესწავლა არ მიანიშნებს იმაზე, რომ არსებობს ძირეული განხეთქილება პოლიტიკური უფლებების დაცვასა და ეკონომიკურ წარმატებებს შორის. პირიქით, ის „ხელშემწყობი ღონისძიებები“, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას განაპირობებენ, სწორედ დემოკრატიული მართველობისათვის არის დამახასიათებელი. ეს პირობებია: კონკურენცია, საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, სახელმწიფოს მიერ ინვესტი-რებებისა და ექსპორტის სტიმულირება, მიწის რეფორმა, განათლების მაღალი დონე.

ეკონომიკური და სოციალური კატას-ტროფების თავიდან აცილება სწორედ დემოკრა-ტიული მმართველობის დროს არის შესაძლებელი, რადგანაც იგი ხალხს სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების დაცვის პირობებში საშუალებას აძლევს საზოგადოების ყურადღება უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გაამახვილოს და მოითხოვოს შესაბამისი ზომების მიღება.

კიდევ ერთი საბუთი, რომელიც დემოკრა-ტიის, როგორც უნივერსალური ღირებულების წინააღმდეგაა მიმართული, არის „კულტურათა განსხვავებულობის“ არგუმენტი. აქ ყველაზე ცნობილია თეზისი “აზიურ ფასეულობათა” შესახებ. ამტკიცებენ, რომ აზიელები ტრადიცი-ულად უფრო მეტ პატივს სცემენ წესრიგსა და დისციპლინას, ვიდრე პოლიტიკურ უფლებებს და პიროვნების თავისუფლებას. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის თეზისიც, რომ თითქოს „დასავლეთის ძირითადი მახასიათებელი, რაც მას სხვა ცივილიზაციებისაგან განასხვავებს, ქრონოლოგიურად წინ უძღვოდა დასავლეთის მოდერნიზაციის პროცესს” და ამ მახასიათებლად დემოკრატიული მმართველობაა მიჩნეული.

„კულტურათა განსხვავებულობის“ არგუ-მენტი არ გამოდგება დემოკრატიულ ღირებუ-ლებათა უნივერსალურ ფასეულობად გამოცხადების საწინააღმდეგო საბუთად, თუნდაც იმიტომ, რომ დემოკრატიული მმართველობის ის პრაქ-ტიკა, რაც დღესდღეობით თანამედროვე დასავ-ლეთშია გაბატონებული, ძირითადად, განმანათ-ლებლობის ეპოქისა და ინდუსტრიული რევოლუ-ციის შედეგად მიღებულ კონსენსუსს ეყრდნობა და მან ფაქტიურად XX საუკუნეში იჩინა თავი.

დემოკრატიის უნივერსალური ფასეულობა მის მრავალფუნქციურობაშიც ვლინდება. ადამიანთა ცხოვრებაზე დემოკრატიის დადებითი ზემოქმედების სამი ასპექტი შეიძლება გამოვყოთ:

- პოლიტიკური თავისუფლება, რაც ზოგადად ადამიანის თავისუფლების უშუალო შემადგენელი ნაწილია. პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების გამოყენება პირდაპირ კავშირ-შია პიროვნების, როგორც სოციალური არსების, კეთილდღეობასთან. ამგვარ თანამონაწილეობას პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში თავისთავადი ღირებულება აქვს, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ჩამოცილება ერთი უმძიმესი აკრძალვათაგანია

ინდივიდუ-მისათვის.

- გამოყენებითი მნიშვნელობა. დემოკრატიული წყობა საშუალებას აძლევს ხალხს გამოხატოს და გაიტანოს კიდევ საკუთარი მოთხოვნები.

- კონსტრუქციული მნიშვნელობა. საკუთარი შეხედულებებისა და მოთხოვნების ირგვლივ გამართული თავისუფალი დისკუსია საშუალებას აძლევს საზოგადოებას საკუთარი ფასეულობანი და მიზნები ჩამოიყალიბოს.

\* \* \*

ჩვენ შევხვით იმ პრობლემებს, რაც ამარტია სენის აზრით, დემოკრატიის უნივერსალურ ღირებულებაზე პრეტენზიას უკავშირდება. ეს მოიცავს მის თავისთავად ფასეულობას ადამიანთა არსებობისათვის, მის გამოყენებით როლსა და კონსტრუქციულ ფუნქციას. ეს ყველაფერი არ არის რეგიონალური ხასიათის. აქედან გამომდინარე დემოკრატიას ალტერნატივა არ გააჩნია.

მართლაც დემოკრატიის, როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის საუკეთესო ფორმაზე დღეს ნაკლებად კამათობენ. დისკუსიის საგანი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არის ხოლმე დემოკრატიული მმართველობის ფორმები. კერძოდ, რას უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა: კონსტიტუციურ ლიბერალიზმს თუ ჩვეულებრივ დემოკრატიას?

სწორედ მეორის სასარგებლოდ წყვეტს საკითხს ფარიდ ზაქარია, თუმცა მისივე თქმით, განსხვავების დანახვა ამ ორ ფორმას შორის ძნელი აღმოჩნდა, რადგან მთელი საუკუნის განმავლობაში დასავლეთში დემოკრატია ლიბერალური დემოკრატიის სინონიმი იყო. მისი მახასიათებელი იყო არა მარტო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, არამედ კანონის უზენაესობა, ძალაუფლების დაყოფა, სიტყვისა და სარწმუნოების თავისუფლება და საკუთრების ძირითად თავისუფლებათა დაცვა.

ფარიდ ზაქარიას აზრით, დემოკრატიის ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათებელთა ნაკრებს კონსტიტუციური ლიბერალიზმი შეიძლება ვუწოდოთ. თეორიულად და ისტორიულად იგი განსხვავდება დემოკრატიისაგან. თუმცა პოლიტიკური თავისუფლებისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის დოქტრინა შეიძლება ემთხვეოდეს დემოკრატიის გამოჩენას, მაგრამ არ არის მისგან განუყოფელი.

დემოკრატიული მმართველობების ნაირსახეობათა დიფერენციაციის აუცილებლობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში. რამ გამოიწვია ეს?

დღეს მსოფლიოში 193 ქვეყნიდან 118 დემოკრატიულია. დემოკრატიის უნივერსალურ ფასეულობად აღიარების ფონზე ეს ფაქტი სასიხარულო უნდა იყოს, მაგრამ თანდათან მატულობს დემოკრატიის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით შეშფოთება. ავტორის აზრით, ეს გამოიწვია სამხრეთ ცენტრალურ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში სწრაფად გაგრძელებულმა მრავალ-პარტიული არჩევნების შედეგებმა.

საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში მოვიდნენ პოპულარული ლიდერები, რომლებიც ქვეყანას მართავენ საპრეზიდენტო ბრძანებულებებით და გვერდს უკლან პარლამენტს. ირღვევა ხელისუფლების გადანაწილების პრინციპი. რა თქმა უნდა, არალიბერალურ დემოკრატიებს შორისაც განსხვავებათა დიდი სპექტრია, მაგრამ ერთი რამ უტყუარია: საყოველთაო და სამართლიანი არჩევნები, რაც დემოკრატიის მთავარ პრინციპს შეადგენს, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია ქვეყანაში დემოკრატიის დასამყარებლად. თუ მინიმალისტურ განსაზღვრებას გავცდებით და ქვეყანას დემოკრატიულს მხოლოდ მაშინ

ვუწოდებთ, თუ ის სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური უფლებების საყოველთაო დაცვას უზრუნველყოფს, მაშინ საქმე გვექნება ლიბერალურ დემოკრატიასთან და სწორედ დემოკრატიის ეს ფორმა არის რიგი პოლიტოლოგებისათვის ყველაზე მისაღები.

კონსტიტუციური ლიბერალიზმი უკავშირდება არა იმდენად მთავრობის არჩევას, რამდენადაც მის მიზნებს. ასეთი სისტემა იძულებისაგან პიროვნების დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვას ცდილობს. მნიშვნელობა არა აქვს ვისგან მოდის ეს იძულება - სახელმწიფოსგან, ეკლესიასა თუ საზოგადოებისგან. კონსტიტუციური ლიბერალიზმი თავის თავში აერთიანებს ინდივიდუალურ თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას, რაც თავისუფალ და საყოველთაო არჩევნებთან ერთად ლიბერალურ დემოკრატიას აფუძნებს.

ის, ვინც ლიბერალიზმს დემოკრატიული მმართველობისათვის წამყვან პრინციპად მიიჩნევს, თვლის, რომ ლიბერალური დემოკრატია მჭიდრო კავშირშია არა მარტო კონსტიტუციურ ლიბერალიზმთან, არამედ ლიბერალურ ავტოკრატიასთანაც კი. ამის მაგალითია ყოფილი ავსტრო-უნგრეთის იმპერია, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის კლასიკურ მოდელს წარმოადგენდა.

დემოკრატიულად არჩეულ მთავრობებს აქვთ ტენდენცია წარმოიდგინონ, რომ მათ აბსოლუტური ძალაუფლება ეკუთვნით. ამან კი შეიძლება ძალაუფლების ცენტრალიზაცია გამოიწვიოს. ეს რომ არ მოხდეს უნდა არსებობდეს ალტერნატიული ცენტრები და კანონის უზენაესობა საყოველთაოდ უნდა იყოს აღიარებული. ადამიანებს აქვთ ბუნებრივი და განუყოფელი უფლებები და მთავრობებმა უნდა მიიღონ ძირითადი კანონი, რომელიც საზღვრავს მათ ძალაუფლებას და სხვათა უფლებებს იცავს. „დასავლური სისტემის“ საუკეთესო სიმბოლო არის არა სახალხო პლებისციტი, არამედ მიუკერძოებელი მოსამართლე.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა ორი პოზიცია. ერთ-ერთის მიხედვით დემოკრატია, იმ სახით როგორითაც იგი უმრავლეს ქვეყანაში არსებობს უნივერსალური ფასეულობაა და მას ქვეყნების განვითარებისათვის მხოლოდ დადებითი შედეგები მოსდევს და მეორე - დემოკრატია კონსტიტუციური ლიბერალიზმის გარეშე, ორიენტირებულია მხოლოდ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებზე, ზიანის მომტანიც კი შეიძლება გახდეს. საკითხი დასმულია და ამ თემის გარშემო დისკუსიის გამართვა მკითხველის პრე-როგატივაა.

## **ქართული საზოგადოება დღეს: ადაპტაციური კრიზისი**

### **გაგა ნიჟარაძე**

თანამედროვე კროს-კულტურულ ფსიქო-ლოგიაში კულტურების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმი (ოფსტედე, 1980). ინდივიდუალიზტურ კულტურებში საზოგადოების ძირითადი ერთეულია ინდივიდი. სოციალური ცხოვრების მთავარი რეგულატორია აბსტრაქტული ნორმა (კანონი, რელიგიური მცნება და მისთ.); თანასწორობისა და ინდივიდუალური თავისუფლების ხარისხი მეტია.

ინდივიდუალიზმის ინდექსი ყველაზე მაღალია ანგლო-საქსურ, ჩრდილო ევროპულ კულტურებში, ოდნავ ნაკლები – სხვა ევროპულ კულტურებში.

კოლექტივისტურ კულტურებში საზოგადოების ძირითადი ერთეულია ჯგუფი, დიდი (ერი, „ხალხი“, რელიგიური ერთობა და მისთ., ანუ ისეთი ჯგუფები, რომელთა წევრებიც არ იცნობენ ერთმანეთს პირადად) ან მცირე (გაფართოებული ოჯახი, სანათესაო, სამეგობრო, სამეზობლო და ა.შ., ანუ ჯგუფები, რომელთა წევრებიც ერთმანეთს პირადად იცნობენ).

ჯგუფის ინტერესები პრევალირებს ინდივიდუალურზე; ინდივიდი რიცხვით ნაკლები სოციალური ჯგუფის წევრია, მაგრამ მათ მიმართ მეტი ვალდებულება აქვს; ჯგუფის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების პირნათლად შესრულების შემთხვევაში ჯგუფი იცავს თავის წევრს და ზრუნავს მასზე. სოციალური ცხოვრების რეგულატორია ჯგუფში არსებული ნორმები, ზოგჯერ კი ავტორიტარული პიროვნების ნება. დიდ ჯგუფებზე ორიენტირებული კოლექტივისტური კულტურის მაგალითია რუსეთი, ხოლო მცირეზე – საქართველო.

საქართველოში მცირე ჯგუფი არა მარტო ძირითადი, არამედ თვითკმარი ერთეულია. სხვა სიტყვებით, მცირე ჯგუფის ფარგლებში შესაძლებელია ძირითადი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (ურთიერთობა, ძალაუფლება, პრესტიჟი და სხვ.). საზოგადოების ყოველი წევრის ატრიბუცია ხდება იმ მცირე ჯგუფების (თანამედროვე ტერმინოლოგიით, ინ-ჯგუფების) მიხედვით, რომელთა წევრიცაა იგი (ამის ნაცნობი, იმის მეზობელი და მისთ.). ის ინ-ჯგუფები, რომლებშიც შედის საშუალო ქართველი, პრაქტიკულად სრული შემადგენლობით იკრიბებიან თავისი წევრის პანაშვიდზე, ყველაზე ახლობლები ან პატივცემულნი კი – ქელებზე. ქართული პანაშვიდი როგორც რიტუალი პირველ რიგში ემსახურება ინ-ჯგუფის სიდიდის, სიძლიერის, გავლენიანობის დემონსტრაციას და ამ ჯგუფის შეკავშირებას.

ქართული ინ-ჯგუფი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, შეიძლება შევადაროდ სოფელს, სადაც ყველა ყველას იცნობს, ენათესავება ერთმანეთს, მეტ-ნაკლებად ხშირი ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან, იცის სოფლის ნორმები და ტრადიციები (‘სოფლის’ ქალაქური შესატყვისია უბანი). სასიცოცხლო ინტერესები პრინციპში ‘სოფლით’ შემოიფარგლება, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვა ‘სოფლებიც’ არსებობენ. ჩვენი ‘სოფელი’, რომელიც სხვაგან წავიდა და იქ გაითქვა სახელი, ანდა ‘სოფელი’, რომელიც აქაურობას გარეთაცაა ცნობილი, პირველ რიგში მოცემული სოფლის ‘სახეა’, მის პრესტიჟს ემსახურება სხვა ‘სოფლებთან’ მიმართებაში.

ქართული სოციუმის ამგვარი სტრუქტურა განსაზღვრავს ჰორიზონტის სივიწროვეს როგორც სივრცეში, ისე დროში. სივრცე ძირითადად შემოიფარგლება ‘სოფლით’, დრო კი წარსულით, აწმყოთი, მაგრამ არა მომავლით. ქართული კულტურის ‘ქცევითი სივრცე’ აწმყო-ზეა ორიენტირებული. გრძელვადიანი დაგეგმა-რება, შორს გათვლილი სტრატეგია ქართული კულტურისათვის უცხოა როგორც ინდივიდუალურ და ინ-ჯგუფის, ისე სახელმწიფოს მართვის დონეზეც (საგულისხმოა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ მიუღია არც ერთი პროგრამა, რომელიც რამდენიმე ათწლეულზე ყოფილიყო გათვლილი; მაგრამ რომც მიეღო, საეჭვოა, რომ იგი შესრულებულიყოს).

რაც შეეხება წარსულს, ესაა ერთ-ერთი იმ ღირებულებათანი, რომელიც საერთო ქართული იდენტურობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, თუმცა ყოელდღიურ ქცევაზე დიდ გავლენას არ ახდენს. დავით აღმაშენებლისა და, განსაკუთრებით, თამარის ეპოქა ეროვნული ღირსების, თვითშეფასების დასაყრდენს შეადგენს. ამავე დროს, მითოლოგი-ზებული წარსული დიდება კომპენსატორულ როლს თამაშობდა და თამაშობს ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსისაგან თავის დასაცავად: ამ კომპლექსის საფუძველი კი რუსულ და საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას იყო დაქვემდებარებული სტატუსი, ხოლო ახლა - ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი.

ყოველი ცოცხალი კულტურა მეტ-ნაკლებად შეგუებულია მასზე მოქმედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა ფაქტორებთან. როდესაც ამ ფაქტორების მოქმედება იცვლება, კულტურამ უნდა მოახერხოს ამ ცვლილებებზე ადექვატური ‘პასუხის’

გამომუშავება. თუ ეს არ მოხერხდა, კულტურა კინდება და შეიძლება გადაგვარდეს ან მოისპოს კიდევ.

ქართული კულტურის აღწერილი თავისებურებებიც ადაპტაციურ “პასუხებს“ წარმოადგენენ, ამასთან, არცთუ ურიგო პასუხებს: ჩვენმა ხალხმა შეძლო საუკუნეების მანძილზე შეენარჩუნებინა ენა, თვითმყოფადობა, რელიგია, კულტურული და სულიერი ფასეულობები.

ქართული კულტურული მოდელი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა პოსტ-სტალინური საბჭოთა რეჟიმის პირობებში. ამ ეპოქაში ძალაუფლების მწვერვალზე უშიშროების ორგანოები შეცვალა პარტიულმა ნომენკლა-ტურამ, რომელიც, ამის საფასურად იძულებული გახდა გარკვეული ლიბერალიზაცია დაეშვა<sup>1</sup>. სისტემამ ხელშეუხებლად და ტაბუირებულად დატოვა იდეოლოგია და პოლიტიკა, სამაგიეროდ არაფორმალურად დაუშვა კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა. სახელმწიფომ მოქალაქეებთან თითქოს დალოდაუწერელი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოქალაქეს ეძლეოდა, გარკვეულ ფარგლებში, არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის საშუალება (მაგრამ რასაკვირველია, არა უფლება), ხოლო პოლიტიკა და იდეოლოგია სახელმწიფოს მონოპოლურ მფლობელობაში რჩებოდა.

ჩემის აზრით, თამაშის ახალი წესები ყველაზე ადრე საქართველოში შეითვისეს. სწორედ 60-იანი წლებიდან რუსეთში ჩნდება ქართველის სტერეოტიპი – სპეკულანტი, მდიდარი, მფლანგველი, რომელიც არასაბჭოთა (თუმცა არა ანტისაბჭოთა) ნორმებით ცხოვრობს. რუსეთში არ უყვართ, როდესაც ვინმე არ ერიდება სიმდიდრის დემონსტრირებას; ქართველისათვის კი ფული სწორედაც რომ მისი პატრონის ხელგამ-ლილობისა და სოციალური წარმატების წარმო-ჩენის საშუალებაა<sup>2</sup>. აღნიშნული სტერეოტიპის გაჩენა იყო რუსული კულტურის პასუხი მისი ერთ-ერთი ბაზური ღირებულების “ხელყოფაზე“, ღირებულებისა, რომელიც ისტორიკოსმა იაკო-ვენკომ ასე ჩამოაყალიბა: ყველა თანაბრად ღარიბი უნდა იყოს იაკოვენკოს აზრით, ოქტომბრის გადატრიალება ამ ღირებულების ნგრევის საფრთხემ განსაზღვრა.

“არასაბჭოთა ნორმების“ მიმართებაში რუსული კოლექტიური ცნობიერება მართალი იყო: სტალინის შემდეგ საქართველოში მოხდა პრაქტიკულად სრული გაუცხოება კომუნისტური ღირებულებებისაგან; სოციალიზმი საქართველოში უყვარდათ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი თანამემამულის, “ხალხთა მამის“ პირში იყო. საბჭოთა “პანთეონიდან“ სტალინის გამოძევებამ და მისმა დადანაშაულებამ კი საბჭოთა ღირებულებებს ძალა დაუკარგა; ისინი გადაიქცნენ ფუტურო კერპებად, რომლებიც რიტუალურ თაყვანისცემას საჭიროებდნენ, მაგრამ მათი რწმენა გაქრა.

ახალგაზრდობაში ამ დროს გაჩენილი ‘მორალური ვაკუუმი’ შეივსო კრიმინალური სუბკულტურის ნასესხები ნორმებითა და “გაგები” (საგულისხმოა, რომ 70-იანი წლების ბოლოს წარმოქმნილი ანალოგიური “ვაკუუმი” რუსულ ახალგაზრდობაში შეივსო არმიული მორალით).

შეიძლება ითქვას, რომ 60-80 წლები ერთ-ერთი ყველაზე უდარდელი პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში. სისტემამ შექმნა ისეთი პირობები, როდესაც მაღალი სოციალური სტატუსისა და საბჭოთა კვალობაზე სერიოზული სიმდიდრის მოპოვება შესაძლებელი გახდა, თუ შეიძლება ითქვას, ადექვატური ძალისხმევის გარეშე (განათლების დონე, პროფესიონალიზმი, გაწეული შრომა). თუ სტალინის პერიოდში ერთადერთი, თანაც არასაკმარისი, პირობა არათუ კარიერისათვის, არამედ თვით სიცოცხლის შესანარჩუნებლად, იყო რეჟიმისადმი აქტიურად გამოხატული ლოიალობა, შეცვლილ პირობებში გაჩნდა ახალი “კონვერტირებადი” ღირებულებები: ფული, თანამდებობა, გავლენიანი ნაცნობობა. გამოიკვეთა

კარიერის კეთების სამი გზა. პირველი იყო ნომენკლატურული; ნომენკლატურის სისტემაში მოხვედრით გვარდებოდა მატერია-ლური რესურსების მიღება და იხსნებოდა გზა ამ რესურსების გასანაწილებლად, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა კორუფციისათვის. მეორე გზა იყო ჩრდილოვანი ეკონომიკა – გამდიდრება სახელმწიფოსა და თანამოქალაქეების ხარჯზე. ჩრდილოვანი ეკონომიკას არაფერი საერთო არ ჰქონდა კაპიტალიზმთან, ვინაიდან მისთვის უცხო იყო კონკურენცია; ეს იყო საბჭოთა რეჟიმის ნაშეიერი და მის გარეშე პერსპექტივა არ აქვს. ბოლოს, კიდევ ერთი გზა იყო “შავი” - კრიმინალურ სამყაროში ავტორიტეტის მოპოვება, რაც არცთუ ურიგო სოციალურ სტატუსს ნიშნავდა; მაღალი რანგის ქურდი უკვე “საქმეზე” აღარ დადის, მაგრამ კარგი შემოსავალი აქვს, რომლის საკმაო ნაწილს შეადგენს “მედიაციური სამსახური” - კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება “გაგების” კანონების მეშვეობით.

აღნიშნული სამი სფერო – ნომენკლატურა, ჩრდილოვანი ეკონომიკა და კრიმინალური ელიტა – მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან გადახლართული და, ფაქტობრივად, ერთ სისტემას ქმნიდნენ. ეს ადაპტაციური სისტემა, ასე ვთქვათ, წამგებიანი იყო: იგი მოიხმარდა იმპერიის რესურსებს, ქმნიდა კი ძალზე ცოტას. ამასთან, იგი გამოძუშავდა დამოკიდებული ქვეყნის სტატუსში ყოფნის პირობებში; ეს ნიშნავდა, რომ ნებისმიერი ქვეყნის წინაშე მდგარ ფართომასშტაბიან პრობლემებს (უსაფრთხოება, სოციალური დაცვა, მომარაგება და სხვ.) აგვარებდა, ცუდად თუ კარგად, ცენტრი.

დღევანდელი საქართველოს უმნიშვნელოვანეს პრობლემას შეადგენს სწორედ ის, რომ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა რადიკალურად, ქცევითი მოდელები კი პრაქტიკულად იგივე დარჩა. ხელისუფლებაში დიდია ძველი ნომენკლატურის ხვედრითი წილი, რომელსაც სხვანაირად, თუ არა საბჭოურად, აზროვნება და ქცევა, უბრალოდ, არ ძალუძს. რახან მოიშალა არაეფექტური, მაგრამ მაინც რაღაც ფუნქციის მქონე საბჭოთა მაკონტროლი-რეზერვუარი მექანიზმები, კორუფციამ და ალიანსმა ჩრდილოვანი სექტორისა და კრიმინალურ სამყაროსთან მმართველ და ძალოვანი სტრუქტურებში კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. ჩრდილო-ვანები, სახელმწიფო რესურსების დეფიციტის პირობებში, ძირითადად კონტრაბანდითა და შემო-სავლის დაფარვით ირჩენენ თავს და ამ პირობებშიც კი ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში ნახევარზე მეტს შეადგენს. რაც შეეხება კრიმინალურ “ავტორიტეტებს”, მათი სოციალური სტატუსი კვლავაც არცთუ დაბალია; “შავი” გზა ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილისათვის სასურველ ორიენტირს წარმოადგენს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართული კულტურა ადაპტაციურ კრიზისს განიცდის, რაც იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ფენაში გაბატონებული ქცევითი მოდელები, სტილი არ შეესაბამება რეალობის მოთხოვნებს. რეალობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველები უკვე ათი წელია დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრობენ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართულ საზოგადოებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ემპირიული გამოკვლევები აჩვენებენ, რომ წლიდან წლამდე მცირდება ფატალიზმის დონე, იზრდება საკუთარი ძალების რწმენა. ეს – ფსიქოლოგიის დონეზე. მეორეს მხრივ არასამთავრობო სექტორის გაჩენა, არასრულყოფილი, მაგრამ მაინც დემოკრატიულ ყაიდაზე აგებული ინსტიტუტები, მეტ-ნაკლებად თავისუფალი მას-მედია, თუნდაც ჩანასახოვანი მდგომარეობაში მყოფი კერძო საკუთრება და საბაზრო ეკონომიკა გარკვეულ პოზიტიურ როლს მაინც თამაშობენ, და ეს იმედის მომცემია. მაგრამ ზოგადად ბატონობენ ძველი ღირებულებები და სტერეოტიპები; უკვე ხსენებული, სივრცითი და დროითი ჰორიზონტის სივიწროვე განსაზღვრავს მოქალაქეობრივი შეგნების დეფიციტს



საზოგადოების ყველა ფენაში. საზოგადოებრივი ვალდებულებები ძირითადად სიტყვაზე სრულდება. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის წლებში არ განიცადა რაიმე შესამჩნევი ცვლილება ქართული კულტურის ერთ-ერთმა ბაზურმა რიტუალმა – სუფრამ.

როგორც დაასაბუთა ლ. ბრეგაძემ, ქართული სუფრა დღევანდელი სახით (სადღეგრძელოების მეტ-ნაკლებად რეგლამენტირებული რიგით, თამადის ინსტიტუტით) ჩამოყალიბდა სადაც 19-ე საუკუნის 30-იან წლებისათვის. ამ რიტუალის ჩამოყალიბება აგრეთვე კულტურის პასუხი იყო რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე. თუ ადრე, მუსლიმან დამპყრობლებთან მიმართებაში, ეროვნული თვითმყოფადობის შემანარჩუნებელი ღირებულებების როლში (იდენ-ტიფიკატორად) რელიგია გამოდიოდა, ამ შემთხვევაში იგი ამგვარ ფუნქციას ვეღარ შეასრულებდა. კულტურამ ‘იგრძნო’ თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროება და შესაბამისი პასუხი გასცა – შეიმუშავდა სუფრის რიტუალი, რომლის მსვლელობისას ყოველმა ‘ნამდვილმა ქართველმა’ სადღეგრძელოების რეგლამენტირებული რიგის წარმოთქმით უნდა თაყვანი სცეს ეროვნული ღირებულებების “დაკონსერვებულ” სისტემას (ჩვენი ჯგუფი, ოჯახი, სამშობლო, წინაპრები და ა.შ.). სხვა სიტყვებით, ეროვნული ღირებულებების სისტემისადმი სიტყვიერად გამოხატული ლოიალობა ჩაენაცვლა სოციალურ ქმედებას. თუ ინ-ჯგუფების წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებები რეალურად სრულდებოდა და სრულდება, უფრო ფართომასშტაბიანი ერთობის (“ჩვენი პატარა საქართველო”) საკეთილდღეოდ მიმართული აქტივობა პრაქტიკულად მთლიანად შემოიფარგლებოდა და შემოიფარგლება შესაბამისი სადღეგრძელოების გამუდმებული რიტუალური გამეორებით.

შეიძლება ითქვას, რომ სუფრის რიტუალმა თავისი ფუნქცია, ასე თუ ისე, შეასრულა. ეროვნული თვითმყოფადობა და თვითცნობიერება შენარჩუნდა. დღეს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით არსებობის პირობებში, თითქოს სუფრის რიტუალი უნდა ნელ-ნელა დაიწყებას მიცემოდა როგორც ფუნქციადაკარგული, მაგრამ ასე არ მოხდა; სუფრა რჩება ყველაზე სასურველ სოციალურ აქციად, რაც იმის მანიშნებელია, რომ კულტურის მასშტაბით ორიენტაციის შეცვლა სიტყვიდან საქმისაკენ არ შეიმჩნევა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოების სტრუქტურა და გავრცელებული ქცევითი სტერეოტიპები უზრუნველყოფენ სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებას ‘სოფლის’ დონეზე. უნდა აღინიშნოს, ქართული კულტურის ზოგიერთი თვისების ეფექტი სცილდება ‘სოფლის’ ფარგლებს და უფრო ფართო სოციალურ ჯგუფებს მოიცავს. მაგალითად, ურთიერთობაზე ორიენტაცია და აქედან გამომდინარე ურთიერთობის ნორმების არსებობამ განსაზღვრა ის, რომ 1992-94 წლებში, ანარქიისა და კრიმინალის აღზევების პერიოდში, საქართველოში არ დამყარებულა რუსული სიტყვა “ааӀ-იბააӀ”-ით აღნიშნული სიტუაცია, რეკეტმა არ მიიღო ფართო მასშტაბები (თუ არ ჩავთვლით სახელმწიფოსა და მოხელეების რეკეტს), ხოლო დაქირავებული მკვლელი, ქილერი, არ იქცა სოციალურად აღიარებულ ‘პროფესიად’, როგორც ეს, მაგალითად, რუსეთში მოხდა.

მიუხედავად ამისა, ეროვნული სახელ-მწიფოს შენარჩუნებისა და მართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ქცევითი მოდელების დეფიციტი, ანუ ადაპტაციური კრიზისის არსებობა, სრულიად ცხადია. მომავალი გვიჩვენებს აქვს თუ არა ქართულ კულტურას როგორც რთულ სისტემას ახალი პირობებისადმი ადექვატური პასუხების გამომუშავების პოტენციალი.

## რა არის მედიაცია

### ზოგადი მიმოხილვა



## თამუნა ციხისთავი


მედიაცია კონფლიქტების მოგვარების საკმაოდ ცნობილი მიმართულებაა დასავლეთის რიგ ქვეყნებში. იგი ფართოდ გამოიყენება კონფლიქტების მოსაგვარებლად როგორც ოჯახებში, სკოლებში, საქმიან წრეებში, ასევე საზოგადოების სხვა ფენებში.

ამ შემთხვევაში, ჩვენ ვისაუბრებთ ა.შ.შ.-ში, კერძოდ Eastern Mennonite University-ში დანერგილი მედიაციის ტრადიციებზე, რომლებიც ბალტიმორის მედიაციის ცენტრის გამოცდილებაზეა დაყრდნობილი.

ბალტიმორის მედიაციის ცენტრში დაგროვილი გამოცდილება შემდეგ ფილოსოფიას ეყრდნობა - კონფლიქტის მიმდინარეობისას მედიაციის საშუალებით დაპირისპირებულ მხარეებში შეიძლება გამოინახოს ის ჯანსაღი პოტენციალი და სურვილი, რომელიც ხელს შეუწყობს კონსტრუქციული დიალოგის დაწყებას და მედიატორის დახმარებით შეთანხმების მიღწევას.

სწორედ ეს არის მედიატორის ფუნქცია - დაპირისპირებული მხარეების მიყვანა მოლაპარაკების მაგიდასთან, მოლაპარაკების წარმართვა სპეციალური ტექნიკის გამოყენებით და მხარეების შეთანხმებამდე მიყვანა შემდეგი საწყისი აუცილებელი წესების დაცვით - კონფიდენციალურობით, მხარეების მიმართ ნეიტრალური პოზიციის გამოვლენით, არ გასამართლებითა და საკუთარი აზრის არ გამოთქმით, რჩევების არ მიცემით. ეს ყოველივე საკმაოდ ზოგადი აღწერაა იმ რთული პროცესისა, რასაც მედიაცია ქვია. იმისათვის, რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, თუ რა განსხვავებაა ჩვეულებრივ მოლაპარაკებასა და მედიაციის ტექნიკით გამართულ მოლაპარაკებას შორის, განვიხილოთ ჩვეულებრივი მოლაპარაკების პროცესი, რომელიც ძალიან ხშირია ჩვენს რეალობაში და, შემდეგ შევადაროთ იგი მედიაციის საშუალებით წარმართულ მოლაპარაკებას. ჩვეულებრივი მოლაპარაკება შემდეგნაირად ვითარდება: მოლაპარაკებისას მხარეები აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს, საუბრობენ მხოლოდ მათზე და ნაკლებად ეხებიან თავიანთ ინტერესებს, საჭიროებებს და იმ მთავარ პრობლემას, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

ჩვეულებრივი მოლაპარაკების პროცესი:



მედიაციის საშუალებით წარმართული მოლაპარაკება კი შემდეგნაირად ვითარდება - მოლაპარაკებისას მხარეები საუბრობენ თავიანთ საჭიროებებზე, ინტერესებზე და განიხილავენ პრობლემას, ეძებენ მისი მოგვარების, გადაჭრის გზებს.

მედიაციის საშუალებით წარმართული პროცესი:



როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდი განსხვავებაა ჩვეულებრივი გზით წარმართულ მოლაპარაკებასა და მედიაციის გამოყენებით გამართულ მოლაპარაკებას შორის.

პირველ შემთხვევაში მხარეები მხოლოდ პოზიციების დაფიქსირებას ანდომებენ დროს და არ საუბრობენ თავიანთ საჭიროებებსა და ინტერესებზე და ამის გამო უჭირთ პრობლემის გადაჭრა. ეს ყოველივე კი ლოგიკურად, უშედეგო მოლაპარაკებით სრულდება.

მეორე შემთხვევაში, როდესაც საუბარია მედიაციის გამოყენებით მოლაპარაკების წარმართვაზე, ჩვენ ვხვდებით მოლაპარაკების იმ სახეობას, რომელიც მხარეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ ისაუბრონ თავიანთ საჭიროებებზე, ინტერესებზე და იმუშაონ პრობლემის მოგვარებაზე მედიატორის დახმარებით.

ამ შემთხვევაში ნათელია, რომ მხარეების შეთანხმებამდე მისვლა უფრო ადვილია, რადგან ისინი არა მხოლოდ პოზიციებს აფიქსირებენ, არამედ ღიად საუბრობენ თავიანთ ინტერესებსა თუ საჭიროებებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიაცია ის ტექნიკაა, რომლის გამოყენებისას კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკების შედეგად სავსებით შესაძლებელია. ეს ის პროცესია, რომლის სწორად წარმართვისას ორი დაპირისპირებული მხარე იწყებს დიალოგს, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს, ეძებს გზებს პრობლემის გადასაჭრელად და ბოლოს, კონფლიქტის მოგვარებაზე თავად მუშაობს. შორიდან ყველაფერი ისე გამოიყურება, რომ მხარეები თვითონ ეძებენ გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან, მუშაობენ კონფლიქტის მოგვარებაზე. სინამდვილეში კი მედიატორი უძღვება ამ პროცესს და სწორედ მისი დამსახურებაა, თუ ყველაფერი ასე გამოიყურება შორიდან.

მედიაცია დაპირისპირებულ მხარეებს სთავაზობს, თავად გადაწყვიტონ თავიანთი კონფლიქტი იმის მაგივრად, რომ სხვა ინსტიტუტსა თუ პიროვნებას მისცენ მისი მოგვარების საშუალება, მათ ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების უფლება.


მედიაციის საშუალებით დაპირისპირებული მხარეები მიდიან მოლაპარაკების მაგიდასთან იმისათვის, რომ მოუსმინონ ერთმანეთს. ამასთანავე, ერთმანეთს გაუზიარონ ის იდეები, რომლებიც პრობლემის მოგვარებას დაეხმარება და თუ მოისურვებენ, დადონ ხელშეკრულება, რომელიც დაწვრილებით აღწერს მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

მედიატორი არ არის მოსამართლე, რომელიც გამოავლენს დამნაშავეს და შემდეგ უფლებამოსილია, რომ გამოიტანოს განაჩენი. მედიატორმა მხარეები უნდა გაამხნევოს მოლაპარაკების პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად და მათ გადასცეს პროცესის განვითარებისათვის ხელშემწყობი ძალაუფლება. მან უნდა აგრძნობინოს მხარეებს, რომ

სწორედ ისინი არიან მთავარი მონაწილეები პრობლემის მოგვარებაში და მედიატორი კი დამხმარეა, რომელიც ხელს უწყობს ორივე მხარეს იმაში, რომ საუკეთესო გამოსავალი მოძებნონ. ეს გამოსავალი კი, საბოლოო ჯამში, ორივე მხარისათვის მისაღები და მომგებიანი უნდა იყოს.

მედიაციაში არ არსებობს წაგება-მოგება ან მართალ-მტყუანი. ეს ის პროცესია, რომელშიც ორივე მხარის საჭიროება და თვალსაზრისია გათვალისწინებული და, საბოლოო ჯამში, ორივე მხარე მოგებული რჩება მოლაპარაკების შედეგად.

მედიაციის პროცესში ხუთი საფეხურია: პროცესის მშენებლობა, საკუთარი ხედვის გაზიარება, სიტუაციის გარკვევა, იდეების განვითარება და გადაწყვეტილების მიღება. ეს საფეხურები იმის მიხედვითაც შეიძლება განიხილებოდეს, თუ კონკრეტულად რა არის მხარეების საჭიროება და თავად სიტუაცია როგორ განვითარებას მოითხოვს. ზოგადად კი ეს ყველაფერი ასე გამოიყურება.



განვიხილოთ თითოეული საფეხური ცალ-ცალკე.

1. პროცესის მშენებლობა: მედიატორი ორივე მხარეს უხსნის თავის (მედიატორის) როლს მოლაპარაკების პროცესში და დაწვრილებით აცნობს პროცესის მიმდინარეობის წესებს. ამის შემდეგ იგი უხსნის ორივე მხარეს პროცესის მსვლელობის წესებს და იღებს უკუკავშირს (მხარეების აზრს) იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გაიგეს და გაიზიარეს მხარეებმა მის მიერ შეთავაზებული წესები. მედიატორი ჯგუფის მუშაობის ნორმებს ადგენს და იწყებს დღის წესრიგის შემუშავებას ორივე მხარესთან ერთად.

2. საკუთარი ხედვის გაზიარება: ამ დროს მხარეები ჰყვებიან მომხდარი კონფლიქტის შესახებ, ანუ გადმოსცემენ თავიანთ ხედვას მომხდარ კონფლიქტზე - ხდება ინფორმაციის

გადმოცემა და მხარეების დაცლა ემოციებისა და ფაქტებისაგან, რაც მათ მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაუგროვდათ.

მედიატორი ორივე მხარეს ეხმარება, რათა მათ აღიარონ ერთიმეორის სინამდვილე, სუბიექტური რეალობა, ხედვა მომხდარი კონფლიქტისა. ამის შემდეგ, მედიატორის მხრიდან, ხდება ახალ ინფორმაციაზე ყურადღების გამახვილება. ხშირად, თითოეული მხარის მონაყოლში ახალი ინფორმაცია იკვეთება მომხდარი კონფლიქტის შესახებ, რაც ერთმანეთის მოსმენის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს. ამის შემდეგ იწყება დისკუსია, რომლის დროსაც ყურადღება მახვილდება ახალ ინფორმაციასა და მხარეების მიერ მოყოლილ ფაქტებზე, ანუ მხარეების სუბიექტურ რეალობებზე, მათ მიერ აღწერილ კონფლიქტზე.

3. სიტუაციის გამორკვევა: ამ დროს მედიატორი ცდილობს მიღებულ ინფორმაციასა და საკითხებზე მუშაობას, საკითხების გამორკვევას, საერთო ინტერესების გამონახვას და მათ მნიშვნელობაზე ხაზგასმით საუბარს.

4. იდეების განვითარება: ამ დროს მედიატორი აფიქსირებს მხარეების მიერ გამოთქმულ აზრებს, მათ მიერ მიგნებულ გამოსავალს კონკრეტული სიტუაციიდან. იგი ხელს უწყობს მათი იდეების განვითარებას. იწყება გამოსავლის ძიება შექმნილი მდგომარეობიდან, რაზედაც ორივე მხარე მედიატორის დახმარებით მუშაობს.

5. ბოლო საფეხური გადაწყვეტილების მიღებაა, როდესაც ორივე მხარე იწყებს ფიქრს კონფლიქტის შედეგად შექმნილი პრობლემის გადაჭრაზე. მედიატორი აფიქსირებს პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ვარიანტებს, რომლებიც მხარეების მიერ მოფიქრებული და დასახელებულია. მედიატორი მხარეებთან ერთად ეძებს ოპტიმალურ ვარიანტს ჩამოთვლილთაგან და მათთან ერთად ადგენს დაწვრილებით შეთანხმება - ხელშეკრულებას.

მედიატორის მუშაობა მოლაპარაკებისას შემდეგ ასპექტებზე უნდა იქნეს დამყარებული.

1. მედიატორმა უნდა შექმნას გარემო, რომელშიც მხარეები იგრძნობენ, რომ ისინი თავად არიან გადაწყვეტილების მიმღები, რომ ძალაუფლება მათ ხელშია და თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ რა გზებით შეიძლება მოგვარდეს მათი პრობლემა;
2. მედიატორი ეხმარება მხარეებს იმ ბარიერების დანგრევაში, რომლებიც მათ ხელს უშლის თავიანთ პრობლემაზე კონცენტრირებაში. ამის შემდეგ მხარეები უფრო ნათლად დაინახავენ და გაანალიზებენ საკუთარ პრობლემას და იფიქრებენ მის მოგვარებაზე.
3. მედიატორი ეხმარება მხარეებს, რომ მათ კარგად გაიგონ ერთმანეთის საჭიროებები, ინტერესები და პერსპექტივები. ეს კი მათ მისცემს საშუალებას, რომ ისაუბრონ პრობლემის საკუთარ ხედვაზე და ასევე მეორე მხარის ხედვასაც კარგად ჩაწვდნენ.

თუ მივაღვინებთ თვალყურს მედიაციის ტექნიკით შემდგარ მოლაპარაკების პროცესს და ჩვეულებრივ მოლაპარაკებას, რომელიც ასე ხშირია ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ აღმოვაჩინებთ, რომ ის სტრატეგია, რაც მოლაპარაკებისა და პრობლემის გადაჭრისათვის სასარგებლოა, სრულად არის გამოყენებული მედიაციაში; ხოლო ის სტრატეგიები, რომლებიც მოლაპარაკების განვითარებისათვის დამლუპველია და პრობლემას არ ჭრის, ხელს უშლის შედეგის მიღებას და მეტ-ნაკლებად იმ მოლაპარაკებებში გამოიყენება, რომლებიც მედიაციის ტექნიკის გარეშე მიმდინარეობს.

---

განვიხილოთ სქემა, რომელშიც მოლაპარაკების ორი პერსპექტივაა წარმოჩენილი:

1. პრობლემის გადაჭრისათვის სასარგებლო სტრატეგია, რომელიც მედიაციაში გამოიყენება;
2. პრობლემის გადაჭრისათვის წარუმატებელი სტრატეგია, რომელიც ხშირად დამახასიათებელია ჩვეულებრივი მოლაპარაკებებისთვის.

1. პრობლემის გადაჭრისათვის სასარგებლო სტრატეგია:	2. პრობლემის გადაჭრისათვის წარუმატებელი სტრატეგია:
კომუნიკაცია: 1. გახსნილობა, გულწრფელობა; 2. პირდაპირობა; 3. დამაჯერებლობა.	კომუნიკაცია: 1. ჩაკეტილობა, გულჩათხრობილობა; 2. არაპირდაპირობა; 3. იძულება.
განწყობები: 1. ნდობა; 2. მომავალზე ორიენტირება; 3. ასერტიულობა (პოზიტიური სიმტკიცე).	განწყობები: 1. უნდობლობა და ეჭვი; 2. წარსულზე ორიენტირება; 3. აგრესიულობა, თავდაცვა.
პროცესი: 1. პრობლემის "შეტევა"; 2. ინტერესებზე ფოკუსირება; 3. საერთო ვერსიების გამომუშავება.	პროცესი: 1. ერთმანეთის შეტევა; 2. პოზიციებზე ფოკუსირება; 3. მხოლოდ საკუთარი პოზიციების გამხატველი ვერსიების გამომუშავება.
შედეგი: 1. მოგება-მოგება; 2. საჭიროებების დაკმაყოფილება; 3. ურთიერთობა.	შედეგი: 1. წაგება-მოგება; 2. კომპრომისი პოზიციებს შორის; 3. გაუცხოება.

ამ სქემიდან ჩანს, რომ მედიაციაში გამოყენებული სტრატეგიები წარმატებული მოლაპარაკების მეტ ალბათობას იძლევა, ვიდრე ის სტრატეგიები, რომლებიც ნაკლებად ორიენტირებულია შედეგზე.

მედიატორის დახმარებით წარმართული პროცესი საშუალებას იძლევა:

- ა) მხარეებმა მხოლოდ საკუთარი პოზიციების დაფიქსირებით არ წარმართონ მოლაპარაკება;
- ბ) მხარეებმა საერთო პრობლემის გადაწყვეტაზე ერთმანეთის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით იმუშაონ;
- გ) მხარეები თავად მივიდნენ შეთანხმებამდე.

ამ პროცესის შედეგი მოგება-მოგებაა, ე.ი. ორივე მხარე მოგებული რჩება. მედიაციის გზით წარმართული მოლაპარაკების პროცესისას გათვალისწინებულია თითოეული მხარის საჭიროება, ინტერესი. თავად პრობლემა ორივე მხარის მიერ ერთობლივად გადაწყვეტილი და არა მესამე მხარის მიერ, რომელმაც შეიძლება ვერ გაითვალისწინოს მხარეთათვის მნიშვნელოვანი დეტალები, რაც კონფლიქტის ესკალაციის მიზეზი შეიძლება გახდეს მომავალში. მხარეებს საშუალება ეძლევათ, თითოეული დეტალიც კი შეთანხმონ ერთმანეთთან და მედიატორის საშუალებით საბოლოო ხელშეკრულებაზე იმუშაონ.

ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მედიაციის პროცესისას უნდა იქნას შენარჩუნებული, შემდეგში მდგომარეობს: მედიატორი აბსოლუტურად ნეიტრალური უნდა იყოს მხარეების მიმართ. მან არასოდეს უნდა მისცეს თავს უფლება, რომ გაამართლოს ან გაამტყუნოს ერთი ან მეორე მხარე, გაასამართლოს ისინი. მედიატორს არა აქვს უფლება, მხარეებს რჩევა მისცეს და ამით საკუთარი აზრი დააფიქსიროს, თუნდაც თვლიდეს, რომ იცის გამოსავალი კონკრეტული სიტუაციიდან. მედიატორის ძირითადი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს ორ დაპირისპირებულ მხარეს მოლაპარაკებაში და თავად მათ მოამბინოს გამოსავალი კონკრეტული სიტუაციიდან, ამუშაოს პრობლემის გადაჭრასა და შემდეგ ხელშეკრულების დადებაზე. ამასთანავე, მედიატორმა განსაკუთრებული გარემო უნდა შექმნას ნდობის მისაღწევად. ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა კონფიდენციალურობა - მედიატორმა არ უნდა გაახმაუროს მხარეებს შორის მომხდარი კონფლიქტი და საერთოდ, მედიაციის პროცესის მსვლელობის ამბავი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მედიაცია დღეს-დღეობით ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა. მედიაციის გარდა, პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა მეთოდები არსებობს - ფასილიტაცია, კონსულტაცია, არბიტრაცია. მედიაციის შესწავლა და დანერგვა საშუალებას იძლევა, რომ ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი კონფლიქტები წარმატებული მოლაპარაკებებით მოვაგვაროთ. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მედიაცია პოლიციის, სასამართლოს, არაოფიციალური მრჩეველების-მომრიგებლების ალტერნატივაა. ეს ალტერნატივა კი მართლაც ბრწყინვალე საშუალებაა, რომ კონფლიქტი გასამართლების, გამტყუნება-გამართლებისა და რჩევების მიცემის გარეშე მოვაგვაროთ მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის მოგვარების ნეიტრალური ტექნიკა - მედიაცია, მშვიდობის მშენებლობის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

## **შემოქმედება, თანაგრძნობა, არაძალადობა**

### **მხატვრული რუბრიკის წინასიტყვაობა**

რედაქცია მოხარულია რომ შემოგ-თავაზოთ ხელოვნების ნაწარმოებები. კონფლიქტების მოგვარებაში მეტად მნიშვნელოვანია შემოქმედებითი აზროვნება და ამიტომაც ხელოვნების როლი ძალიან დიდია გამოუვალ კონფლიქტებიდან ახალი გზების პოვნაში. ჩვენ აუცილებლად უნდა შევუწყოთ ხელი არაორდინარულ აზროვნებას, ისეთ აზროვნებას, რომელიც ახალ პარადიგმებს შემოგვთავაზებს და ცხოვრების ახალ გზებს დაგვანახებს. რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი ვერ გაუძლებს ისტორიის გამოცდას, მაგრამ დარწმუნებული ვართ რომ ზოგიერთი მათგანი ძალიან ბევრს შესძენს არა მხოლოდ ქართულ სინამდვილე, არამედ მსოფლიო კულტურასაც.

პირველ ნომერში გთავაზობთ ორ საკმაოდ საინტერესო ნაწარმოებს. ერთ-ერთი მათგანი არის ნინო ციხისთავის მეტად ორიგინალური ნარატივი ქალისა და მის ირგვლივ არსებული მოლოდინების შესახებ. დისკურსი რომელსაც ავტორი გთავაზობს მეტად უჩვეულოა ჩვენი მკითხველისათვის, თემაც საკმაოდ მარგინალური, მაგრამ თავისთავად მეტად საინტერესოა ხედვა. შესაძლებელია თუ არა რომ ჩვენ ასეთი თვალთ დავინახოთ დღევანდელი რეალობა? შესაძლებელია თუ არა რომ გადავაბიჯოთ იმ დოგმატურ ჩარჩოებს, რომელშიაც დღევანდელი საზოგადოებრივი ნორმები გვაქცევს და ქალისა და კაცის ურთიერ-თობებს სხვა თვალთ შევხედოთ?



მეორე ნაწარმოები, რომელსაც გთავაზობთ, არის უკვე კარგად ცნობილი ახალგაზრდა მწერლის, ლაშა ბულაძის მოთხრობა თამარ მეფის ქმრის, ჩვენში ავადხსენებული გიორგი რუსის შესახებ. აქაც ავტორი მეტად არაორდინალურ ფორმასა და ხერხს გთავაზობს. მოთხრობა იკითხება ბოლოდან. იგი ასე ვთქვათ ამოტრიალებულია. მკითხველმა ბოლოდან უნდა წაიკითხოს ეს ნაწერი. იმედია ეს ლიტერატურული ნოვაციები საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის. ახალ საუკუნესთან ერთად შემოდის კომუნიკაციის ახალი ფორმები. დეკონსტრუქციას მოჰყვება რეკონსტრუქცია. ეს არის რეკონსტრუქციის გარკვეული მცდელობა ქართულ რეალობაში.

ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია რომ კრიტიკული თვალთ შევხედოთ აქამდე არსებულ დოგმებს ცხოვრების, სექსუალობის, ძალადობის გარდუვალობის, რესურსების უკმარისობის თუ სხვა საკითხების შესახებ. ჩვენ ხომ ვლავარაკობთ აზროვნებაში ახალი პარადიგმის შემოტანა-ზე, რომელიც ალტერნატივა იქნება სტრუქტურული ძალადობისა თუ უთანასწორობისა. აი, ამ ახალი პარადიგმის მოძებნისათვის აუცილებელია შემოქმედებითი აზროვნება. გასაგებია რომ ყველასათვის მოსაწონი შემოქმედებითი ნაშრომი ჯერ არ შექმნილა, მაგრამ რისკი ყოველთვის საჭიროა პროგრესის მისაღწევად.

შეიძლება თუ არა შეიცვალოს დღევანდელ და გუშინდელ დღეს გავრცელებული მეტა-ნარატივები (ანუ გაბატონებული თხრობის სტილი)? ვფიქრობთ რომ ეს ნამდვილად შესაძლებელია, თუმცა ადვილი არ არის. ადვილი არ არის ის, რომ ამ მეტა-ნარატივების შეცვლას არ მოჰყვება კიდევ უფრო მეტი ძალადობა, ვიდრე ჩვენ გვაქვს დღეს. ამისათვის სწორედ საფუძვ-ლიანი შრომაა საჭირო. და ამავე დროს საზოგადოების მზაობა, იმისათვის რომ მიიღოს ახლებური ხედვა და კულტურას ახალი სისხლი შემატოს.

## “ქალის სუბიექტივიზმი მოლოდინების დისკურსში”

ნინო ციხისთავი

14 ოქტომბერი 1999 წელი

წინასიტყვის მაგიერ:

მოდი, ვიმეგობროთ:

ასე ვიწყებ კომუნიკაციას, ჩემი მოლოდინი განსაზღვრულია და იმპულსური. ასე მივმართე გოგონას ბავშვობაში. მაშინ მოლოდინიც შესაბამისი მქონდა: დამეწყო მეგობრობა თქმისთანავე, თუმცა არაფერი გამოვიდა, ის მე არ მელოდებოდა საერთოდ.

მოდი, ვიმეგობროთ:

უკვე მოგვიანებით ასე მივმართე ახალ-გაზრდა კაცს და მან სექსი შემომთავაზა.

“ღრმა მიზეზი ქალის დამარცხებულობის განწყობისა მდგომარეობს იმაში, რომ გოგონა-მოზარდი არ გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარ მომავალზე და არც თვლის საჭიროდ, საკუთარ თავს წაუყენოს დიდი მოთხოვნები. სრულიადაც არა იმიტომ, რომ იგი გადაეცემა მამაკაცს ხორციითა და სულით და თავის თავს უფრო მდაბლად აღიქვამს. პირიქით, აზრი



მამაკაცის უმაღლესობაზე მას უჩნდება და უმკვიდრდება იმიტომ, რომ ის განწირულია მის მომსახურებაზე. თუ გოგონებს უნდათ მეგობრობის ან ფლირტის დაწყება ვაჟთან, მათ ინიციატივა ისე უნდა გამოიჩინონ, რომ ეს ვერავენ შეამჩნიოს”. სიმონა დე ბოუვარი, “მეორე სქესი” 1949 წ. გვ. 373; Simone de Beauvoir, “Le Deuxieme Sexe”, p.373, Gallimard, 1949.

გავიდა დრო და ის ყველაფერი, ჩემი გამოცდილება დამავიწყდა. დამავიწყდა, რომ ორჯერ მივიღე უარი ჩემთვის მნიშვნელოვან მომენტში. ან, შეიძლება იმიტომაც ვახდენ მნიშვნელოვანნი ზემოაღნიშნული შემთხვევები, რომ უარი მივიღე. დამავიწყდა, როგორ გადავწყვიტე, აღარავისთვის შემეთავაზებინა მსგავსი სისულელე: “მოდი, ვიმეგობროთ”. რას ნიშნავს ეს? რა არის აქ წარმმართველი: პროცესი თუ ყაბულის მოლოდინი, იქნებ რეზულტატი? თუ მეორე მხარე დათანხმდება, იქნება კი ეს თუნდაც რაიმე, მცირე გარანტია, მეგობრობისთვის საკმარისი? ან, მერე კი, ოდესმე, ვიტყვოდი, რომ არ ჰქონდა რაიმე კონკრეტული უსამართლობის ჩადენის უფლება, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დავთქვით, გვემეგობრა. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, რა იყო ჩემი მოლოდინი ორივე შემთხვევაში? რას ველოდი? რა იყო ზოგადად მოლოდინი? ეს იყო მხარში ამოღვომის მცდელობა ან ყურადღების მიბყრობა, სიახლე?

ქალის მოლოდინი კომპრომისულია, თუმცა ამით სრულიადაც არ მცირდება მისი ინტენსიობა და ღირებულება.

დიდი ხნის შემდეგ მე, 33 წლის ქალი ვეუბნები საკუთარ შვილს: “მოდი, ვიმეგობროთ”. გამახსენდა ეს ფრაზა, მისი სიყალბე. მისი, ფრაზის, არასიცოცხლისუნარიანობა. და ამასთან, ჩემი მოლოდინების კორელაცია შედეგებთან. გამახსენდა, რომ ეს არის ზემოქმედება, ან მცდელობა ზემოქმედებისა, ადამიანის მოლოდინებზე შენდამი. ჩემი შვილი სამი წლისაა და მე მინდა, რომ ყველაფერი მიაბოს, ყველაფერი ვიცოდე და ამ “ყველაფერში” ჩემი მშობლების იდეოლოგიის ფრაგმენტალურ კოპირებას ვახდენ, მაგრამ ამის შენიღბვა “მეგობრობით” მინდა.

\* \* \*

ერთი ასეთი ანეგდოტი:

რა განსხვავებაა დიპლომატსა და ქალს შორის:

Ãñëë ìóæ÷èìà ãîâîðèò “àà”, òí ÿòí ìçìà÷ààò “àà”. Ãñëë ìóæ÷èìà ãîâîðèò “íàò”, òí ÿòí ìçìà÷ààò “íàò”. Ãñëë ìóæ÷èìà ãîâîðèò “îîæàò áùòü”, òí ïí ìà ìóæ÷èìà.

Ãñëë àèìèíàò ãîâîðèò “àà”, ÿòí ìçìà÷ààò “îîæàò áùòü”. Ãñëë àèìèíàò ãîâîðèò “îîæàò áùòü”, ÿòí ìçìà÷ààò “íàò”. Ãñëë àèìèíàò ãîâîðèò “íàò”, òí ïí ìà àèìèíàò.

Ãñëë àããòøèà ãîâîðèò “íàò”, ÿòí ìçìà÷ààò “îîæàò áùòü”. Ãñëë àããòøèà ãîâîðèò “îîæàò áùòü”, ÿòí ìçìà÷ààò “àà”. Ãñëë àããòøèà ãîâîðèò “àà”, òí ïí ìà ãããòøèà.

აქ წარმოდგენილია ნათელი, მყარი სურათი სრულყოფილი ადამიანისა (კაცი), პროფესიონალის (დიპლომატი) და სავაჭრო საქონლის (ბ.ა. ბინაძე) – ქალი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ხარისხის ნიშანი – ქალწულობა.

ქალის მოლოდინი არის წინასწარი, გლობალური შიში ყველაფრისა, რომ მერე შემცირდეს შიშის ხარისხი, რისკის ფაქტორი დანარჩენთათვის.

ქალის მოლოდინი არის შიშის გამოცდილება. ელოდება ყველას, ყველაფერს და არა საკუთარ თავს. ამიტომ ზრუნვის ობიექტი შეიძლება იყოს ყველა და ყველაფერი, მხოლოდ არა საკუთარი თავი, სხეული, სული.

ქალის მოლოდინის ფენოტიპი სექსუალობაა (მარკირებული ან ფარული, იმის მიხედვით, თუ როგორ საზოგადოებაში უხდება ცხოვრება).

ქალის სექსუალობა არის მუდმივი მზაობა, როგორც ობიექტისა და მისი მოლოდინი კი -

შეგუება მისთვის, ობიექტისთვის რომელიმე ფუნქციის მინიჭებაზე, რაიმე პასუხის მიღებაზე: ჰო, არა.

ქალის ზომბირება მოლოდინებით

ერთი ასეთი “ანეგდოტი”: (თუ, საერთოდ, მოლოდინი ანეგდოტზე - სიცილია (!)).

ქალის საშო ჰყვება:

რა უცნაური ცხოვრება მაქვს, ან სისხლი გამდის, ან ვიღაც უცხო შემოდის, შემომაფურთხებს და მიდის.

გინეკოლოგიის კლასიკურ (საბჭოთა პერიოდის) სახელმძღვანელოში მენსტრუაცია ხატონდა ალწერილი/ახსნილი და გულისხმობს: (თურმე) საშვილოსნო “სისხლის ცრემლებით ტირის”, რომ არ განაყოფიერდა, უფრო სწორად, არ განაყოფიერეს.

პირველი მაგალითი, ასახავს რა ქალის ცხოვრების პროზას, მისი (ქალის) ზოგადი მოლოდინი შეიძლება აღიწეროს, როგორც ძალადობის მოლოდინი: დეფლორაცია, მუდმივი მოლოდინი ვერტიკალური ძალადობისა. რატომ ვერტიკალური ძალადობა? პატრიარქალური საზოგადოების მოდელი წარმოდგენილია მამაკაცის პატრონაჟით. აქ ქალის ადგილი მთლიანად დაქვემდებარებულია პატრიარქალური საზოგადოების და ან მისი ერთი უჯრედის სტრუქტურაზე.

მეორე მაგალითში, “სისხლის ცრემლებით”, არის ობიექტის (საშვილოსნოს, ქალის) სქესის იდენტიფიცირება მის ფუნქციასთან და, კონკრეტულად, ქალის სქესთან (საკუთარ სქესთან), როდესაც “ტყუილად” მოსული მენსტრუაცია ხშირად არის მიზეზი და საბაბი იმისთვის, რომ ქალმა კიდევ ერთხელ დააფიქსიროს თავისი დანაშაული ოჯახის, ერის, ქვეყნის წინაშე, რომ არ განაყოფიერდა და, შესაბამისად, არ არის “iëiäiâèòà èàè ñâèiü”. ეს გარემოება გამძაფრებულია და ხაზგასმული რიგი გარემოებებით.

(რეკლამა ჰიგიენურ პაკეტებზე, მათზე დადებულია ტექსტი ქალების გამონათქვამებით: ახლა ვიგრძენი სისუფთავე, თავისუფლება, კარგი სუნი, და შემძლია ჩავიცვა თეთრი... (აქ სხვა არაფერია ჩადებული, თუ არა ის, რომ მენსტრუაცია ქალში ანუ ქალი მენსტრუაციაში, არის ბინძური, სუნიანი, არათავისუფალი, შავით შემოსილი, ფრიად ჭუჭყიანი რაიმე)).

ქალი, როგორც მოლოდინის სუბიექტი და ობიექტი, მატარებელია მუდმივი მზაობისა - დანაშაულის მონანიების (ერიხ ფრომის მიხედვით, დაუმორჩილებლობით ჩადენილი ცოდვა გადასული დანაშაულის გრძნობაში, გადასული დამორჩილებაში (დასჯა), შემდეგ კი - პატიებაში), და შეფურთხების გარდაუვალობისთვის; ე.ი., სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან, ქალმა სისხლის ცრემლებით მონანიოს გაუნაყოფიერებლობის დანაშაული, საკუთარ სხეულში მუდმივად შეუშვას პენისი, რათა განაყოფიერდეს, ან მუდმივად ელოდოს მას (განაყოფიერებას, პენისს).

საქმე გვაქვს მოლოდინებით ქალის ზომბირებასთან.

მოლოდინები: - საერთაშორისო ჰიბრიდი თუ ვიწრო ნაციონალური სტერეოტიპი?

“ჩემს განცდაში ყოველთვის იყო დაძაბულობა, რომ მთელი გროვა ნაკისრი ვალდებულებებისა შემესრულებინა. და დაძაბულობის განცდაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ვალდებულებანი ჩემს დაუკითხავად ამკიდეს და მატვირთებინეს. ეს არის სწორედ ის მოლოდინები, უსასრულო მოლოდინები, რომელნიც ახდენენ ძალადობას პიროვნებაზე და ამის

შედეგად ჩემი თავისუფლების ხარისხი ადვილი განსასაზღვრია”. (“მოლოდინები და შეფასებები” 1999 წლი, გაზაფხული, ნ. ციხისთავი)

მოლოდინები როგორც ზოგადის ცნება

მოლოდინის ცნების განსაზღვრა, შინაარსი

განვსაზღვროთ მოლოდინების ცნების შინაარსი და მისი მოცულობა. იმთავითვე, ყველა ცნება კონკრეტული განსაზღვრების ფორმულირებაა, ხოლო მოლოდინების “ხმარების”, გამოყენების შემთხვევაში იმდენად ბევრი იგივეობაა სხვა სიტყვებთან, რომ ისინი ხშირად სინონიმებათაც არის აღქმული. მაგ: მოლოდინი – იმედი, მოლოდინი – არსებობა; მეგონა და სხვა.

არის მოლოდინების ზოგადი გაგება: ზოგადი მოლოდინები.

მოლოდინები უფრო შემოქმედებაა თუ იდეა? თუმცა, ალბათ, უფრო მართებულია, განვიხილოთ, როგორც ორივე ერთად და არა ცალცალკე. თუ მოლოდინები ზოგადად?

/ლიტერატურა/ ვაჟა ფშაველა: მთანი მაღალნი “სდგანან, ელიან, უსაზღვროა მთების მოლოდინი. ან რა დააშრობს იმათ გულში მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას.. სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ, მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან. ელიან ვის? ან რას? რაღაცას, ღიახ, რაღაცას. ის რაღაცა უნახავის დანახვაა.” ვაჟა ფშაველა, თხზ., ტ. V. გვ., 317-318.

### რა არის მოლოდინი

მოლოდინი არის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური კონსტრუქტი, სტრუქტურულ, ზღვრულ პერიოდთა ერთობლიობის კონსტანტური პროცესი. მოლოდინების ანალიზმა ცხადყო მათი გენდერული არანეიტრალობა. მოლოდინები არ არის გენდერულად ნეიტრალური და შესაბამისად, განსხვავებულია ორივე სქესის მოლოდინები ე.ი. საზოგადოებრივ, კულტურულ, ეთნიურ, რელიგიურ დისკურსებში მოლოდინები განიხილება ქალის და კაცის სუბიექტივიზმის განმსაზღვრელ და შემადგენელ ერთეულად, სადაც ორივე სქესი არის როგორც მოლოდინის სუბიექტი, ისე ობიექტი და ერთმანეთისგან განსხვავებულია.

მოლოდინის ვექტორი მიმართულია მომავლისკენ და შედეგობრივ კატეგორიაში ის შეიძლება იყოს ბივალენტური (დადებითი რეზულტატით ან უარყოფითით). თუმცა, ზოგადად მოლოდინის შინაარსი დადებითი ვალენტობისაა და უარყოფითს იმთავითვე მოულოდნელობას ვეძახით (ესეც ყოველთვის ცალსახად არ ვლინდება ლექსიკაში, ეს ძირითადი ტენდენციაა). მოლოდინის წმინდა კატეგორია, ზოგადი მოლოდინი, როგორც პერიოდთა პროცესი თავისთავადია და გენდერული. რას ვგულისხმობ მოლოდინის გენდერულობაში: თავისთავად მოლოდინი განსხვავებული აქვს როგორც სუბიექტს, ორივე ბიოლოგიური სქესის ადამიანს და, ამავე დროს, როგორც მოლოდინის ობიექტი, ადამიანები ხვდებიან, განიხილებიან და მიიღებიან ზოგადი მოლოდინის სტერეოტიპის შემოქმედების ქვეშ.

“ჟაკ ლაკანის ცნობილი ანეგდოტი სარდინებიან კონსერვის ქილაზე, რომელიც წყალში მოცურავს. ის უყურებს მას, ქილას, მაგრამ ქილაც უყურებს მის ნავს. თავისთავად არაპრეზენტაბელური, სარდინებიანი ქილა ხდება “დანახული” ხედვის (Àçāëÿä) გამო, რომელიც მომდინარეობს მისგან, ქილასგან. ეს ხედვა “ეკრანის” ხაზზე ნაწილობრივ ხდება ლაკანისეული ხედვა: აქ ხორციელდება მისი რეპრეზენტაციული მოლოდინები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ამ ხაზზე ლაკანი ხედავს ობიექტს და ახდენს მის იდენტიფიკაციას, როგორც ქილისას, ამგვარად ხდება რეპრეზენტაციის სუბიექტი. რას ვხედავთ ჩვენ, როცა ვუცქერთ კაცის ტანს? ჩვენ ვხედავთ არა თვითონ ტანს, მთელი მისი

ანატომიური ატრიბუტებით, არამედ სარკესავით არეკლილ ხედვას, რომელიც ჩვენი ხედვაც არის. ჩვენ “ვუცქერით” ხედვას, რომელიც წინასწარ არსებობს ჩვენი წარმოდგენების, შიშებისა და სურვილების დონეზე. ჩვენ “ვხედავთ” რაღაცას, რომელშიც, გამომდინარე ჩვენი საკუთარი მოლოდინებისგან, ჩვენ ვაფიქსირებთ, როგორც კაცის ტანს. ჩვენ მტკიცედ ვიცით, რა იქნება რეპრეზენტირებული ცქერის პროცესში კიდევაც უფრო ადრე, ვიდრე მიემართავთ, მივაბყრობთ საკუთარ ხედვას ობიექტზე. ჩვენ ვხედავთ იმას, რისი მოლოდინიც გვქონდა. ჩვენი ხედვა ტანის მარკერად გვევლინება.

რა თქმა უნდა, სწორედ ამიტომ არის გამოწვეული ის ძლიერი შიში საშინელებათა ფილმების მაყურებლებში. ამ შემთხვევაშიც, შიში გამოწვეულია რეპრეზენტაციული მოლოდინების გაყალბებასთან, გაუქმებასთან, (მოტყუებასთან), როცა მაყურებელი თავს აბრუნებს, რომ შეხედოს სხვა პერსონაჟს, ის ხედავს რაღაც სრულიად უცხო, სხვას, ვიდრე ადამიანს. მონსტრი არაადამიანური სხეულის ნაწილებით - ყოველთვის იწვევს ადამიანში პანიკურ შიშს ასეთი ცვლილება, ჩანაცვლება. ტრანსვესტიციებისადმი და ტრანსსექსუალებისადმი მიუღებლობა და ზიზღი, დამახასიათებელია პატრიარქალური ორიენტაციის ჰომოსოციალური აზროვნებისათვის და წარმოადგენს მძაფრი რეაქციის მაგალითს მოლოდინების გაცრეებაზე”. Αϊάθᾶέ Νείᾶῦἰῆῆἰᾶ, “Ιόæñῆἰᾶ ὀᾶῖἰ: ᾶçᾶῆῦᾶ è æᾶῆᾶἰῆᾶ. Çᾶἰᾶῆῆ è èñἰᾶῆῆ ἰῆῆῆῆᾶñῆῆῆ ὀᾶῖἰῆἰᾶῆῆ ὀᾶῆᾶ ᾶ Ḑἰñῆῆῆ”, ñῆῆ. 209. Ἀἰᾶῆῆἰᾶ èñῆῆᾶἰᾶῆῆῆῆῆῆῆ ὀᾶἰῆῆ ᾶἰᾶῆῆἰᾶῆῆ èñῆῆᾶἰᾶῆῆῆῆῆῆῆ.

### მოლოდინის ფუნქცია

მოლოდინის ფუნქცია განისაზღვრება, როგორც ზოგადი, წმინდა მოლოდინის ფუნქცია და როგორც მატერიალიზებული (შედეგობრივი კატეგორია) მოლოდინის ფუნქცია. მოლოდინების ფუნქცია სხვადასხვაა, როგორც განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის, ისე კონკრეტული სქესის ორივე როლისთვის (ქალი, კაცი), როგორც მოლოდინის სუბიექტისა და ობიექტისთვის.

### პერიოდულობა

“გადამწყვეტი ნაბიჯი სქესის პრობლემათა თანამედროვე ფორმირებისთვის გადადგა ჟაკ ლაკანმა მისი თეორიით: “სურვილები და ფალოსი”. ლაკანმა მიაქცია ყურადღება პირველად (ფროიდისეულ) დედისეულ სამკუთხედს, რომელშიც შვილისა და დედის გარდა აქტიურად მონაწილეობს დამატებითი ფაქტორი: დედის სურვილი, რომელსაც ბავშვი მთელი ძალებით ცდილობს, შეესაბამოს. ლაკანისეული გაგებით, თამაშები მიმდინარეობს წარმოსახვითი ობიექტის, დედისეული ფალოსის ირგვლივ. ოიდიპოსის კომპლექსის წარმატებით გადასაჭრელად დედისეული ფალოსი უნდა იქნას ჩანაცვლებული მამის სახელით. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ფალოსი აღარ არის იმთავითვე ის წარმოსახვითი ობიექტი, იგი ხდება წმინდა სიმბოლოდ სურვილისა და დაკმაყოფილებისა, რომელიც იყო დაკარგული ოიდიპოსის კომპლექსის “წარმატებული” წარმოქმნის შედეგად”. ἰῆῆῆῆῆ Ḑἰῆῆῆῆ “ἰἰῆ Ḑᾶñῆῆῆῆ” Ἀἰᾶῆῆἰᾶ èñῆῆᾶἰᾶῆῆῆῆῆῆῆ: ὀᾶἰῆῆῆñῆῆῆῆῆῆῆῆ ἰᾶῖᾶἰῆἰᾶῆῆῆ ᾶ ñἰῆῆῆῆῆῆῆῆ ἰᾶῆῆῆῆ. ὀᾶῆῆ 1998 ᾶ. ñῆῆ 218.

ქალის ფენქციონობა არის მოლოდინების მატერიალიზებული პერიოდი, რომელიც განსაზღვრულია ცხრათვიანი ვადით. ეს არის მოლოდინი ზოგადი და ამავე დროს მოლოდინი ზღვრული. ეს მდგომარეობა არ შეიძლება, განიხილებოდეს ლაკანისეულ სამკუთხედში, როგორც “დედა, ბავშვი და სურვილები”, არამედ, როგორც დედა, ბავშვი და მოლოდინი. და მით უფრო ვერ განვიხილავ მას, როგორც დედის განწყობას, სურვილს, დაიმორჩილოს და წარმართოს ბავშვი საკუთარი “სურვილების” მიმართულებით. ლაკანისეულ თეორიაში დედა გამოიყურება, როგორც ცალკე, ბავშვთან მიმართებაში განზე მდგომი სუბიექტი თავისი

“სურვილებით”, მათზე დაქვემდებარებული ბავშვით. დედა იმ შემთხვევაში გამოიყურება, როგორც პირველადი უზურპატორი ბავშვისა, ან მხოლოდ ფაქტიური მატარებელი ნაყოფისა, როდესაც მას, დედას, აქვს თავისი, ბავშვისაგან დამოუკიდებელი ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, სურვილები და ბავშვი კი, იძულებულია, ამას ყველაფერს “დაემორჩილოს”; ჟაკ ლაკანის ასეთი დამოკიდებულება ფეხმძიმე ქალისადმი არ არის გასაკვირი, რადგან ის ნასაზრდოებია მასკულინური, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ტრადიციით: ქალი განისაზღვროს მამაკაცთან მიმართებაში, მამაკაცთან შედარებით და დიდი სურვილით, სწრაფვით ფალოსისაკენ. ჩემი აზრით, ფეხმძიმობის პერიოდი მთლიანად, უფრო გამძაფრებულად და ინტენსიურად კორელაციაში მოდის დედის ზოგად და ზღვრულ, კონკრეტულ მოლოდინებთან. ლაკანისეული თეორიით, ბავშვი “მთელი ძალებით ცდილობს, დაემორჩილოს დედისეულ “სურვილს”. სინამდვილეში, უფრო ბუნებრივია, ეს “სურვილები” განვიხილოთ დედისეული მოლოდინების ერთ-ერთ სტრუქტურულ ელემენტად. და ბავშვის სწრაფვაც, მოხდეს მათი (ბავშვისა და დედის) მოლოდინების გლობალიზაცია, ინტეგრაცია, ხსნის ბევრ ფიზიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ პროცესთა მსვლელობის ბუნებას.

პერიოდულობა - მოლოდინების ციკლურობა (მენსტრუაცია, ფეხმძიმობა, ქალწულობა) მიუხედავად მოლოდინების ვალენტობისა არის ქალის სუბიექტივიზმის მამოძრავებელი ლოკომოტივი, მით უფრო, რომ მოლოდინები და ქალის სექსუალობა კონსტანტურია და ურთიერთგანმსაზღვრელი.

მოლოდინების სახეები, სტრუქტურა

სიურპრიზი - მოულოდნელობები. შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. ყოველი პოზიტიური თუ ნეგატიური რეაქცია შეიძლება ასოცირებულ იქნას არასაკმარისად განხორციელებულ მოლოდინთან ან ზედმეტადგანხორციელებულ მოლოდინთან with undermet expextations or with overmet expectations.

მოლოდინების სამი სტადიაა: არასაკმარისად განხორციელებული მოლოდინი, განხორციელებული მოლოდინი, ზედმეტად განხორციელებული მოლოდინი; undermet, met, overmet expectations.

J. S. Black & H.B. Gregersen, "Expectation, Satisfaction, and Intention".

Intercultural Relations, Vol. 14, 1990.

არქემოლოდინი ქალის სუბიექტივიზმის სპირალის სტრუქტურული ერთეული.

კაზინალური მოლოდინები ირღვევა კონფლიქტების დროს. შედეგად ქალი უერთდება ახალ დინამიკას მოლოდინისას. ლტოლვილებთან დაკავშირებით კი დასამატებელია მათი მოლოდინები ახალ ტერიტორიაზე + ძველი როლი.

ჯარი, ომი, - ქალის მოლოდინების ინსტიტუციონალური ზომბირების სტრატეგიაა, მიჯაჭვულობა სახლზე, კომუნიკაციაზე, კომფორტზე.

ისტერია არის მოლოდინების ფუნქცია, ჰვავს სწრაფ ამოსუნთქვას. იძლევა საშუალებას, ზედაპირზე ამოაგდოს არამატერიალიზებული მოლოდინებისგან მიღებული უარყოფითი ენერგია.

ფანტაზია არის მოლოდინების სტრატეგია. მოლოდინის მატერიალიზაციისთვის სცენარის დეფორმაციით მიღებული სტრესი შერბილდეს წარმოსახვისთვის აღსაქმელად. ანუ ფანტაზია ემსახურება მოლოდინით მიღებული ფრუსტრაციის წარმოსახვით ფიქსაციას, რომ მოხდეს მოლოდინების ფსევდომატერიალიზაცია. აქაც კარგად სჩანს ქცევითი ან წარმოსახვითი სინშირე და გენდერული არანეიტრალობა. გენდერულ იდენტურობის სტერეოტიპი, მოლოდინის ფუნქციასთან მიმართებაში, იმთავითვე განწირულია შეხედულებათა ათვლის

წერტილზე, მათ მიჯაჭვულობაზე.

რა იგულისხმება:

/ლინგვისტიკა/ ფანტაზიორი ქალი, (არ აღიქმება, როგორც რისკფაქტორი, პირიქით, ხშირ შემთხვევაში მისასაღებელია), ხოლო ფანტაზიორი კაცი - ასოციალური შემთხვევაა, არ არის კაცური.

/ტრადიცია/ ქალი - ფანტაზიორი - დადებითი ატიტუდი; კაცი - ფანტაზიორი - საეჭვო, არასტაბილური პიროვნება.

/სქესის იდენტიფიკაცია/ გაჭირვებისას ქალი აქტიურად ასრულებს ნებისმიერ სამუშაოს, შეუძლია სხვადასხვა სახის შრომა, მოერგოს სიტუაციას და ამავე დროს არ იყოს ფრუსტრირებული. მას აქვს დიდი გამოცდილება ფანტაზიაში და წარმოდგენებში. ამიტომ რელალობასთან მორგება, კომპრომისი, დაქვემდებარება ქალისთვის ჩვეული საქმეა. ამის ერთ-ერთი ყოფითი მაგალითად შეიძლება განვიხილოთ იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა (მხედველობაში მყავს ქალი წარმომადგენლები) უფრი სწრაფი ადაპტაცია მამაკაცებთან შედარებით.

/ლიტერატურა/ სიზმარი და დამოკიდებულება სიზმრისადმი.

/სექსუალობა/ მოლოდინების მუდმივობა გაპირობებულია ქალის სექსუალობით. ქალის სექსუალობა არის ქალის მუდმივი მზაობა. მზაობა ქალისა, როგორც ობიექტის ისე სუბიექტის.

შეგუება არის ძალადობა მოლოდინებზე.

სქესის მეტაფიზიკური პერიოდის გავლენა მოლოდინებზე

მეტაფიზიკური პერიოდი ქალის სუბიექტივიზმის ონტოგენეზში.

ფუნქცია, როგორც მოლოდინის ბივალენტური მატერიალიზაცია.

იდენტიფიკაცია სქესთან.

“საუბარია მამარდაშვილისა და დალიოზის თვალსაზრისთა ფუნდამენტურ განსვლაზე სქესზე სწორედ იმიტომ, რომ საუბარია ორ ტოლფასად მნიშვნელოვან ფილოსოფოსზე, რომელთა შეუთანხმებლობა კი არ არის გამოგონილი, არამედ მათი ფესვები დიდი ხნის ტრადიციებშია. მით უფრო, რომ ორთავესთან სხვადასხვანაირად იმიფრება ერთი და იგივე მეტაფიზიკური ტრადიცია: ჩვენი თანამემამულე მთლიანად არის მისი მიძღები გარედანვე, ხოლო ფრანგი მოაზროვნე რადიკალურად უარყოფს მას შიგნიდანვე”. *Ìèòàèè Ðùèèèì “Ìíè ðàñòàíèé” Ááíááðíùá èññèááíááíèy: Ôáíèíèñòñèày íáòíáíèíèàèy á ñíòèàèèüíúò íáóèàö. ÔÖÅÈ 1998 á. ñòð. 217.*

რა განსაზღვრავს პრიორიტეტულად მოლოდინის სტრუქტურას მეტაფიზიკურ (თრანს ატურამ – ლათინური გამოთქმა, შეესაბამება ბერძნული – მეტაფიზიკა – “ბუნების ზღვარს იქეთ”. თუ ბუნებაში ვგულისხმობთ მატერიას, მეტაფიზიკად განისაზღვრება ყველაფერი ის, რაც არ არის მატერიალური), და სქესთან იდენტურ პერიოდთან მიმართებაში მოლოდინის, როგორც თავისთავადობის სტრუქტურულ ერთეულს ქალის სუბიექტივიზმთან მიმართებაში? მეტაფიზიკური პერიოდი სხვადასხვაგვარადაა განაწილებული ქალისა და კაცის ონტოგენეზში. მეტაფიზიკურ მდგომარეობა გენდერული იდენტიფიკაციის წლებში იწყება დაბადებიდან მენსტრუალური ციკლის დაწყებამდე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სინამდვილეში ეს პერიოდი გაიგივებულია და იდენტურია მდებარებითი სქესის ინდივიდის დეფლორაციასთან. ეს ის პერიოდია, როცა ქალობა და ქალის სქესი სოციალურად მიკუთვნებული როლია.

კაცისთვის კი მეტაფიზიკური მდგომარეობა/პერიოდი იწყება დაბადებიდან, გრძელდება სასქესო ორგანოების მომწიფებამდე. ეს არის სქესის მეტაფიზიკური პერიოდის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი, პოსტმეტაფიზიკური პერიოდი, იწყება კაცის, მამრობითი ინდივიდის



კლიმაქსის პერიოდიდან და გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე. თუ მეტაფიზიკური პერიოდი, ორივე სქესის შემთხვევაში, თავიდან არის ბავშვობის პერიოდთან იდენტური მაშინ, კაცებთან მიმართებაში ამ პერიოდის ხელახალი შემოსვლა, მართალია უკვე პოსტმეტაფიზიკური პერიოდის სახით, შეიძლება იწვევდეს ინფანტილიზმის გამოვლენას. ეს უკანასკნელი თავისთავად კორელაციაში შეიძლება იყოს მოლოდინის ვექტორის შებრუნებასთან ვექტორით უკან. ეს, თავისთავად, შეიძლება იყოს მიზეზი ბევრი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესების გაუარესების, პესიმისტური ან აგრესიული გამოვლინებების; შეიძლება იწვევდეს მნიშვნელოვან უარყოფით ატიტუტს. ქალებთან მიმართებაში კი, მოლოდინების ვექტორის ინერცია გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მოლოდინების ბივალენტობა, ხშირ შემთხვევაში, სრულიადაც არ არის ქალის სუბიექტივიზმის დამანგრეველი ძალა (განსაკუთრებით, მატერიალიზებული მოლოდინის მინუს ნიშნით მიღება). ზოგადი მოლოდინები არის ქალის სუბიექტივიზმის მამოძრავებელი ლოკომოტივი. ქალის მეტაფიზიკური პერიოდი აღარ მეორდება ინდივიდის სიცოცხლეში და ე.ი. ქალებთან მიმართებაში არ გვაქვს პოსტმეტაფიზიკური პერიოდი, რომელიც ერთგვარად დააუბრუნებდა მას ბავშვობის პერიოდში. მაშინ, როგორ ახერხებს პატრიარქალური კულტურა, ტრადიცია, რომ ქალი და ბავშვი დააყენოს მამაკაცზე დაქვემდებარებულ ერთ ხაზზე? რაში მდგომარეობს მმართველთა “მოგება” ამ შემთხვევაში? სწორედ ის ქვეცნობიერი მოლოდინი კაცისა, რომ მას თვითონ ელოდება პოსტმეტაფიზიკური პერიოდი, აძლევს საფუძველს, რომ ქალი გააიგივოს ბავშვთან კულტურულ, ტრადიციულ, რელიგიურ დისკურსში და ამით - დაიქვემდებაროს.

“როგორ დალაგდა სქესის პრობლემა კლასიკურ მეტაფიზიკაში? და თუ ის საერთოდ არ გამოვლინდა (პრობლემა) არა იმიტომ, რომ მეტაფიზიკა თავისი მიმართულებებით შეგნებულად მასკულიზური იყო, არამედ იმიტომ, რომ ის აცხადებდა პრეტენზიას, ესაუბრა ნეიტრალური წერტილიდან, რომელიც აღიმართება სქესთაშორის განსხვავებათა ზევით. მაგრამ სქესი იმ ტექსტებში მაინც მონაწილეობს, განსაკუთრებით თუ ყურადღებას მივაპყრობთ მათ პერიფერიას, მეტაფორებს, რომლითაც ეს ფილოსოფია სარგებლობდა. თავის არსში ის სამუშაოები ტარდებოდა და ტარდება როგორც დეკონსტრუქცია, რომელიც, თავის მხრივ თანამედროვე ფემინიზმის ერთ-ერთი სათავეა”.  
 Ièòàèè Ðùèèèí “Íìè ðàñòáíèè” Ááíááðíúá èññéááíááíéý: Ôáìèìèññéáý íàòíáíèíáéý á ñíòèàèüíñ ìàóèàð. ÖÖÄÈ 1998ã, ñòð. 217.

სცენარი არის მოლოდინების ბიჰევიორული სტრატეგია. მოლოდინების ინტერპერსონალური სქემა: სცენარის ფიქსაცია და მისი მატერიალიზაცია. რის შედეგად იგი, სცენარი, ინგრევა ან იცვლება, რაც თავისთავად იწვევს მოლოდინის გადინების ილუზიას და ფრუსტრაციას.

ფრუსტრაცია = მოლოდინი - რეალობა.  
 ტიპი (არ იგულისხმება ქალი), წავიდა ფეხბურთზე; მოლოდინი იყო მოგება, რეალობა - წაგება. (მაიერსი, “სოციალური ფსიქოლოგია”).

მაშინ მოლოდინი = ფრუსტრაცია + რეალობა

დევიაციის (დევიანტური პიროვნება) სამი ძირითადი კომპონენტი: ადამიანი, რომელსაც ახსნიათებს გარკვეული ქცევა, მოლოდინი, ან ნორმა, რომელიც არის დევიანტური ქცევის შეფასების კრიტერიუმი, და სხვა ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც რეაგირებს ამ ქცევაზე. (ნეილ სმელზერი – სოციოლოგია – გვ. 210 მოსკოვი, 1994).

ქალის აქტიურობა, პატრიარქალურ საზოგადოებებში, ჩათვლილია, როგორც დევიანტური ქცევა, ხოლო საზოგადოების/ინდივიდის მოლოდინები ქალზე იმთავითვე გულისხმობს მის

პასიურობას. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში ნორმალურად ითვლება კაცისგან, თუ ის ტელეფონით ურეკავს ქალს, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, ქალის ქცევა დევინანტურად არის მიჩნეული, (თუ ქალმა არ მიმართა რაიმე ხერხს, მაგალითად არ მოიმიზეზა გადაუღებელი საქმე და სხვა).

დევინანტური ქცევის ტიპოლოგია რ. მერტონის მიხედვით: ტოტალური კონფორმიზმი (არადევინანტური ქცევის ერთადერთი ტიპი); ინოვაციური ქცევა (რეკეტი); რიტუალიზმი (ბიუროკრატია); რეტრეატიზმი (გაქცევა სინამდვილიდან, რეალობიდან); ბუნტი (მოაქვს ძველი მიზნებისა და საშუალებების შეცვლა ახლით).

### გამოცდილება

ჰიპოთეზები:

1. რეალისტური მოლოდინები აადვილებს, წინ სწევს ადაპტაციას. ჭეისმან ანდ ურნჰამ 1987.

მოლოდინები და გამოცდილებები დროებითი მაცხოვრებლების (სოჯოურნერს) თუმცა, კვლევის შედეგებში (კვლევა ჩატარდა ახალი ზელანდიის 20 სკოლაში) აღინიშნა, რომ რეალისტური მოლოდინები (დაფიქსირდა სრული სხვაობა მოლოდინებსა და გამოცდილებას შორის) არ არის დაკავშირებული, არ ახდენს გავლენას ფსიქოლოგიურ ადაპტაციაზე. ასევე გამოკვლეულ იქნა განსხვავებები, რომ როცა გამოცდილება უფრო რთული იყო, ვიდრე მოლოდინი (ვიდრე მოელოდნენ), დროებითი მაცხოვრებლები უფრო მეტად ასოცირებულნი იყვნენ ფსიქოლოგიურად დისტრესსთან, განცდასთან, უბედურებასთან.

კორელაცია - მოლოდინების სირთულეებთან, გამოცდილების სირთულეებთან, ფსიქოლოგიურ ადაპტაციასთან. იმავე დროს, რეალისტური მოლოდინები იყო ალბულები როგორც აბსოლუტურად სხვა, ცალკე ერთეული მოსალოდნელ და გამოცდილ სირთულეებთან ერთად. Joy Rogers & Collen Ward - "Expectation-Experience Discrepancies and Psychological Adjustment during Cross-Cultural Reentry", International Journal of Intercultural Relations, Vol. 17, pp. 185-196, 1993.

### მოლოდინები და ღირებულებები

მოლოდინები არის ფუნქცია ადამიანის ძალისხმევა წარსულის ხელახალი გამყარებისა. ისევე, როგორც, შედეგთა სუბიექტური ღირებულება არის ფუნქცია წინა ცოდნისა. ადამიანის სუბიექტური მოლოდინები შესაძლებელ (მოსალოდნელი) შედეგებთან მიმართებაში ასახავს წარსულ (ნასწავლ) გამოცდილებას კონკრეტული შემთხვევის შესაბამისობით.

ინტროდუცტიონ ტო ერსონალიტყ - ჭალტერ ისცჰელ; შტანფორდ ნივერსიტყ, 1981. როტერის ფორმულირებით: ზოგადი მოლოდინები გამომდინარეობენ სიტუაციიდან და მის გარშემო მოიაზრებიან, რომ იყვნენ როგორც უფრო სტაბილური და თანმხვედრნი.

### მოლოდინები და ლექსიკა

ქალო, სულ ელი?

ქალია და სულელია, სულ ელის

ქალი იჯდა და ბედს ელოდებოდაო

ქალი ისე უნდა დაასაქმო, რომ თავისუფალი დრო არ დარჩეს, თორემ ეშმაკი შეუჩნდებაო.

გელოდი - ვაჟის საკუთარი სახელი;

არგელოდი - ქალის საკუთარი სახელი;

ელისო – ქალის საკ. სახ.

ვისელი – ქალის საკ. სახ.

ვისია - ქალის საკ. სახ. (ალბათ, სიმღერის გავლენაა: “ვისია, ვისია, ქალი ლამაზი”).

ნამეტი - ქალის საკ. სახ.

ტოჩკა - ქალის საკ. სახ.

მამაკაცთა მოლოდინი ქალის, როგორც მეუღლის მიმართ – ქალი მისი მონა/პოვარი გახდება. მოსალოდნელი: სოცოცხლის ხანგრძლივობა (სოციოლოგიური მონაცემებით); ამინდი;

მოლოდინი:

ქალისთვის: ბავშვი, საყვარელი ქმარი, ოჯახი, საქმე.

კაცისთვის: სამსახური, მეგობრების წრე, ფინანსები, ოჯახი, ცოლი - მონა/პოვარი

მოულოდნელი:

ქალისთვის: კაცისაგან “ქალივით” მოქცევა

კაცისთვის: ქალისაგან “კაცური” მოქცევა

ვალდებულებათა როლური გადანაწილება.

დაკმაყოფილებული ქალი, ქალი, რომელიც დააკმაყოფილეს. ამასაც, თავის მხრივ უარყოფითი აღქმა აქვს საზოგადოებრიობისგან (“სარა: შეჭამე ლიმონი”)

კმაყოფილი კაცი, კაცი, რომელიც თვითონ მიიღებს, აიღებს დაკმაყოფილებას.

“მთელი ბავშვობის პერიოდში გოგონას თრგუნავენ და ამახინჯებენ. ურთიერთობებში მშობლებთან, მეგობრებთან, სწავლაში, თამაშში ის იქცევა როგორც არსება, რომელსაც შეუძლია ტრანსცენდენცია, მისი მომავალი პასიურობა მას მხოლოდ ეჩვენება. იმის მერე, რაც დადგება მისთვის სქესობრივი მომწიფების პერიოდი, ეს მომავალი არა მარტო ახლოვდება, არამედ მისი სხეულის შემადგენელი ნაწილი ხდება, გარდაიქმნება სწორედ რომ კონკრეტულ რეალობად. ეს - ფატალური და ერთხელ და სამუდამოდ მისჯილი მომავალი: ამავე დროს ბიჭები აქტიურად იკვლავენ გზას ზრდასრულთა ცხოვრებისაკენ, გოგონა ელოდება ამ ახალი (სიურეალური ან ფსევდორეალური) პერიოდის დაწყებას. და, მართალია “ის, ახალი პერიოდი” მისთვის სრულიად უცნობია, მაგრამ მისი კონტურები უკვე გამოკვეთილია; გოგონას მისკენ მიაქანებს დრო. ბავშვობა დარჩა უკან, ახლანდელი დრო მისთვის - ეს მხოლოდ გადასვლაა ერთი მდგომარეობიდან მეორეში; ფუსფუსი, რომელშიც არ ამოიცინობა მნიშვნელოვანი მიზანი. ის, გოგონა ანიავეს, ფუჭად ხარჯავს თავის ახალგაზრდობას მოლოდინზე, რომელიც ფარულია ან აღიარებული, გულახდილი. ის ელოდება მამაკაცს.” Simone de Beauvoir, *Le Deuxieme Sexe*, Gallimard, 1949. p.366.

### მოლოდინები კონფლიქტის მოგვარებაში ქალის როლზე

“ქალზეა დამოკიდებული ოჯახის მორალური სახე, ოჯახის წევრებს შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარება, მამაკაცის ბუნების შერბილება, ოჯახის სიმტკიცისა და ოჯახში მშვიდობის დამყარება”. იქვე: “ქალის სტატუსს ოჯახში განსაზღვრავს ის, რომ ქალი არის ეთნიკური ტრადიციების დაცვისა და მემკვიდრეობით გადაცემის მექანიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალა, იმ ტრადიციებისა, რომელთაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ხალხის საწარმოო, ყოფითი და სულიერი კულტურა. ქალი არეგულირებს და წარმართავს ოჯახის წევრების ქცევის სოციალურ-ეკონომიკურ, ყოფით, ფსიქოლოგიურ ნორმებს; იგი ასრულებს საწესჩვეულებო კულტურასთან დაკავშირებულ ძირითად რიტუალებს და, ბოლოს, ქალია ოჯახში თაობების დამაკავშირებელი რგოლი. საზოგადოებრივი ქცევის ნორმების - ეტიკეტის დამცველიცა და შემსრულებელიც ქალია”. ლ. მელიქიშვილი “კონფლიქტური სიტუაციები

პოლიეთნიკურ საზოგადოებაში” გვ. 218, 1998 წ. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

დღეს მსოფლიოში ახალი ტალღა წამოვიდა. ეწეობა დისკუსიები და კონფერენციები, იხარჯება უდიდესი სახსრები იმაზე, რომ გააქტიურდეს ქალი, ქალის როლი კონფლიქტების მოგვარების საქმეში. დღეს ამაზე საუბარი მოდაშია და ყველა სახელმწიფო, ორგანიზაცია, მკვლევარი თუ მეცნიერი ცდილობს, ეს თემა წინ წამოწიოს და სხვადასხვა დისკურსში განიხილოს, ერთგვარად ხარკი გაიღონ მოდისთვის.

თითქოს და რა უნდა აღელვებდეს ვინმეს, ან რა ამოქმედებდეს ამისთანა ჰუმანური მიმართულების წინააღმდეგ. კონფლიქტები ხომ ასე დესტრუქციულია და დამლუპველი. მით უფრო, შეიარაღებული კონფლიქტები. დახოცილია აძენი ადამიანი. ამათგან, უფრო მეტი მამაკაცი. და გადაწყდა, რომ ქალმა უნდა უშველოს მსოფლიოს. ე.ი. მამაკაცებმა იომონ, ქალებმა კი - მოაგვარონ.

მეორეს მხრივ, ეს ჩვეული ქცევაა ქალის მიმართ: ქალებს მიუჩინონ მოქმედების ნიშა. წამოიწყონ კამპანია და საზეიმოდ გადასცენ დამატებით კიდევ ერთი როლი.

რა თქმა უნდა, ქალს შეუძლია იტვირთოს დამატებით კიდევ ის როლი, რომელიც საზოგადოების მოლოდინებისგან მომდინარეობს. და რაღა თქმა უნდა, ქალი იმას, დამატებით როლს, ისევე შეუპოვრად და გულისხმიერად შეასრულებს, მხოლოდ, დღეს აღარ არის საჭირო, რომ ამ დამატებით ფუნქციას მოვუძებნოთ გამართლება ღრმა ისტორიული ფესვებით, რომ ამ ფუნქციას ისტორიულ-ეთნიკურ-რელიგიურ-კულტურულ-ტრადიციულ და ა.შ. განპირობებულობა მოვანიჭოთ. ამით ის სრულიადაც არ შეიძლება გაგზადოთ აუცილებელი, ჩვეული და მოსალოდნელი ქალისგან. ეს იქნებოდა სწორედ მოლოდინებით ქალის ზომბირება, როცა არ ვუტოვებთ პიროვნულ სივრცეს - არჩევანს - და ე.ი. თავისუფლებას.

\*\*\*

დასასრულ,

ჩემი მოლოდინები ნაწერთან მიმართებაში:

- მოლოდინები, როგორც ცალკე კატეგორია;
- ქალის ზომბირება მოლოდინებით;
- საზოგადოების, ხალხების, ინდივიდთა მოლოდინებით მანიპულირება ხელისუფლების მმართველობითი სტრუქტურებიდან;
- შექმნილი კულტურისა და ტრადიციების მოხერხებული გამოყენება ახალი ლოზუნგების შესაქმნელად;
- ახალი როლების “დამატება” ორივე სქესის წარმომადგენლებზე, როგორც “ძველთაძველი იდეა”, ნიადაგი კი ისევ (ჩვეული) მოლოდინებია.

**“პირველი რუსი”**

**ლაშა ბუღაძე**

ქრისტიანებო!

ათი მცნება ხო იცით? იცით. არა ესა, არა ისა... მოკლედ, სულ ათი - არა.

მაგრამ არის მეთერთმეტეც!

ქრისტიანმა კაცმა, შენნაირმა ანუ, იცის რომ დაწერილს ურჯულოსავით მარჯვნიდან მარცხნივ ვერ წაიკითხავს. ვერ წაიკითხავს და არც წაიკითხავს! ერთი სიტყვით, ვერც და არც, რადგან ბავშვმაც კი უწყის, რომ ყოველივე უკუღმართი – ეშმაკისგანაა!

არადა, იძულებული ხარ ერთხელ მაინც გაუსინჯო გემო! აქედან იქით კი არ გადაფურცლო – იქიდან აქეთ, და თან ქრისტიანადაც დარჩე, ისე როგორ?!

თურმე, ახალგარდაცვლილის სული, თავის ცხოვრებას ხელახლა გადის, ოღონდ უკუღმა – სიკვდილიდან დაბადებამდე.

აჰა, ესეც თქვენი მეთერთმეტე: არ მოკვდე!

ქრისტიანებო, უკუღმართად დაწერილი ისტორია უნდა წაგაკითხოთ მეფეთ მეფე თამარის სუე უბედურ რუს ქმარზე! რაც ბასილი ეზოსმოდღუარმა არ დაწერა, ის მე უნდა გაამბოთ.

მერე კი იქამდეც მივიდე, რუსმა კაცმა მუხლებქვეშ მუთაქა, რო ამოიღო...

ღმერთმანი, დიდი კაღნიერებაა შენი მეფეთ მეფის საქორწინო ღამე აღწერო და მემატანეთა მიერ დაფარული საიდუმლო გაუმჟღავნო თანამედროვე ქრისტიან მკითხველს, სიტყვაც კი არ დაგცდეს ორბელთა ამბოხების, ბასიანის ბრძოლის, ტრაპიზონის სამეფოს შექმნისა და იმ დროის სამოხელეო წყობისა, თუ სოფლის მეურნეობის შესახებ და ყველაფერ ამის მაგივრად „ბაბილონის სენით“ დაავადებული რუსი კაცის ამბავი მოყვე! მაგრამ რას იზამ – ცოდვა გამხელილი სჯობს!

ახლა სარჩევი.

ქვემოთ წაიკითხავთ: გიორგი მესამეს დაკრძალვას, თამარის გამეფებას, მის ქორწილსა და სიკვდილს, გაეცნობით სუე უბედური რუსის ბიოგრაფიას, გაიგონებთ კრუხთა კრიახს და ღიღებულთა, სპასპეტთა და ერისთავთა დაბნეულობის, სასოწარკვეთის მოწმენიც გახდებით. სულ ბოლოს კი / ანუ, პირველ თავში /, ჩემთან ერთად, საქორწინო სარეცელის ქვეშ დაუდარაჯდებით მეფეთ მეფესა და იურის...

კინალამ დამავიწყდა! სადღაც შუაში, მარტი მოვა და მოთხრობაში ერთი ფისუნიაც გამოჩნდება. მასაც არ დაადგება კარგი დღე!

ესე იგი, აქედან იქით კი არ გადაფურცლოთ - იქიდან აქეთო, არა?

ჰოდა, თუ ასეა, თამარის სიკვდილით დავიწყოთ.

ქრისტიანებო, ჩვენს მეფეთ მეფეს სიკვდილის წინ თმა დასცვენია.

#### 4

...ზამთარი იდგა. ათას ორას მერომელიდაცე წლის ოცდაშვიდი იანვარი. თან მაშინდელი ოცდაშვიდი იანვარი.

ყველასაგან განსხვავებული, განსაკუთრებული ერი კი ვიყავით, მაგრამ ჩიტი, ისე როგორც სხვაგან, ზამთარში აქაც არ გალობდა.

მიუხედავად ამისა, მათ ნაკლებობას მაშინდელ მსოფლიოში არავინ განიცდიდა, მაგრამ აი, ქალი-მეფეებისა კი რა გითხრათ?! ჯერ სად იყო შემლილი ხუნა, ანდაც ბართლომეს ღამის ხელდასისხლული კატო, ჩვენთან რომ დედაკაცი განაგებდა სახელმწიფო საქმეებს!

თანაც, როგორ? უკეთესად, რომ არ შეიძლება.

მაგრამ ათას ორას მერომელიდაცე წლის ოცდაშვიდი იანვარი იდგა და კვდებოდა ეს ქალი. კვდებოდა, რადგან ზოგჯერ მეფეთ მეფე ქალებიც კვდებიან.

უთოვლო ზამთარი იყო / ყოფილა კი ოდესმე ჩვენთან თოვლიანი ზამთარი? /, თოვლს მთის წვერზე თუ შეამჩნევდი, იმასაც უნისლო ამინდში. ხანდახან კი წამოცრიდა ხოლმე, მაგრამ ვერ გაიგებდი ეს თოვლი იყო, თუ წვიმა – გამჭვირვალე და ჰაერშივე დამდნარი.

მოკლედ, ზამთარს კოცონთან მოკუნტული მაწანწალა ფინია გახსენებდა მხოლოდ.

მაგრამ მეფეთ მეფის სიკვდილი კი მაინც მოგვიტანა ასეთმა უთოვლო ზამთარმა.

ჩვენი გამაოხრებელი სენი, რომელიც დღითი-დღე მძიმდებოდა, ჯერ კიდევ ზაფხულში აღმოაჩნდა თამარს: დაუძლურდა, კურთხეული სახე და ხელ-ფეხი დაუსივდა, თმა დასცვივდა და რა აღარ დაემართა, ერთი სიტყვით.

ოხერი სენით ის ადგილი შეუბილწა სატანამ, საიდანაც შემკვიდრე უნდა გამოეგლო თავის დროზე / ეს ამბავი გუშინ არ მომხდარა და ამიტომ თამარის ავადმყოფობას სენს ვარქმევ, თორემ ისე საშვილოსნოს კიბო ჰქონდა /.

ჯანმრთელად, რომ არ იყო, არ უნდოდა ამის გამხელა, – ითმენდა, მალავდა, ღუძდა, როგორც მაშინ, იურის დროს, ორი წელიწადი რო უთმინა...

მეფეთ მეფე სიტყვას არ გაუცია. გასცა სახემ – კურთხეულმა, დასიებულმა ხელ-ფეხმა და სიქაჩლემ!

ჰოდა შემოკრეს მაშინვე ზარებს, დაიწყეს წირვა-ლოცვა და ღამისთევა – ეგება და, როგორმე ეშველოს ჩვენს თამარსო!

მაგრამ ზოგიერთი კი არ ლოცულობდა, აი ამას ფიქრობდა: თითქმის ოცდახუთი წელიწადია მეფობს და მეტი რაღა უნდაო?!

ვინც მისი მეფობის დასასრულს მოესწრო, დასაწყისი აღარ ახსოვდა და იმიტომ.

დიდხანსაც მაშინ არავინ ცოცხლობდა. ხუთი ათეული წელი უკვე ბევრი იყო – საუკუნედ ითვლებოდა.

ბოლო თვე თავისი ფეხით აღარც უვლია თამარს. სულ კუბოთი დაატარებდნენ აქეთ-იქით, მაგრამ ეს ის კუბო კი არაა, ჩვენში სასახლესაც, რომ ეძახიან, – ეს სხვა კუბოა. საბასულხანს მოუსმინეთ: ესე არს ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი აქლემთა ასაკიდებელი, გინა ხელით სატარებელი.

ჰოდა, დააწვენდნენ ხოლმე ზედ და ბრძანებებს ელოდებოდნენ, ის კი ღუძდა. სიტყვებს სიკვდილისათვის ინახავდა.

მოკლედ, ჰავის აღწერით განვაგრძოთ თხრობა:

ცრიდა. იანვრის ბოლო იყო. ოცდამეშვიდე დღე. ოდინდელი საქართველოს სუსხი იდგა გარეთ. შიგნით კი, სასახლეში, სასიკვდილო სარეცელზე მეფეთ მეფე იწვა – უთმო, უსიტყვო, მარტოხელა... თუმცა, ოცი-ოცდაათი კაცი კი ედგა იქვე, სულ ახლოს მამაო – პატრიარქი.

სიკვდილის წინ თამარს ხმა ამოუღია და რაც სხვების გასაგონად უთქვამს, ეს არის: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელი მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგავედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატრონითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა!“

გულში კი უფლისათვის ასე მიუმართავს:

„იქ მიწვეს სიკვდილი, სადაც ქორწილის პირველ ღამეს კურთხეული ნაყოფი უნდა გამოეგლო, მაგრამ შენ კი კარგად უწყი უფალო, სინამდვილეში ვისი პირველი ღამეც იყო ესე?.. ვინ იყო ჭეშმარიტი რძალი? მე – მეფეთ მეფე საქართველოსი, თუ...“

ქვესკნელში მოთარეშე სულს – როგორი ძალისგავარდნილიც არ უნდა იყოს – იცი, უფალო, რომ მაინც შეგავედრებ, მაგრამ არის ერთი, ვისი გადარჩენაც ერთხელ სიკვდილს არ მაკმარებს და მკვდარს, კიდევ ერთხელ მომკლავს!

... იურიზე მოგახსენებ, გვარად ბოგოლიუბსკიზე – სუე უბედურ რუს კაცზე, იმ წყეული ღამის ჭეშმარიტ ბატონ-პატრონზე!

უფალო იესო! ამორე განკითხვის დღეს შენი რისხვა ყველა სულიერს – მის გარდა! დეე, საუკუნო ცეცხლოვანმა გეენამ შთანთქას მისი უბადრუკი სული, არ ეღირსოს...” და ა.შ.

ქალი იყო თამარი და მამაკაცის საქმეს აკეთებდა, ბევრ მამაკაცზე უკეთ, მაგრამ მაინც ქალურად მოკვდა. კაცურად არ მომკვდარა. მიაწყველა ვიღაც, სანამ სულს დაღუგა – ღმერთთან დაიჩვილა. ყველას აპატია, ერთი კაცის გარდა.

ეს ამბავი კი ამ კაცზეა.

მეფეთ მეფე ათას ორას ცამეტ წელს გარდაცვლილა. ხოლო საქართველოს, როგორც ყოველთვის, ლექსად გადმოჰღვრია ცრემლი:

დედა ქართლისა თამარი,  
ბევრიც ვიტიროთ, სად არი?

მოკლედ, იმ ზამთარზე ლაპარაკს აქ მოვრჩეთ. შევისვენოთ. მამაო ჩვენო ვოქვათ, ვიტრაპეზოთ და მერე თხრობაც განვაგრძოთ.

### 3

ახლა რიცხვებს უყურეთ:

თამარ მეფე ხო ოცდაშვიდ იანვარს გარდაიცვალა? მამამისი, გიორგი მესამე ოცდაშვიდ მარტს.

მამა-შვილის სიკვდილის რიცხვი ყოფილა ეს ოცდაშვიდი.

ჯერ ქალი არც ეთქმოდა, როცა მამა მოუკვდა. თუმცა, უკვე აღარც ბავშვი იყო. იგლოვა, ილოცა, მაგრამ ვერც პირველით წამოაყენა მამა საფლავიდან და ვერც მეორეთი. ბოლოს, ტახტზეც ავიდა. ამის შესახებ წიგნებში რეები წავიკითხე, ახლავე მოგიყვებით, ძალიან მოკლედ:

თურმე, რომ მორჩნენ მწუნარებასა და გლოვას, შეიყარნენ დიდებულები /შვიდთავე სამეფოთანი – იქ ასე წერია! / და თამარს მამიდის პირით შეუთვალეს, რომ მან / უსმინეთ! / „ხელ-ყოს ხელითა მეფობასა და კურთხევითა გვირგვინოსან ყოფად, აღვიდეს, ამაღლდეს და დაჯდეს საყდართა თვისთა მამათასა.“

გოგონაც დათანხმებულა, ანუ „დამორჩილდა პირველსავე ბრძანებასა აწ კადრებულსა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთასა.“

ერთი სიტყვით, საგანგებოდ შეკრებილმა საქართველოს დიდებულთა ბჭობამ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და თამარი – ქალი მამაკაცის თანასწორ უფლების ღირსად სცნო, გაამეფა და ორი საპატო მანდილოსანიც მიუჩინა დაქალად: ხუაშაქი ცოქალი და კრავაი ჯაყელი – მომავალში ცნობილი დედები, უწარჩინებულესი ჭკვიანი ქალები. დიდის ამბით და ზემით იყო თვით დაგვირგვინების წესი მოწყობილი. ნახეთ: „ჰკრეს სპერჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზეჰიმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება.“

/ ნუ დაიზარებთ, ხმამაღლა წაიკითხეთ! /

ჰკრეს სპერჭურთა ბუკთა ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზეჰიმი ქალაქსა შინა სიხარული და შუება

კაცმა არ იცის, როგორ გამოიყურებოდა მაშინ თამარი! ან ხმა, როგორი ჰქონდა? ქართველ ქალებს, რო ხმები აქვთ, ალბათ ისეთი – სადღაც მოუქნელი და სადღაც სასიამოვნოც.

უკანალი ჩავარდნილი – ანუ ქართული. ოდნავ შესამჩნევი ღინღლი ნორჩ სახეზე – ესეც ქართული. ჯანმრთელი თმა და გადაბმული წარბები, როგორც ფრესკაზეა.

ქალი ტახტზე ავიდა! პატრიარქმაც აკურთხა. მერე ცოტა ხნით განმარტოვდა – ლექსი უნდა დაეწერა. მეფეები ხო ლექსებს წერდნენ! სიტყვები ღვთისმშობელს მიუძღვნა, იმ დღეს ბარე მეთედ პირვეარი გამოისახა და ხელაღვე ცოდვაში ჩადგა ფეხი – სახალხო მისანი მიიღო. მისანიც ქალი გახლდათ.

შეხედეთ. მახინჯია, არა? რატოა ასეთი? ავადმყოფია და იმიტომ. წიგნებში წერია:

ფილენჯის სენი სჭირდა და სიმდაბლე მოსდიოდა, მოელებოდა ენა, ხელი და ფეხიო.



თამარს ცხვირწინ ჩამოუჯდა, თავი აიტირა, თმა აიწეწა, აიფოფრა და უახლოესი ხუთი წელიწადი შეუსვენებლად უწინასწარმეტყველა. სულ ტყუილები, რა თქმა უნდა. ანკი მისანი მართალს რას გეტყვის – ეშმაკეულია!

/ პირვეარი გამოისახეთ /

დაჰპირდა – თუკი ვიცოცხლე, ხუთი წლის თავზეც მოვალ და, ჩვენებურად რომ ვთქვათ, დანარჩენ ხუთწლეულებსაც გიწინასწარმეტყველებო.

ერთი კი უთხრა მართალი, მაგრამ შემთხვევით, ალბათ: მალე გათხოვდები და პირმშენიერი ქმარი გეყოლებო.

აქ შევიძლიათ კითხვას თავიც დაანებოთ, რადგან მერე სულ იური რუსზეა.

## 2

მართლაც, მისნის სტუმრობიდან დიდი დრო არ გასულა, რომ შეიკრიბნენ რუსუდან დედოფალი, პატრიარქი, რამდენიმე დიდებული, ერთი-ორი ერისთავი და გადაწყვიტეს, რომ თამა-რისათვის ქმარი ეშონათ.

ქართველები მაშინაც ისეთივე ჭკუისკოლოფები იყვნენ, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში ტრაქტატზე ხელისმოწერის დროს და, როგორებიც ახლა არიან, ჰოდა გაიხედ-გამოიხედეს, - მსოფლიო, რასაკვირველია, დიდი იყო, მაგრამ არჩევანი მაინც სამეზობლოზე, ჩრდილოეთზე გაკეთდა. რატომ ვიწვალთ, ბარემ აქვეაო, იფიქრეს.

და აი, ჩვენს ამბავში შემოდის მთავარი გმირი – ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი საქართველოს მეფეთ მეფე თამარის საქორწინო ღამისა და საშინელ ცოდვაში მხილებული იური.

მაგრამ ამაზე ქვემოთ. ჯერ ბიოგრაფიულ ცნობებს გავეცნოთ.

გიორგი /იური/ უფლისწული როსტოვ-სუზდალის დიდი მთავრის ანდრეას შვილი ყოფილა.

ათას ას სამოცდათორმეტ წელს ანდრეა ბოგოლიუბსკის თავისი შვილი იური ნოვგოროდის

მთავრად გაუგზავნია რიურიკის ნაცვლად, მაგრამ მალევე სახელოვანი დიდმთავარი

აჯანყებულ ბოიარებს მოუკლავთ და როსტოვ-სუზდალის სამთავროში გაბატონებულ

დრუჟინის გაერთიანებულ სათათბიროსაც იური მეტისმეტად ახალგაზრდად მიუჩნევია

გამთავრებისათვის. უფლისწული ათას ას სამოცდათხუთმეტ წელს გამოუგდიათ

ნოვგოროდიდან. ნახეთ, როგორ წერს რუსი მემკვიდრე: `Áúââîøà èç íáâîðíàà èíÿçÿ

Āpðâèÿ“. ეს უკანასკნელიც ჩრდილოეთ კავკასიაში გადმოხვეწილა.

ციტატა აკადემიკოსი მეტრეველის წიგნიდან: „ქართველ დიდვაჭართა მიერ აღმოჩენილი რუსი

უფლისწული საქართველოს დიდგვარიან ფეოდალთა ერთი ნაწილისა და მოქალაქეთა

ზედაფენისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო, რადგან დარბაზის წევრებისათვის მნიშვნელობა

ჰქონდა იმ ფაქტს, რომ იური ანდრეას ძე ბოგოლიუბსკი დიდგვაროვანი ფეოდალი და

მართმადიდებელი-ქრისტიანი იყო“.

კაი მართმადიდებელი გამოდგება – მუხლებქვეშ მუთაქას, რო ამოიდებს გაოგნებული

ქალწული მეფეთ მეფის ცხვირწინ!

მაგრამ ეს მერე. მანამდე კი:

ხომ გახსოვთ ეს თავი როგორც დაიწყო? ახლა იგივე ხალხი უნდა ჩამოვთვალო.

შეიკრიბნენ რუსუდან დედოფალი, პატრიარქი, დიდებულნი და ერთი-ორი ერისთავიც.

შეიკრიბნენ და თამარს იური ბოგოლიუბსკის შესახებ აცნობეს. ამ სურათს ახლა

ძველქართულად გაგიცოცხლებთ:

თამარმა სთქუა: კაცნო, ვითარ ღირს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის

უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა...

ხოლო დიდებულნი წინააღუდგებოდეს თამარს, უშვილობასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა

უნაყოფობასა დრტვინავდეს.

რუსუდანი: ... ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა.

პატრიარქი: მაშ, მაშ! მოყმეა თურმე სახე-კეკლუცი, სრული ანაკებითა და საჩენი...

რას იფიქრებდა რუსუდანი, პატრიარქი, ანდაც რომელიმე აქ მდგომი დიდებული, რომ თამარისა და იურის ქორწილის წლისთავზე, სწორედ ამ დარბაზში, წვერცანცარა რუსი მეფე მათ საქონლის უკანალის შესახებ დაუსვამდა უხერხულ შეკითხვას: ხბოს უფრო წვრილი ხვრელი აქვს, თუ გოჭსო?

წარმოიდგინეთ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის ბრძენი და წარჩინებული ქართველობა რუსი უფლისწულის წინაშე – ესენი ამყენი, კეხიანი ცხვირებით, მაგრამ საგონებელში ჩავარდნილნი, ის კი მცქმუტავი, სხარტი პასუხის მოლოდინში.

მაგრამ ჯერ ესეც ადრეა. ჯერ არც კი იცნობენ თამარი და იური ერთმანეთს.

თამარი ჯერ ხუაშაქისა და კრავაისაა.

– დიდად გუარიანი ყოფილაო, – ეუბნებოდა ლოყებშეწითლებულ თამარს კრავაი, – და სახითაცა არა უმარჯუი!

ეს იყო – მომიტევეთ უხეში შედარებისათვის – ქართული საჭორაო სკოლის რენესანსი, თუ დაბადება არა.

ტანტზე მიგორებული სამი ქართველი ქალი!

მათ დიალოგს ახლა ჩვეულებრივი ქართულით განვაგრძობ, რათა არც თქვენ გაწვალდეთ კითხვისას და არც მე წერისას.

– თუკი ნოვეტორიდან გამოაგდეს, აღარ გვინდისხარო, ჩვენს თამარს რაში წაადგება მისი ცოლობა? – ხუაშაქმა თქვა.

– მართლმადიდებელი იყოს და სულ არ გვინდა მისი... როგნოდოვი! – გაიცინა კრავაიმ, – ჭეშმარიტი ქრისტიანი ისაა, ვინც უთვისტომია... რომელმაც არც სახლი იცის და არც კარი, არც მშობელი და არც და-მმა.

– მშობელზე უარი, როგორ უნდა თქვა? – აღშფოთდა ხუაშაქი – რას ამბობ, ქალო?..

– მე კი არა, უფალი ამბობს! – კრავაიმ თამარს გადახედა, – მე რას მიჯავრდება, ერთი ვიცოდე?!

რაც შეეხება სასიძოს, მის ჩამოსაყვანად საეჭვო ღირსებების მქონე თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი გაიგზავნა. სწორედ ამ ზანქან ზორაბაბელთან ერთად გამოემართა იური საცოლესაკენ, რომელსაც პირველივე ღამეს უღალატებდა.

ქრისტიანებო! ხალხო! უბედურო ქართველებო! იცით კი ვისთან გიღალატათ რუსმა იურიმ? იცით. პირველ თავს ხომ გადახედეთ? მაგრამ ვერაფერი გაიგეთ, არა?! ჰოდა მომყევით. მე ჯოჯოხეთის კარამდე მიგყვებით, დანარჩენი კი თქვენ იცით.

თამარს ნანახი არ ჰყავდა იური და უკვე უყვარდა, როგორც ეს სამხრეთელ ქალებს სჩვევიათ ხოლმე. მთელი თვე მასზე ფიქრობდა და რაც უფრო ახლოვდებოდა იურის ჩამოსვლის დღე, მით უფრო ნაკლებს ლაპარაკობდა. ასე იცოდა – რაიმე მნიშვნელოვანის მოახლოების წინ სიტყვებს კრუხივით აჯდა. სიკვდილის წინაც ასე არ იყო? ორი წელიწადი ხმა არ ამოუღია. ბოლოს თქვა მხოლოდ რაღაც ლოცვისმაგვარი და იურიც მიაწყველა, ესეც თავისთვის, გულში.

მის წარმოდგენაში შექმნილ რუსს მხოლოდ სიმაღლე დაემთხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორიგინალისა. ასეთი ნათელი ფერის მამაკაცი და, საერთოდ, ადამიანი მანამდე არსად ენახა თამარს. კი იცოდა, რომ ჩრდილოეთში თეთრი ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ ეგეთი ფითქინა, ლამის ოქროსი, ყვითელ ღინღლში გახვეული ბავშვი /რაღან იური ბავშვს უფრო ჰგავდა, ვიდრე მამაკაცს!/, თუკი სადმე არსებობდა, არც კი გაეგონა.

წარმოიდგინეთ ხალხით გავსებული დარბაზი. რამდენადაც შეგიძლიათ, წარმოიდგინეთ მდიდრულად მორთული ქართული სამეფო სასახლე. მუხლმოყრილი ოქროს კაცი, ლამაზი კი არა, ამ განსხვავებულობით სახიერი იური და ტანტზე დაბრძანებული თამარ მეფე – ვარძიის ფრესკაზე როა გამოსახული, ანდაც ისეთი, როგორსაც ახლა მე აღწერ:

„გვიშრისთვალეები ამბობდნენ, რომ ეშინიათ; წამწამები ამბობდნენ, რომ რცხვენიათ;

მარგალიტის კბილები ამბობდნენ, რომ უხარიათ; გული კი ამბობდა, რომ უყვარს...”

რუსი? რუსიც სასიამოვნო სანახავი იყო:

მაღალ-მაღალი, უცნაურად გრძელი ფეხებითა და ჭაობისფერი უგუგო თვალებით. კისერი

მართლაც, რომ ირმისა ჰქონდა და, საერთოდაც, ირემს ჰგავდა – დაგრეხილი რქებიდა აკლდა მხოლოდ.

იურის სახელდახელოდ ესწავლა, რამდენიმე ქართული სიტყვა, ზორობაბელმა უთხრა, ქართველებს ესიაძოვნებათო. კერძოდ: გენაცვალე, ჩიტო-გრიტო და ხაჩაპური.

ორი წლის მანძილზე, რაც იური და ცარიცა ტამარა / სხვათაშორის, ასე პირველად სწორედ იურიმ მიმართა ჩვენს მეფეთ მეფეს / ერთად ცხოვრობდნენ, გვირგვინოსანმა ქმარმა საკმარისზე მეტი ქართული სიტყვა ისწავლა. მართალია, ყ-ს მაგივრად კ-ს ამბობდა და თ-ს მაგივრად ზემოთ არაერთხელ გამოყენებულ ასო ტ-ს, მაგრამ ლაპარაკი აშკარად შეეძლო. და არა თუ ლაპარაკი, წერაც! ოღონდ, ამაზეც ქვემოთ.

გაცნობიდან მესამე დღის საღამოს იურიმ სიყვარული ქართულად აუხსნა თამარს, რასაკვირველია, მამიდისა და პატრიარქის თანდასწრებით. სიტყვების დაზეპირებას კი ზუსტად ოცდაექვსი საათი მოანდომა.

ისევ წარმოიდგინეთ ტახტრევანზე დაბრძანებული თამარი, რომლის წინაშეც მუხლმოდრეკილი საქმრო სიყვარულად იღვრება:

– ჩიტი ცაში დაპრინავს, ჩიანჩველა მიცაზე დაგოგავს, ტევზი ზგვაში დაცურავს, ბაკაკი ცკალში კიკინებს, ადამიანს კი ადამიანი უკვარს. გმერთმა სიყვარულისატვის გააჩინა იგი და ამიტ განასკვავა ცკოველისაგან. ცარიცა ტამარ! მიიგეთ ეს დეჟარი ნიშნად ჩვენი სიყვარულისა!

მათი ქორწილის აღსაწერად მე არც ნიჭი მეყოფა და არც ოსტატობა, ამიტომ ვგობია, რომ ისევ მემატიანეს მოვუსმინოთ.

აი, როგორი ყოფილა თამარ მეფისა და რუსი იურის ქორწილი:

„იქმნა ქორწილი სახე-დაუდებელი და იგავ-მიუწვდომელი, სიმრავლენი სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თვალთანი და მარგალიტთანი, ოქროჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერელთანი, მსგეფსამდი სიხარული, შუება და ძღუნობანი...“

რატომღაც ისტორიამ სუე უბედურად იური მონათლა და არა ჩვენი თამარი, ამ დროს პირიქით კი უნდა ყოფილიყო, ჩემი აზრით. თამარს ხომ უყვარდა იური? უყვარდა.

სიკვდილამდე? რა ვიცი. სიკვდილამდე კი ახსოვდა და! იურის კი არა, არ უყვარდა. ანკი, როგორ შეიძლება, რომ ჰყვარებოდა – თამარი ხო ადამიანი იყო! რა კი არა – ვინ.

ახალდაქორწინებულები ორი კვირით ერთმანეთს დააშორეს, რადგან ეს ორი კვირა - დიდი მარხვის ბოლო ორი კვირა იყო. თამარისათვის საუკუნესავით გაიწელა ეს დრო. დიდი ხუთშაბათიო, წითელი პარასკევიო.. არა და არ დაადგა საშველი აღდგომის დღისის გათენებას!

რაც შეეხება იურის, დრო მას ნამდვილად არ დაუკარგავს. იმარხულა, ბოლო კვირა წყალზე და პურზე იყო და იმდენი ქართული სიტყვა ისწავლა ამ თოთხმეტ დღეში, რომ ერთ საღამოსაც, რაღაც საოცარი აღმაფრენით შეპყრობილმა ფურცელს მიაშურა და გონებაში მოსული აზრი ლექსად გართიმა:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...

ჰა, გული ხომ არ გაუსკდა ვინმეს? ეს ვინუმრე. ხუმრობა კი აქ უნდა მორჩეს. მერე სულ ცრემლებია.

წინასწარმეტყველი იერემია ამბობს: ვკურნობდით ბაბილონსა და არა განიკურნაო.

მეც ამაზე მოგახსენებთ.

მაგრამ ჯერ, თუ ნებას მომცემთ, აწმყოს ცოტა ხნით თავს დავანებებ და თქვენთან ერთად, წარსულსა და მომავალში გავისეირნებ.

თამარი ორი წლის შემდეგ განდევნის იურის, ისიც ორჯერ შემოიჭრება საქართველოში ტახტის დასაბრუნებლად, მაგრამ ორჯერვე უკან გააგდებენ. ეს ყველამ იცის. ამიტომ არ გავიმეორებ. სად და როდის მოკვდა იური ბოგოლიუბსკი, ამას არავინ ამბობს და მეც, თუ ნებას დამრთავთ, თქვენთვის მის სიკვდილს არ გამოვივლინებ. მაგრამ მე გიამბობთ ამბავს სრულიად უსუსური და სახელგატეხილი ცხოველის შესახებ, რომლის სახელის გაფუჭებაც სწორედ ჩვენს იურის უკავშირდება.

მართალია, რუსი უფლისწულის მიერ შერცხვენილი ამქვეყნად ბევრი დადიოდა, მაგრამ მე მაინც ამ პატარა ფისუნის ამბავი ვარჩიე.

იური ჯერ კიდევ ნოვგოროდში ცხოვრობდა მამასთან ერთად, როდესაც ერთმა წარჩინებულმა ბოიარმა მას ცხრაბეწვიანი ჩინური კატა აჩუქა.

როგორც ცნობილია, კატას ცხრა სიცოცხლე აქვს. ეს ფისო კი, ამჟამად, თავის მეხუთე სიცოცხლეს გადიოდა.

ფისო იყო მედიდური, ზანტი და ამაყი. იურიც მას მეტისმეტად შეეჩვია. ისე არ დაიძინებდა, გვერდით რომ არ მოეწვინა. სახელად რას დაარქმევდა მიხვდებოდით, ალბათ: ვასიას, რა თქმა უნდა!

ვასია სად არის? ვასიამ თუ გაიღვიძა? ვასიამ თუ ჭამა? ესლა აღარდებდა მხოლოდ პატარა უფლისწულს. უყურებდა ბიჭის გართობას დიდმთავარი ანდრეიც და უხაროდა - კარგია, რომ ცხოველები უყვარს, რადგან აღამაიანები სიყვარულის ღირსნი არც არიან!

მაგრამ მარტის თვე რომ მოვიდა, კატა ჭირვეული გახდა. კნაოდა, იფხორებოდა და, რაღა დაგიმალოთ, იურის გარდა ყველას პორჭყნიდა.

ერთხელაც იურიმ მისი დამშვიდება სცადა. ძვირფასი ოთხფეხა თავის საძინებელში შეიყვანა, მუხლებზე დაისვა და ფერება დაუწყო. კატა კატაა, მეთორმეტე საუკუნეშიც და ოცდამეერთეშიც, ჰოდა თვალები მინაბა და კრუტუნს მოჰყვა.

კარგა ხანს ეფერებოდა ასე იური კატას. ცხოველმაც კრუტუნს უმატა და უფლისწულიც შესამჩნევად შეწითლდა.

ვასია ფრთხილად მოაბრუნა, კუდი აუპრინა და...

იმ დღეს მეხუთედ მომკვდარა და მეექვსედ დაბადებული ჩინური ფისო!

ღილით უკანა ფეხებს ითრევდა მხოლოდ. ეს იყო და ეს. კოჭლობდა. იფიქრეს, იურიმ აწვალაო, მაგრამ ძნელი იყო ამის დაჯერება - იურიზე მოსიყვარულე ბავშვს ვერ მოძებნიდი მთელს მაშინდელ ნოვგოროდში.

ღიდი არაფერი, მაგრამ რუსმა ხალხმა ეს ამბავი ისტორიას მაინც შემოუნახა.

მოკლედ, კატა იქით იყოს თავისი ცხრავე სიცოცხლით და ჩვენ ისევ ჩვენს მოთხრობას დავუბრუნდეთ.

თამარი ორჯერ ეზიარა მარხვის ბოლო კვირას. ღიდ ხუთშაბათსაც და თვით აღდგომის დღილსაც. ბრწყინვალე შვიდეულის მესამე დღეს კი მამიდისაგან იურის მზადყოფნის შესახებ ეუწყო.

თამარი, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვდა, სწორედ მამიდასთან ერთად მიეგება ძვირფას მეუღლეს. რუსუდან დედოფალმაც, ასევე წესისამებრ, ლოცვა-ლოცვით აიქვითინა თავი და იურის შუბლზე ეამბორა.

/ ქრისტიანებო! პირველად გამოისახეთ - ის ღამე დაიწყო /

როგორც იქნა, ცოლ-ქმარი მარტო დარჩა. ქართველი ცოლი და რუსი ქმარი.

თამარმა ლოცვა დაიწყო და იურის ზურგი შეაქცია, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ღმერთთან გულისამოდება ახლა სრულიად ზედმეტი იყო. იური იმდენ ხანს იდგა გაუნძრევლად, რომ მეფეთ მეფეს ეჭვი გაუჩნდა - ესეც, ჩემსავით უცოდველი კრავი ხომ არ არისო?! მაგრამ მალე გაეფანტა ეს შთაბეჭდილებაც. იურიმ მოიხსნა გვირგვინი, მკერდიდან ჯვარი და წელიდან ქამარი. ამ ხმაზე თამარი იურისაკენ შემობრუნდა და მის შუბლზე ოფლის წვეთები შეამჩნია. ამანაც, სანამ ქართულ ჩოხას გაიხდიდა, თამარს ქართულადვე მიმართა:

- ცარიცა ტამარ, გაიხადე.

საერთოდ, ქართველს დია უხარია, როდესაც უცხოელი მის ენაზე ცოდვილობს, არც

შენიშვნებს იძლევა იურის თანამემამულესავით - ესა და ეს სიტყვა, ასე კი არ უნდა გეთქვა, ისეო, - მაგრამ თამარი, რატომღაც შეაშინა ქმრის დანჯღრეულმა ქართულმა - ჩვეული ალფრთოვანება არ გამოუწვევია მის ცარიცა ტამარ გაინადე-ს, თუმცა გვირგვინი, იურისაზე ორჯერ უფრო დიდი, მანაც მოიხსნა და აი, სადღა დაღო, უკვე ველარ დაიმახსოვრა, რადგან იური-რუსმა სწრაფი მოძრაობით ჩაიძრო კვართივით დახვეული ამხანაგი და მეფეთ მეფეს წინაშე, ლამისაა მუხლამდე დაკიდებული ვარდისფერი სარცხვინებლით წარსდგა. მეფეთ მეფემაც თვალზე ხელები აიფარა და რაც მერე მოხდა, ველარ დაინახა - მხოლოდ იგრძნო.

ცხელი სუნთქვა იურისა, სადღაც ძალიან ახლოს, მერე კი გაყინული, მოუსვენარი თითები მის სხეულზე.

და მაშინ, როცა ეგონა, რომ შიშისაგან სიკვდილს ერთი წამილა აშორებდა, ყურში კვლავ ჩაესმა ქმრის ხმა, დღეს უკვე მეორედ:

- **Èçâèíè Òàìð, íá ïñâ.**

რუსი ტახტზე გადაგორდა, მოჩვარულ სარცხვინებელზე ჩოხა წაიფარა და იმდენი ცრემლი გადმოყარა თვალებიდან, რომ გეგონებოდა ვიღაცას გლოვობსო.

მეფეთ მეფემ თვალები გაახილა, მაგრამ ტუჩები კი მოკუმა. განრისხდა? გაბრაზდა? გაიბუტა, ანუ? რა მოხდა, რო გასაბუტი?! გასაბუტი წინ ელოდა. მაშ შეეცოდა? ისე როგორც გამოცდილ ქალებს ეცოდებათ მათთან მისული პირტიტველა და ფაციფუცა ბიჭუნები? მერე და, რომელი გამოცდილი ქალი თამარი იყო?

იგი გაუნძრევლად იწვა, ჯანსაღი თმა მხრებზე გადაეფინა და წარბებსშორის სიბრაზის ნაოჭი გასჩენოდა.

თამარი ფიქრობდა.

რა უნდა უყოს ახლა ამ უცხო კაცს?

ამ ცრემლებისათვის ხომ არ დასჯის?

გაადებს? არა. თავისთან დაიტოვებს მაინც. ორ, სამ, ჰა ხუთ დღეს დააცდის, ჯანდაბას ერთ თვეს - იქნებ რამე ეშველოს?!

და თუკი არაფერი ეშველება /რა სჭირს, რო?/... ტახტის მემკვიდრე? თამარის გვირგვინოსანი შვილი? ვინმე დიდებულთან ხომ არ გააჩენს მალულად? დროს ვერ მოიხელთებს - წელიწადში ოთხი მარხვაა. ღმერთს სად დაემალება?

არა, არა, ურჩენია ძალა მოიკრიბოს, გვირგვინი ისევ თავზე დაიდგას და ჯვარცმის წინაშე მოწიწებით მოიყაროს მუხლი, რადგან უკეთესს, როგორც ატყობს, ამ ღამით, ვერაფერს იზამს.

თამარი წამოდგომას აპირებდა, რომ მოულოდნელად იური წამოიმართა. მეფეთ მეფეს უნებურად ეჭვიც კი გაუჩნდა - ერთი თვე კი არა, მოსახდენი, ღვთის შეწევნით, ალბათ დღესვე მოხდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად - იური წამოდგა, ქართული ჩოხა მხრებზე მოიხურა და თქვა:

- **Òàè íáèüçÿ, Òàìð... âñâ-òàèè áðà÷íàÿ ïí÷ü!**

და გარეთ გატანტალდა.

პირველად თავის სიცოცხლეში თამარმა არ იცოდა, რა ექნა. გაკიდებოდა? დალოდებოდა? ... მაგრამ იური მალევე დაბრუნდა. ჭაობისფერი თვალები უცინოდა, პირი კი საცოდავად მოეღრიცა, თითქოს ორი ადამიანი გაერთიანებულიყო ერთში.

გასახმობ ხელში კი საქორწინო ღამის ჭემშირიტი პატარძალი ეჭირა.

... კრუხი, ქრისტიანებო!

თამარს ტუჩები მოეკუმა - ეს უკვე ითქვა, მაგრამ მინდა, რომ ასეთი თამარი კარგად დაიმახსოვროთ.

ჯავახიშვილი წერს: მეფეთ მეფემ ორი წელიწადი უთმინა იურის, მერე კი დარბაზის წინაშე წარსდგა და ბოგოლიუბსკის ექსორიაქმნა - გაძევება მოითხოვაო. იურიც მაშინვე გაუგლიათ საქართველოდან, მრავალი ძღვენით დატვირთული.

ბასილი ეზოსმოძღუარის თქმით კი თამარს ასე მიუმართავს დარბაზისათვის: „...არა ჯერ არს

მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტადრისა ღმრთისა. და მე არა მიძლავს აჩრდილსა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა მის მიერ.”

იმ ღამეს დავუბრუნდეთ. გავჩერდით იქ, იურის ხელში კრუხი, რომ ეჭირა, რომელიც საქორწინო ღამის ჭემმარიტ პატარძლად მოვიხსენიეთ.

თამარი ხომ გახსოვთ, პირმოძუწული და ენაჩაგარდნილი?

ჰოდა, აქედან განვაგრძოთ:

იურიმ ჩონა ტახტზე მიაგლო, მუთაქა ძირს დადო და მუხლიც მოიყარა, აფართხალეული კრუხი კი...

დანარჩენს ძველქართულად მოყვები, მეტი დამაჯერებლობისათვის:

„...კრუხსა კი უბედურსა, მოსაკვეთი ხელითა, რომელსაცა ეწოდების მარცხენა, ორად გარდაუხსნა კარი ჯოჯოხეთისა და რა იგრძნო მხურვალეობაი გენისა, არა დაყოვნებითა, არამედ კურდღელებრი სისწრაფითა ღურთნა და ღურთნა!”

და ეს ყველაფერი მეფეთ მეფის თვალწინ!

რუსის მიერ ნაჩუქარი ჯვარი კი თამარს მუჭში მოექცია.

/მკითხველო, უფალო შეგვიწყალებ - ათჯერ! /

რუსმა კაცმა კრუხთან გვიღალატა!

თამარი, როგორც იცით, ორი წელიწადი უთმენდა იურის. უთმენდა კი არა, თურმე მისი განკურნებაც უცდია. შავ ბერებთან მიუყვანია, მონასტერშიც კი დაუმწყვდევია, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ!

იურიც ცრემლად იღვრებოდა, ფიცს იძლეოდა, რომ თამარს აღარასოდეს უღალატებდა – რომ ეს, მხოლოდ და მხოლოდ, წამიერი გართობა იყო და სხვა რაფერი, `წ æā ðāý ěpāĕp, òàðèòà Oàìàð!”

მაგრამ გავიღოდა ერთი-ორი დღე და მას კვლავ გოჭების, კრუხებისა და თხების გარემოცვაში პოულობდნენ.

ერთხელ, როგორც უკვე მოყვევი, დიდებულებსაც ჰკითხა: ხბოს უფრო წვრილი ხვრელი აქვს, თუ გოჭსო.

საკვირველი კი ის არის, რომ გაძევების შემდეგ, იური ჩვენს ქვეყანაში ორჯერ შემოჭრილა და ნახევარი საქართველო თუ არა, ყოველშემთხვევაში, ქართველ თავად-აზნაურთა დიდი ნაწილი მის გვერდით დამდგარა – მათ რუსისა უფრო სჯეროდათ, ვიდრე თამარ მეფის! რაც შეეხება თამარის მეორე ქმარს – ოს უფლისწულ დავით სოსლანს, ისიც ასევე დიდად გუარიანი და სახითაცა არა უმარჯუი ყოფილა.

თამარი მას ქალიშვილად ჩაბარდა და ორი შვილიც გაუჩინა.

იმ კრუხს კი, ვისთანაც იურიმ საქართველოს მეფეთ მეფეს უღალატა, ჯადოსნური ოქროს კვერცხი დაუდია, რომლიდანაც სულ მოკლე ხანში, ნოვგოროდის დიდმთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის შვილიშვილი გამოჩეკილა.

0

**თავისუფალი ზონა**

**კონფლიქტი, ხელოვნება, შემოქმედება**

**ტუსია ბერიძე**

ადამიანმა ერთხელ დაკარგა ყველაფერი: პირველად ორმა ადამიანმა ჰაერი გაკვეთა ხელის მოძრაობით, აკრძალულის აღებით, ხელის წინ გაშვებით სურვილისაკენ, მომავლისაკენ, ცოდვისაკენ. ეს ის მოძრაობაა, რომელმაც უსასრულო წამში ასახა კაცობრიობის უდიდესი დანაკარგი. სწორედ ამ მოქმედებამ და ადამიანის დაცემამ ააშენა ტვინი, მანვე აზრი, მანვე ცივილიზაცია, მანვე აზრის ზემოქმედება - დაცემული ცნობიერება ადამიანისა, რომელმაც იგრძნო დანაკარგი და მიხვდა, რომ თუკი მას არ შესწევს უნარი იმისა, რომ მიიღოს სრულყოფილი და მასში დაიმკვიდროს ადგილი, მაშინ მას უნდა გააჩნდეს უნარი სრულყოფისკენ სწრაფვისა. ერთმა მოძრაობამ გამოიწვია პირველადი ფორმულის დესტრუქცია და მასში შეიტანა საგნებისა და რიცხვების ლოგიკური სქემით გადანაცვლება, რომელსაც კანონზომიერებები ეწოდება. დესტრუქციამ ააგო ტვინი - ციხე-სიმაგრე - მედიუმი - შუა ცენტრი - ნოლი - რომელიც თავის თავში ატარებს ერთმანეთის გადამკვეთ და განმავითარებელ ორ უდიდეს ხსოვნას: პირველი, ხსოვნას იმ დიდი დანაკარგისა და მთელ მის მანკიერებას და მეორე - დაკარგული სრულყოფის სინანულს და მისგან წარმოქმნის სიყვარულს. კანონზომიერება, რომელიც ერთადერთი უცვლელი და ღვთაებრივი კანონია მთელ კანონებში მოწმეა იმისა, რომ თუკი ადამიანს უნდა და შეუძლია დაკარგული სისრულის მოპოვება, აუცილებელია ევოლუცია - უპირველეს ყოვლისა იმ სქემისა და სტრუქტურის დახვეწა და განვითარება, რომელიც არბიტრია ნებისმიერ ორს შორის: ორი ეპოქის, ორი ადამიანის, საწყისსა და მის შემდგომ ეტაპებს შორის. ადამიანმა დახედა ფეხებს, რომლებიც აჯაჭვებდნენ მიწასთან - პირველ სიბრტყესთან რომელიც თვალში ეცა. მეორე სიბრტყე იყო ის, რაც მის ირგვლივ იმყოფებოდა - მრავალი სახის მატერია. მესამე სიბრტყე გახდა ცა. მისი სამკვიდრებელია მიწასა და მაღალი ცის შორის, ადამიანმა იგრძნო საკუთარი თავი. ორი პოლუსის შუა - ცენტრი. ადამიანმა მარტივად შეისწავლა პირველი ორი სიბრტყე - მიწა და მატერია. მან დაიწყო ცისკენ სწრაფვა, იმისაკენ რაც დაკარგა. დანახვა იმისა რაც უარყავი, მისი ხელახლა სინანულით მიღება და შეყვარება რაღაც ეტაპზე ახლად დაბადების ტოლფასია. ეს წააგავს იმ ცნობიერ დაბადებას, რომლის გარეშეც ვერ ხედავ საოცრებას და ვითარდები იმისაკენ, რომ ის ვერასოდეს დაინახო. იმდენად რამდენადაც განვითარება წინ, ზევით სვლას ნიშნავს, ის ასევე შეიძლება ქვევით, გადაგვარებული ფესვებისაკენ, მიწისკენ იყოს.

ადამიანმა ააშენა კედელი იმისათვის, რომ თავი დაეცვა იმ დიდი ტრაგედიის განსვენებისგან, რომელიც შემდგომში მისი ყველა უბედურების საფუძველში პოულობდა საწყისს და ეს დაცვის კონცეფცია თითქმის ორგანულ და თანდაყოლილ მოვლენად აქცია. ეს ციხე-სიმაგრე იყო ინდივიდი, რომელმაც ყველაზე პრაგმატულ და ყველაზე სულიერ, ღვთაებრივ წერტილებს შორის დააწესა საარსებო და სამოძრაო გზები რათა გზა გაეკვლია ქვესკნელიდან ციურამდე. გზა გაეკვლია იმ დიდი სოციუმისათვის, რომელიც მატერიასთან ახლოს არსებობდა და მხოლოდ მას ემხრობოდა. ინდივიდუალიზმმა ააშენა ზუსტად იმდენი რამდენიც დაანგრია. ყოველ შემთხვევაში მან განაპირობა ეტაპობრივი წინსვლა და უკუსვლა. მან შექმნა ხელოვნება როგორც გზის საკვეთი იარაღი და ჭეშმარიტების საზომი ერთეული. მარტივი ერთეული, რომელიც იქნება მემატინე და მაგალითი ჭეშმარიტებისა სხვადასხვა ფორმით, მოცულობით და სიძლიერით, რათა გავლენა იქონიოს და დათრგუნოს სისტემა და მისგან წარმოქმნილი პრეცედენტი. ამავე დროს ხელოვნება შეიძლება აისახოს როგორც გადამკვეთი ხაზი მატერიალურსა და სულიერს შორის. ზუსტად ის ფაქტი, რომ ხელოვნება ასე ახლოს დგას ორივესთან, მეტყველებს მის ინტეგრირებულ ბუნებასა და უნართვისებაზე მოახდინოს ზემოქმედება ერთსა და მეორეზე.

დასაწყისში ადამიანმა მოიკვეთა საკუთარი თავი, და ხელოვნება [სულიერი სინშირების რადიო მიმღებად] აქცია. ამგვარი ადამიანი გადიოდა ზნეობრივ ადაპტაციას ბოლომდე უთმობდა თავს ხელოვნებას, ძალაუნებურად სისტემას ეცლებოდა და მისი მტერი ხდებოდა. ამიტომ ეს ადამიანი და მისი თანამოაზრენი ქმნიდნენ დისონანს იმ ინსტანციებსა და



საზოგადოებაში, რომელიც ზეცას ბრტყლად ხედავდა და ამოებას ქადაგებდა. ამგვარმა განხეთქილებამ საფუძველი ჩაუყარა საღ კონფლიქტს, რომელიც იყო და არის კონფლიქტი ზნეობრივი, ღრმა და საუკუნოვანი - რომლის გარეშეც საზოგადოება დიდი ხნის წინ მარგინალიზაციასა და კიდევ ერთ ფატალურ დესტრუქციას განიცდიდა.

სალი ხელოვნება ჭეშმარიტებისაკენ მიუთითებს, ჭეშმარიტება კი უსასრულო სიყვარულისაკენ. ასეთი კოსმიური სივრცეების მედიუმი - ადამიანი, მარტოდ მდგომი ერთეულია. ერთეულია იმიტომ, რომ მატარებელია კოსმოსისა და ეხება მატერიას, რომლისთვისაც ის უცხოა, რომელმაც ის გაკიცხა და მოიკვეთა. ამგვარად ადამიანი ვერტიკალური და ჰორიზონტალური სივრცეების კვეთის ცენტრი და მოძრივებელია. ჭეშმარიტი ხელოვნება, სალი კონფლიქტის მეშვეობით, ჰარმონიასა და ერთსულოვნებას აყალიბებს. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ის ზეინფორმაციას მიწიერ, ფიზიკურ ფორმას აძლევს. ხელოვანი ვერ იქნება ნეიტრალური, მისი მთავარი საკვები მანც მიწა და მასზე არსებული პროცესებია, რადგანაც იგი აქ, მიწაზე ეძიება და ხვეწს აზრსა და სიტყვას. შემოქმედი აქტიური წევრია საერთო სივრცისა, რომელშიც ის ახორციელებს სამშვიდობო რეფორმებს - ამყარებს და შემდგომში აქვეყნებს, გადმოსცემს კავშირს [ქვესა და ზე-ს] შორის და თარგმნის იმ სათქმელს რომელიც აქ არის, ჩვენს ირგვლივ - უსასრულო სათნოება და მისი უმრეტი რესურსი.

ნებისმიერი კონფლიქტური შეჯახება ან უკუსვლა ადამიანის გარეთ, შეჯახებაა მის შიგნით. საკუთარი ერთხელ დაცემული ბუნების გამო იგი უკეთესისაკენ ისწრაფვის; სულიერი ან მატერიალური სიძლიერისაკენ. ასეთი მისწრაფების დროს კონფლიქტი აუარებელი და გარდაუვალია. იგი ეხმარება ადამიანს განაზოგადოს და მამტაბში აჩვენოს თავის თავში არსებული უთანხმოება და მიუთითოს მშვიდობასა და ჰარმონიაზე, რაც უწინარესი პირობაა ბედნიერებისათვის და რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადამიანური ბუნების უზენაესობას.

## “სიყვარულის დოქტრინა”

### ირაკლი კაკაბაძე

დღევანდელ დღეს ძალიან ბევრს ლაპა-რაკობენ იმაზე, არის თუ არა გამოსავალი რომ ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკა აიგოს მეტნაკლებად ზნეობრივ ფარგლებში. იმაზე თუ რამდენად არის შესაძლებელი ნამდვილი დამოუკიდებლობა, ადამიანთა შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობანი, ეკონომიკური კეთილდღეობა მოსახ-ლეობის დიდ ნაწილში. სამწუხაროდ, ამ ბოლო ათწლეულში ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდა მეტად პესიმისტური და ხშირ შემთხვევაში ფატა-ლისტური წარმოდგენები არა მხოლოდ საქარ-თველოსა და საქართველოს მოქალაქეების მომავლის შესახებ, არამედ საერთოდ ადამიანების ბუნების საოცარი ბოროტების შესახებ. ეს პოსტ-ეგზისტენციალური ისტერია, რომელიც დასავლეთში და აღმოსავლეთში უკვე კარგა ხანია რაც დამთავრდა დღეს ჩვენთან თითქოს დოვდა იქცა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეგზისტენციალისტებისა და მათი თანამედროვე ფილოსოფოსების ნაშრომებზე აპელირებას ხშირ შემთხვევაში ახდენენ ან პირდაპირი მნიშვნელობით კრიმინალები, ან კი კომუნისტური პარტაპარატის (იგივე საბჭოური ნომენკლატურის) მაღალჩინოსანი წევრები, რომელთაც დღესაც მითვისებული აქვთ საქართველოში არსებული ქონების უდიდესი ნაწილი. საინტერესოა, რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ჟან პოლ სარტრს, სიმონა დე ბოუვას, მარტინ ჰაიდეგერს და სხვა დიდ ფილოსო-ფოსებს და მეორეს მხრივ საზოგადოების ყველაზე უზნეო ნაწილს, რომელიც უსირცხვილოდ აცხადებს რომ ამ ცხოვრებაში მოპარვა არის ცხოვრების ერთადერთი წესი. პასუხი შეიძლება

მარტივი იყოს: ცხოვრებაზე პესიმისტური შეხედულება და ურწმუნობა ადამიანის სიკეთეში მეტად გამოსადეგი იარაღია იმ ადამიანთათვის, ვისაც საკუთარი ძალადობის გამართლება სურს. ეს ძალადობა შეიძლება იყოს პირდაპირი (პარლამენტის წევრების გატაცება, ტერორიზმი, ძარცვა, პოლიტიკური მკვლელობები), სტრუქტურული (მკვეთრი უთანასწორობა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის სიმდიდრისა და ძალაუფლების მხრივ), ან კი კულტურული (მაგა-ლითად ქალების ან ებრაელების კლასიფიკაცია, როგორც არასრულფასოვანი არსებებისა და ამისათვის კულტურული ღირებულებების მოხმა-რება). ამ შემთხვევაში ოლიგარქების, კრიმინალების, შეიარაღებული დაჯგუფებების არსებობა ყოველად გამართლებულია, რადგანაც არ არსებობს ადამია-ნური ალტერნატივა. ასეთი მსოფლმხედველობის მიხედვით ადამიანი ხომ ეშმაკის მიერ შექმნილი არსე-ბაა და ამიტომაც ყველა არაზნეობრივი საქციელი გამართლებულია. ხშირ შემთხვევაში ეს სახელმწიფო თუ კერძო კრიმინალები მათ მიერ მოპარული და მითვისებული თანხის რაღაც პროცენტს ახმარენ ეკლესიების მშენებლობას და ამით ცდილობენ გამოისყოდონ დანაშაული. ეკლესიების მშენებლო-ბაში, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია, მაგრამ იმ დოქტრინას და მსოფლმხედველობას, რომლითაც ეს ჩვენი სხვადასხვა სახის ქურდები (კანონიერი თუ უკანონო) ცხოვრობენ და სხვებსაც აცხოვ-რებენ, მე სიკვდილის ფილოსოფიას ვუწოდებდი.

სიკვდილის ფილოსოფიის მიხედვით, ადამია-ნებს შორის ყოველთვის იქნება ძალადობა, რადგანაც ყველასათვის საკმარისი რესურსები თუ ძალაუფ-ლება არ არსებობს ბუნებაში. მაშინაც კი თუკი რესურსების პრობლემის მოგვარება მოხერხდა, სიკვდილის ფილოსოფიის ან “რეალპოლიტიკის” მიმდევრები ამტკიცებენ რომ ადამიანებს არასდროს არ ჰყოფნით ძალაუფლება. აი ამ დაშვების საწინააღმ-დეგოდ, მოქმედებს კონფლიქტების მოგვარების ფილოსოფია, რომელსაც სხვაგვარად მე სიყვარულის დოქტრინას ვუწოდებდი. ეს ფილოსოფია თავის მხრივ ამტკიცებს რომ არ არის აუცილებელი რესურსები და ძალაუფლება ყოველთვის არასაკმარისად იყოს. პირიქით, რესურსების უკმარისობის დაძლევა დღევანდელ დღეს შესაძლებელია. რაც შეეხება ძალაუფლებას , ის ისეთი რამ არის, რომ ჩვენს წარმოდგენაში არსებობს მხოლოდ.

სიყვარულის დოქტრინას ერთდროულად ბევრი ავტორი ჰყავს. მისი ავტორი ყოველი ჩვენთაგანი შეიძლება იყოს. მისი წანამძღვრები კი მოცემულია დიდ რელიგიურ სწავლებებში, ხელოვნების ნაწარმოებებში და მეცნიერულ და ფილოსო-ფიურ ნაშრომებში. მარტო ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია შეიძლება იყოს ჰიმნი ასეთი მოძღვრებისა.

რაც არ უნდა ამტკიცონ ოპონენტებმა ამ ქვეყანაზე მაინც არსებობს სიყვარული, ადამიანებს შორის თანასწორი ურთერთობანი, და რესურსების გადანაწილების სამართლიანი გზა. ამის მაგალითები დღევანდელ მსოფლიოშიც გვაქვს (არა მარტო ცივილიზებული ჩრდილო ევროპული ქვეყნები, არამედ სამხრეთ აღმოსავლური ქვეყანა სინგაპუ-რიც, ლათინო ამერიკული კოსტა რიკაც და ა.შ.) და ისტორიაშიც. ამის მოკვლევა შეიძლება სუფთა მეცნიერული გზითაც და წმინდა ემოციურადაც. ყველაზე თვალსაჩინო ემპირიული და ამავე დროს ემოციური საბუთიც ამისა არის ის რომ ადამიანების უმრავლესობას ელემენტარულად არ სიამოვნებს ძალადობის მდგომარეობაში ყოფნა, რადგანაც ეს ყოველთვის გაუმართლებელ რისკთან არის დაკავში-რებული.

სამართლიანი საზოგადოების შექმნის შე-საძლებლობა უკვე ძველი ჰუმანისტური იდეაა. ამაში ეჭვის შეტანა კი თავისთავად ანტიჰუმანიზმია. არსებობის უფლება ალბათ ყველა თვალსაზრისს აქვს. არსებობს კულტურული რელატივიზმის გავრცელებული თვალსაზრისებიც. სკეპტიციზმს თავისი მრავალი ქვაკუთხედი გააჩნია. მაგრამ კონფ-ლიქტების მოგვარება ალბათ ცალსახად ჰუმან-ისტური პოზიციაა.

დღეს, პოსტმოდერულ ეპოქაში, სიყვა-რულის ფილოსოფია ალბათ არც მემარცხენე და არც მემარჯვენე მსოფლმხედველობაა. ის უყრის თავს ერთად საკაცობრიო აზროვნებაში დაგროვილ პოზიტიურ გამოცდილებას. და ეს პოზიტიური გამოცდილება არის ყველა სახის ნააზრევში. სიყვარულის დოქტრინა აუცილებლად უნდა იყოს მთლიანი, რომელიც ორიენტაციას პირველ რიგში ადამიანზე აიღებს. ამ დოქტრინის მამოძრავებელი ელემენტი არ არის არც დიდი მთავრობები და არც დიდი კორპორაციები, არც ტექნიკური პროგრესის სრული უარყოფა და არც მისი გაფეტიშება, არც სრული თვითიზოლაცია და არც კოსმოპოლიტიზმის აფეტიშება, არც მეგრძოლი ათეიზმი და არც რელიგიური ფუნდამენტალიზმი. ძირითადი სამიზნე სწორედ ადამიანში ძვეს. მისი მიმართება სამყაროსადმი, სოციალური გარემოსადმი და სხვა ინდივიდებისადმი. ეს არის ის მთავარი ღერძი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოვნახოთ გასაღები ჩვენი ურთიერთობებისა.

დოქტორი ბარტონი მეტად საინტერესო პასუხებს გვცემს იმ კითხვებზე, რომლებსაც კაცობრიობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე სვამს. ის მეტად სამართლიანად სვამს კითხვას: ნუთუ შეუძლებელია რომ ადამიანების ყველაზე ძირეული მოთხოვნები დაკმაყოფილდეს? ნუთუ აუცილებელია, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილი იყოს დათრგუნული და ჩაგრული? ნუთუ აუცილებელია რომ დღევანდელი მსოფლიო კრიმინალების მიერ იყოს მართული კრიმინალური პრინციპებით?

დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში სამწუხაროდ კრიმინალური პრინციპებით ვხელმძღვა-ნელობთ, სადაც დიდი და ძლიერი სახელმწიფოები თავის ნებას ახვევენ მცირე სახელმწიფოებს. უშიშროების საბჭოც ხომ სწორედ ამ ეროვნული დარვინიზმის პრინციპს ამკვიდრებს. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდია ფრუსტრაცია და უკმაყოფილება პატარა სახელმწიფოების მხრიდან. ამის შედეგად ჩვენ ხშირად გვაქვს საქმე ტერორიზმთან და ძალადობასთან. მაგრამ ინდივიდუალურ ტერო-რიზმზე კიდევ უფრო საშიშია ის სახელმწიფოებრივი თუ კორპორატიული ტერორი, რომელშიაც სხვა-დასხვა სახელმწიფოები თუ ტრანსნაციონალური კორპორაციები ამყოფებენ კაცობრიობის ოთხ მეხუთედს მაინც. შეუძლებელია თუ არა ამ სტრუქტურული უთანასწორობის გადალახვა. სიყვარულის დოქტრინის თანახმად ეს სულაც არ არის შეუძლებელი. სიკვდილის ფილოსოფია კი სწორედ ამ უკმარისობის შეგრძნებას ემყარება. ეს არის ფუნდამენტური სხვაობა ამ ორ დოქტრინას შორის.

საერთაშორისო პოლიტიკაში დოქტორი ბარტონისა და მისი თანამოაზრეების აზრით ეროვნული დარვინიზმის ალტერნატივა არსებობს. და ეს ალტერნატივა თანასწორობისა და მსოფლიო თანამეგობრობაა, სადაც ძლიერისა და სუსტის უფლებები თანაბრად დაცული და სახელმწიფოს სიძლიერეს არ განსაზღვრავს მისი ბირთვული შეიარაღების პოტენციალი ან სულაც მოსახლეობის აღრიცხვა. საშინაო პოლიტიკაში კი სოციალური დარვინიზმის ალტერნატივა არსებობს. ეს მაშინ ხდება თუ ჩვენ საყოველთაო წანამძღვრად არ მივიღებთ ნულოვანი ჯამის თამაშს, სადაც წინასწარ განსაზღვრულია, რომ ძალაუფლება და რესურსები ყველასათვის საკმარისი არ არის.

სიყვარულის დოქტრინა მარქსიზმისაგან განსხვავებით არ ამდაბლებს ცნობიერების როლს. ცნობიერება ადამიანური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია და ხშირად განაპირობებს კიდევ მატერიალურ რეალობას. უმეტეს შემთხვევაში უკმარი-სობა სწორედ ცნობიერების ნაყოფია და არა რეალური ციფრებისა. ამის მაგალითად შეიძლება ის გამოვლენოთ რომ გაეროს განვითარების პროგრამის 1998 წლის საშუალო მოაცემებით მთელს მსოფლიოში შიმშილის, მწვავე ეპიდემიებისა და რეპროდუქციული პრობლემების მოგვარებისათვის საჭირო იყო დაახლოებით 40 მილიარდი ამერიკული დოლარი წელიწადში, მაშინ როდესაც მარტო “მაიკროსოფტის” პრეზიდენტის პირადი ქონება ამ თანხაზე ორჯერ მეტი იყო.

ტრანსნაციონალურ კორპორა-ციებში არსებული მოგებული თანხა დღეს გაცილებით მეტია, ვიდრე რესურსების უკმარისობის დასა-ძლევ სავსრების რაოდენობა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ჩვენი ცნობიერების წყალობით ხელოვნურად ვქმნით რესურსებისა თუ ძალაუფლების უკმარისობას და შესაბამისად ძალა-დობრივ კონფლიქტს.

სიყვარულის დოქტრინა ღია წიგნია, რომელშიაც ახალი თავის ჩაწერა ყველა ადამიანისათვის შესაძლებელია. ამ წიგნის მთავარი მიზანი სწორედ ის არის რომ ამ ქვეყანაზე შესაძლებელია სამართლიანი საზოგადოების აშენება, სადაც მოპარვა, ძალა-დობა და ჩაგვრა აუცილებელი მოთხოვნები არ არის. ამის გაკეთების სტრუქტურული გზებიც არსებობს და ყველა კულტურაში დიდია ასე-თი საზოგადოების შექმნის პოტენციალი. უბრა-ლოდ ჩვენ უფრო მეტი შრომა გვიწევს იმისათვის, რათა დავძლიოთ ურწმუნობისა და პესიმიზმის სინდრომი.

---

**ყურნალში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედკოლეგიის ან კონფლიქტოლოგიის ცენტრის პოზიციას**

**The Peace Times Published by: International Center on Conflict and Negotiation  
Supported by: Cordaid**

დრო მშვიდობისა გამოიცემა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ ჰოლანდიური ფონდის „ქორდეიდ“-ის ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე

რედაქტორის მოადგილე: ლელა ცისკარიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დალი ბერეკაშვილი, გიგა ბოკერია, ლაშა ბუღაძე, გიორგი

მარგველაშვილი, რუსიკო მშვიდლობაძე, გაგა ნიჟარაძე, დათო ტურაშვილი, გიორგი ხუციშვილი  
ლიზიანი: ნიკა მაჩაიძე, ტუსია ბერიძე

**ISBN: 99928-824-3-3**

მისამართი: ივ. მაჩაბლის 5, 1 სართული, თბილისი 380007, საქართველო

საფოსტო მისამართი: საფოსტო ყუთი 38, თბილისი 380079, საქართველო

ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78

ფაქსი: 93-91-78

E-mail: [confpro@access.sanet.ge](mailto:confpro@access.sanet.ge)

<http://iccn.tripod.com>

© 2001 by ICCN



